

Funk • Koenig • Koithan • Scherling

geni@l

Deutsch als Fremdsprache für Jugendliche

გერმანულის სახელმძღვანელო 

მასწავლებლის წიგნი


ქართული გამოცემის ადაპტაციის ავტორები:
ეკა შავერდაშვილი, მანანა ახალკაცი

Lehrerhandbuch A1

von
Hermann Funk
Michael Koenig
Ute Koithan
Theo Scherling

unter Mitarbeit von
Susy Keller und Maruska Mariotta

რეკომენდებულია ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ



Langenscheidt

Berlin • München • Wien • Zürich • New York



გაკურს სულაკაურის
ბამონცემლობა

Lehrerhandbuch A1 von
Hermann Funk, Michael Koenig und Ute Koithan

unter Mitarbeit von Susy Keller und Maruska Mariotta

geni@l A1, Kursbuch und Arbeitsbuch wurden erstellt von
Hermann Funk, Michael Koenig, Ute Koithan, Susy Keller,
Maruska Mariotta und Theo Scherling

Kursbuch:

Layout: Andrea Pfeifer und Theo Scherling

Illustrationen: Theo Scherling und Stephen Bennett (Die Clique)

Lehrerhandbuch:

Satz: Franzis print & media GmbH, München

Redaktion: Carsten Schmidt, München

Umschlaggestaltung: Andrea Pfeifer unter Verwendung eines Fotos von White Star, Hamburg

Autoren und Verlag danken allen Kolleginnen und Kollegen, die **geni@l** erprobt, begutachtet sowie mit Kritik und wertvollen Anregungen zur Entwicklung des Lehrwerks beigetragen haben.



Deutsch als Fremdsprache für Jugendliche

A1: Materialien

Kursbuch A1	CD zum Kursbuch
Arbeitsbuch A1	und Arbeitsbuch
Lehrerhandbuch A1	

Symbole in **geni@l** A1:



Zu dieser Aufgabe gibt es eine Tonaufnahme.



Hier soll ins Heft geschrieben werden.



Diese Aufgabe beschäftigt sich besonders mit der sprachlichen Form.



Diese Aufgaben gehören zum Videofilm.



Hier gibt es im Lehrerhandbuch Hinweise für „Internetprojekte“.

Besuchen Sie auch unsere Homepage www.langenscheidt.de/geni@l

© 2003 Langenscheidt KG, Berlin und München

© 2006, 2013 by Bakur Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia

Das Werk und seine Teile sind urheberrechtlich geschützt.

Jede Verwertung in anderen als den gesetzlich zugelassenen Fällen bedarf deshalb der vorherigen schriftlichen Einwilligung des Verlages.

გერმანულის სახელმძღვანელო (ს1)

მასწავლებლის წიგნი

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112

ტელ.: 291 09 54, 291 11 65

www.sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-957-2

geni@

შინაარსი

<u>შესავალი</u>	4
<u>geni@ თვალის ერთი გადავლებით</u>	6
ძირითადი კომპონენტები	
<u>ბეჭდვითი მასალები</u>	7
<u>აუდიომასალები</u>	7
დამატებითი კომპონენტები	
<u>ბეჭდვითი მასალები</u>	8
<u>ვიდეომასალები</u>	8
<u>დავალებები ინტერნეტში და ონლაინ პროექტები</u>	8
geni@-ით მუშაობის ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები	
<u>ქვეყანათმცოდნეობა</u>	9
<u>უნარ-ჩვევები</u>	9
<u>მოსმენა</u>	9
<u>კითხვა</u>	9
<u>ლაპარაკი</u>	10
<u>წერა</u>	10
<u>„სწავლის სწავლა“- სასწავლო სტრატეგიები და რჩევები</u>	10
<u>გრამატიკის როლი geni@-ში</u>	11
<u>მოსწავლის წიგნის სტრუქტურა</u>	14
<u>გაკვეთილის სანიმუშო გეგმა</u>	16
ძირითადი ნაწილი	
<u>ცალკეული გაკვეთილების სცენარები</u>	18
<u>შემაჯამებელი გრამატიკა</u>	111
<u>სიტყვების ანბანური საძიებელი</u>	121
<u>დანართი</u>	130
<u>გამოყენებული ლიტერატურა</u>	132
მოსწავლის წიგნისა და რვეულის მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიპციები	
	133
<u>ქსეროკოპირებადი სამუშაო ფურცლები</u>	145
<u>მოსწავლის რვეულის დავალებების პასუხები</u>	160

შესავალი

ევროსაბჭოს განათლების კომიტეტმა და უცხო ენების განყოფილებამ უცხო ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასებისათვის შექმნეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭო. საბჭოს მიზანი იყო, წევრ-ქვეყნებისათვის საერთო ბაზის შექმნა, რომელიც განსაზღვრავდა ენის ცოდნის კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობდა მასწავლებლების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემდგენლების, სერთიფიკატის გამცემი ორგანიზაციებისა და უცხო ენების სწავლების ადმინისტრატორების შეთანხმებულ მოქმედებას.

ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით განისაზღვრა ენის ცოდნის 6 ძირითადი დონე: A1, A2, B1, B2, C1, C2

A 1	ენის ელემენტარულ დონეზე გამოყენება	B 1	ენის დამოუკიდებლად გამოყენება	C 1	ენის კომპეტენტურად გამოყენება
A 2		B 2		C 2	

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უცხოური ენის სტანდარტი მიზნად ისახავს B 1+ დონის მიღწევას.

	კლასი	ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩოს დონე
უცხო ენა 1	IV	A1
	VIII	A2
	XII	B1 (ან B1+)
უცხო ენა 2	VII	A1+
	VIII	A2
	XII	B1 (ან B1+)
უცხო ენა 3	X	A1
	XI	A2
	XII	A2+

სახელმძღვანელო **geni@** შედგება სამი ნაწილისაგან და, შესაბამისად, მოიცავს სარეკომენდაციო საბჭოს მიერ დადგენილი დონეებიდან A1, A2 და B1 დონეებს.

geni@I წარმოადგენს სასწავლო მასალათა კომპლექსს დამწყებთათვის და თეორიულად ნაკლებად არის გამართლებული საქართველოს სკოლების მე-7 კლასის მოსწავლეებისათვის, რადგან ისინი უკვე 3 წელია, გერმანულ ენას სწავლობენ, თუმცა ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს პროგრამით გათვალისწინებული მასალის მინიმუმსაც კი. ამასთან, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ 2004 წელს გამოქვეყნებული სასწავლო გეგმების მიხედვით, 2005 წლიდან სკოლებმა უნდა იხელმძღვანელონ გარდამავალი პერიოდისთვის გამოქვეყნებული სასწავლო გეგმებით, რის მიხედვითაც, VII კლასის მოსწავლემ უნდა დაძლიოს ევროსაბჭოს განათლების კომიტეტის მიერ დადგენილი საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს **A1** დონე.

geni@I-ის კონცეფცია სწორედ ამ პრინციპებს ეყრდნობა და აგებულია საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული **A1** დონისათვის გათვალისწინებულ მასალაზე. იმ კლასებში კი, სადაც **geni@I**-ში შემოთავაზებული მასალა უკვე დაძლეულია, მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელო ნასწავლის გასამეორებლად გამოიყენოს.

ეს პრინციპი, პირველ რიგში, გავრცელდება გრამატიკულ მასალაზე, რადგან საქართველოს სკოლებში გაკვეთილები ხშირ შემთხვევებში ტრადიციულად გრამატიკული წესებისა და ფრონტალური გაკვეთილისთვის დამახასიათებელი მეთოდებით შემოიფარგლება. უცხო ენის სწავლებისათვის მრავალი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა, მაგალითად, მოსმენა და ლაპარაკის უნარ-ჩვევები, მასწავლებლებს გაკვეთილზე ხშირად უყურადღებოდ რჩებათ.

დღევანდელი უცხო ენის გაკვეთილის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი შესასწავლ ენაზე მოსმენილის გაგება და ამ ენაზე ლაპარაკია. მოსწავლეებს იმ ცოდნის რეალურად გამოყენება უნდა შეეძლოთ, რაც გაკვეთილზე შეიძინეს. ხშირად გაკვეთილი მხოლოდ გრამატიკული წესების ახსნას და ამ წესების მიხედვით წინანაღებების ხელოვნურად შედგენას ეთმობა, რასაც მხოლოდ და მხოლოდ ის შედეგი მოაქვს, რომ მოსწავლეები შესანიშნავად ფლობენ გრამატიკულ წესებს ისეთ გრამატიკულ მოვლენებზეც კი, როგორებიცაა, მაგალითად, კონიუქტივი ან წინადადებების რთული კონსტრუქციები, მაგრამ უცხოენოვან გარემოში ელემენტარული კითხვის დასმისას პასუხს ვერ პოულობენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ დასმული შეკითხვა ვერ გაიგეს. მეორე მაგალითი ეხება კითხვის უნარ-ჩვევასა და ტექნიკას: კითხვა და ტექსტზე მუშაობა მრავალ სკოლაში დღეს ძირითადად შემოიფარგლება ტექსტის ხმამაღლა წაკითხვით, რის შემდეგაც მოსწავლეებს ძირითადად ორი ტიპის დავალებები ეძლევათ: კითხვა-პასუხი და ტექსტის მოყოლა ზედმიწევნით (ზოგ შემთხვევაში ტექსტის დაზეპირება). არადა, უცხო ენის შემსწავლელი ტექსტზე მუშაობის და კითხვის სხვადასხვა ტექნიკას უნდა ფლობდეს იმისათვის, რომ ტექსტი გაიგოს და ჩანდეს მის შინაარსს.

დღეს მასწავლებელი ყოველი ტექსტის სიტყვა-სიტყვით გაგებას ითხოვს, რაც მოსწავლისათვის ბევრის მომცემი არ არის და და გაკვეთილსაც მოსაწყენს ხდის. **geni@I**-ში ტექსტზე მუშაობის უამრავ ხერხს და მეთოდს შეხვდებით, რითაც მოსწავლეებს გაუადვილებათ არა მხოლოდ ტექსტის შინაარსის გაგება, არამედ მისი შინაარსის გადმოცემაც და ტექსტში განხილულ თემაზე დისკუსიების წარმართვა, ასევე მათში მონაწილეობის მიღება და ამ თემაზე თავისუფლად მსჯელობა. რაც შეეხება გრამატიკას, **geni@I**-ში გრამატიკული მოვლენები ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლე კონტექსტში ეცნობა მათ და არა კონტექსტისაგან მოწყვეტილად, რაც, უპირველეს ყოვლისა, საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება. წესების ზეპირად დასწავლა მოსწავლეს აღარ სჭირდება, მას საშუალება ეძლევა, დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და თვითონვე დაადგინოს ესა თუ ის წესი და სასურველ კონტექსტში გამოიყენოს ყველანაირი გრამატიკული თავისებურება და კონსტრუქცია. წიგნის მიხედვით მოსწავლე თვითონ ამოიცნობს წესებს და თვითონვე ახდენს მათ ფორმულირებას.

უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ეს ორიც საკმარისია იმისთვის, რომ წიგნის შეტანა საქართველოს სკოლებში გამართლებულად ჩაითვალოს. ჩვენს გადაწყვეტილებას სულ რაღაც ორი გაკვეთილის შემდეგვე დაეთანხმებით, რადგან წიგნში შემოთავაზებული დავალებები თუ სავარჯიშოები თქვენს მოსწავლეებს საოცრად დიდ სტიმულს მისცემს და ნაახალისებს სწავლისათვის, თქვენი გაკვეთილებიც უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება.

geni@I თვალის ერთი გადავლებით

geni@I-ის შემადგენელი კომპონენტების შესახებ

geni@I A1 15 თავში მოიცავს ტექსტებს, სავარჯიშოებს და დავალებებს, რომლებიც ევროსაბჭოს სტანდარტის A1 დონეს შეესაბამება. პირველი ტომი შეიცავს მასალას, რომელიც გათვლილია 120-150 გაკვეთილზე. ის გამიზნულია მოზარდებისთვის, რომლებიც სწავლობენ გერმანულ ენას პირველ ან მეორე უცხო ენად. წინამდებარე წიგნი მხოლოდ ერთი ნაწილია იმ მულტიმედიური კომპლექსისა, რომელიც შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

ძირითადი კომპონენტები

მოსწავლის წიგნი

მოსწავლის რვეული

მასწავლებლის წიგნი

მოსწავლის წიგნის კასეტა

მოსწავლის რვეულის კასეტა

დამატებითი კომპონენტები

დავალებები ინტერნეტში და ონლაინ პროექტები

ტექსტების რვეული

დამატებითი სავარჯიშოების რვეული

ვიდეო

geni@I-ის სასწავლო მეთოდური კომპლექსი მოიცავს გერმანული ენის შესასწავლ ყველაზე ვრცელ მასალას მოზარდებისათვის. სახელმძღვანელოს ოპტიმალურად გამოყენებისთვის საჭიროა, გაეცნოთ მის ცალკეულ კომპონენტებს, რომლებსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

ძირითადი კომპონენტები

ა) ბექდვითი მასალები

მოსწავლის წიგნი

მოსწავლის წიგნი შეიცავს 15 თავს, რომლებშიც მოცემულია აქტუალური თემები, სცენარები კომუნიკაციისთვის, სამეცნიერო მასალა, სასწავლო სტრატეგიები, სიტყვები და გრამატიკა. სამი შემაჯამებელი თავი (5., 10, 15) სპეციალურად ეძღვნება მასალის გამეორებას, მეცნიერების განვითარებას და მასალის განმტკიცებას. ამ თავებში არ შემოდის ახალი ლექსიკური თუ გრამატიკული მასალა. **geni@I-**-ის ძირითად მედიუმსა და გაკვეთილის საფუძველს მოსწავლის წიგნი წარმოადგენს. ის ახდენს სწავლის პროცესის ორგანიზებას და მის წარმატებულად მიმდინარეობას. ბოლო ნაწილში მოცემულია გრამატიკული მასალა და ყველა შესწავლილი სიტყვის ჩამონათვალი.

მოსწავლის რვეული

მოსწავლის რვეულიც 15 თავს შეიცავს. თორმეტი თავი, რომლებიც შეესაბამება მოსწავლის წიგნის საბაზისო თავებს, ყოველთვის იწყება გვერდებით, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლეების ნამუშევრებს (სიმღერები, კომიქსები, თამაშები, პლაკატები და ა.შ). ყოველი თავი მთავრდება რუბრიკით: “ეს მე უკვე შემიძლია/ეს მე უკვე ვიცი”, რომელიც შედგება ინდივიდუალური მინი-ტესტისგან, და “ეს მასალა ვისწავლე ამ თავში”, რომელიც ამა თუ იმ თავში მოცემულ სასწავლო მასალას აჯამებს. სამი შემაჯამებელი თავი შეიცავს უამრავ ინდივიდუალურ ტესტს. ამ ტესტების შედეგები ცალკეულ ინდივიდუალურ მინი-ტესტების შედეგებთან ერთად ჯამდება და გვიჩვენებს სწავლის პროცესის პროგრესს.

კიდევ რამდენიმე რჩევა მოსწავლის რვეულით მუშაობისათვის: პირველ თავებში საჭიროა მოსწავლეებს აუხსნათ, როგორ უნდა იმუშაონ მოსწავლის რვეულით. მიუთითეთ, რომ მასალა დაყოფილია მონაკვეთებად და შეამოწმეთ, გაიგეს თუ არა დავალების არსი, ამასთან განსაზღვრეთ საკონტროლო ფაზების დრო და გადაწყვიტეთ, თქვენი მოსწავლეებისათვის ამა თუ იმ დავალების შესრულება კლასშია უკეთესი თუ შინ. თავის მხრივ, მოსწავლეები იძენენ სწავლის პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის ჩვევას და ახდენენ დავალებების ნაწილობრივ თვითშეფასებას. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას.

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნი შეიცავს მთელ მოსწავლის წიგნს შემცირებული ფორმით. ცალკეული დავალებების შესასრულებლად მოცემული კომენტარები უშუალოდ დავალებების გვერდით წერია. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, გაკვეთილზე ერთი წიგნით იმუშაონ. მასწავლებლის წიგნი შეიცავს ძირითად რჩევებს და დამატებით ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციას. სადაც შესაძლებელია, მასწავლებლის წიგნი შეიცავს სავარჯიშოების და დავალებების პასუხებს და ქსეროკოპირებად სამუშაო ფურცლებს. ბოლოში მოცემულია მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფცია. იმ სკოლებში, რომლებსაც ჯერჯერობით არ გააჩნიათ ტექნიკური საშუალებები, მასწავლებლებს შეუძლიათ ტრანსკრიფციის დახმარებით თვითონ ნაუკითხონ მოსწავლეებს მოსასმენი ტექსტები თუ დავალებები. არავითარ შემთხვევაში არ გამოტოვოთ მოსასმენი ტექსტები და დავალებები იმის გამო, რომ არ გააჩნიათ ტექნიკური საშუალებები!

ბ) აუდიომასალები

მოსწავლის წიგნის კასეტა

მოსწავლის წიგნის კასეტა შეიცავს აუდიოჩანაწერს წიგნის თითოეული თავისთვის და კურსის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს: ინტერვიუები, დიალოგები, ნაწყვეტები რადიოგადაცემებიდან, ლექსები, სიმღერები წარმოადგენს დავალებების და სავარჯიშოების ინტეგრალურ ნაწილს.

მოსწავლის რვეულის კასეტა

მოსწავლის წიგნის მსგავსად მოსწავლის რვეულის კასეტა შეიცავს მრავალრიცხოვან აუდიო-ჩანაწერს, სიმღერებსა და სავარჯიშოებს. ისინი მოსწავლეებმა ძირითადად სახლში სამუშაოდ უნდა გამოიყენონ. მოსწავლის რვეულის მრავალი სავარჯიშო შედგენილია აუდიოტექსტებზე და კასეტის ტექსტების გარეშე მათი დამუშავება შეუძლებელია. იგივე კასეტა შეიცავს ტესტების მოსასმენი ნაწილის აუდიომასალას.

დამატებითი კომპონენტები

ა) ბეჭდვითი მასალები

ტესტების რვეული

ტესტების რვეული შეიცავს ტესტებს სწავლის პროგრესის შესამოწმებლად, როგორც ცალკეულ თავებში, ასევე მოსწავლის წიგნის ბლოკებში (1-4, 6-9, 11-14). ტესტები ფორმით მარტივია, სტანდარტული, ადვილად გასასწორებელი და იძლევა ვარიანტების საშუალებას.

დამატებითი სავარჯიშოების რვეული

დამატებითი სავარჯიშოების რვეული შეიცავს უამრავ სახალისო სავარჯიშოს, რაც ხელს უწყობს ნასწავლის განმტკიცებას.

ბ) ვიდეომასალები

ვიდეომასალაში წარმოდგენილია 35 ნუთიანი მხატვრული ფილმი. ფილმში, რომელშიც მოქმედება წიგნის კომუნიკაციურ სცენარებს და ლექსიკურ მასალას ეყრდნობა, ქართველი მოსწავლეები გერმანელ მოსწავლეებს საკუთარ სკოლაში და სკოლის გარეთ გაეცნობიან. გარდა ამისა ვიდეომასალა შეიცავს მრავალრიცხოვან ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციას, რაც მათ საშუალებას აძლევს, გაეცნონ თანატოლების ცხოვრებას გერმანიაში. ფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ ამა თუ იმ ინფორმაციაზე ქართულად ისაუბრონ, მაგ: გერმანული ოჯახი საუზმის დროს, მოზარდები, გერმანელ მოზარდთა ოთახი და ა.შ.

ფილმის გმირებს მოსწავლეები მოსწავლის წიგნიდან (მე-5 თავი) იცნობენ. შემაჯამებელ თავებში ნახავთ სავარჯიშოებს ვიდეომასალის გარშემო. ამდენად ვიდეომასალით შეგიძლიათ ისარგებლოთ როგორც ცალკეულ თავებზე მუშაობისას, ასევე შემაჯამებელ თავებზე მუშაობისას.

ვიდეომასალაც მოსწავლის წიგნის მსგავსად სამ ნაწილადაა დაყოფილი. ავთენტური სურათები სცდება მოსწავლის წიგნის ფარგლებს და ქართულად კომუნიკაციის საშუალებას იძლევა, რაც გაკვეთილს სიხალისეს სძენს და მოსწავლეებს მოტივაციას უღვიძებს.

ყურადღება: თუ სკოლაში არა გაქვთ ვიდეომასალის ჩვენების საშუალება, შეგიძლიათ შემაჯამებელ თავებში მოცემული ამ მასალის შესატყვისი სავარჯიშოები უბრალოდ გამოტოვოთ.

გ) დავალები ინტერნეტში და ონლაინ პროექტები

კომპიუტერით სწავლა პრაქტიკულად სწავლის ყველა ასპექტისთვის შეიძლება გამოვიყენოთ. ის გვეხმარება ძირითადი უნარების (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა), ქვეყანათმცოდნეობისა და გრამატიკის სწავლაში. ის შეიძლება გამოვიყენოთ როგორც კლასში, ასევე საკლასო ოთახის ფარგლებს გარეთაც, მაგ: ინტერნეტში მუშაობისათვის. ზღვარს ამ შემთხვევაში ადგენს ამა თუ იმ სკოლის ტექნიკური და პრაქტიკული შესაძლებლობები.

სახელმძღვანელო **geni@I**-ს საკუთარი საიტი გააჩნია. მისამართზე www.lagnescheidt.de/genial უამრავი დამატებითი სავარჯიშოა განთავსებული. გარდა ამისა ინტერნეტით შესაძლებელია ისეთი ონლაინ პროექტების განხორციელება, როგორიცაა E-Mail პროექტები მოსწავლეებსა და სკოლებს შორის. ამ პროექტების საშუალებით საკლასო ოთახის საზღვარი ფართოვდება, შესაძლებელი ხდება უშუალო კონტაქტი ენის მატარებლებთან და ასევე ენის სხვა შემსწავლელებთან, ხდება არა კომუნიკაციის სიმულირება, არამედ მისი რეალიზირება. ამით იზრდება მოსწავლეების მოტივაცია. ინტერნეტ-გვერდები იძლევა კონტაქტების დამყარების საშუალებას.

geni@I-ით მუშაობის ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები

ქვეყანათმცოდნეობა

უცხო ენის გაკვეთილზე მოტივაციის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ელემენტია მოსწავლისათვის შინაარსობრივად საინტერესო ქვეყანათმცოდნეობითი მასალის მიწოდება. ქვეყანათმცოდნეობითი მასალის არჩევისას ჩვენი ძირითადი კრიტერიუმი იყო მოზარდთა ინტერესები. შერჩეული მასალის საშუალებით ვცდილობთ გავუღვიძოთ მათ ინტერესი და მივანოდოთ ახალი ინფორმაცია ნაცნობ ინფორმაციასთან ერთად. ამიტომ პირველივე წიგნში ვიძლევი საკმაოდ ვრცელ ქვეყანათმცოდნეობით მასალას ტექსტებში, უფრო მეტად კი სურათებსა და ვიდეომასალაში. მართალია მოსწავლეები ამ ეტაპზე გერმანულად ჯერ ვერ ილაპარაკებენ, მაგრამ მათ ეს ჯერ არც ევალებათ. მთავარი აქ მოტივაციის შექმნაა. მოსწავლეები რეალურად ეცნობიან იმ ქვეყანას, რომლის ენასაც სწავლობენ, ექმნებათ წარმოდგენა მათთვის უცხო ქვეყანაზე, ნანახს ავტომატურად აღარებენ საკუთარ ქვეყანას და მათთვის ნაცნობსა და ახლობელს. ამდენად, ქვეყანათმცოდნეობითი ასპექტი ჩვენს კონცეფციაში უცხო და მშობლიურ ქვეყნებს შორის გადებული ხიდის როლს ასრულებს. დამატებით ქვეყანათმცოდნეობითი მასალა შეგიძლიათ ინტერნეტშიც მოიძიოთ.

უნარ-ჩვევები

geni@I-ის ყოველ თავში მოსწავლეებს ვუვითარებთ ყველა უნარ-ჩვევას სხვადასხვა თანმიმდევრობით და სხვადასხვა დატვირთვით.

მოსმენა

მოსმენა ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ემოციურ მხარესთან. არსებობს სასიამოვნო და უსიამოვნო ხმები. მოსასმენ ტექსტებს უცხო ენის გაკვეთილზე მრავალი ფუნქცია აქვს. ეს ფუნქციებია:

- 1. მოსასმენი ტექსტების გაგების უნარის შექმნა.** აუცილებელი არ არის მოსწავლეებმა geni@I-ისა და თუნდაც ვიდეოფილმის ბევრი ტექსტი მთლიანად გაიგონ ან მოსმენილი გაიმეორონ. ხშირად უფრო მნიშვნელოვანია ცალკეული უცხოენოვანი და უცხო კულტურის შესახებ მონოდეზული ინფორმაციის ამოკრეფა და გაგება;
- 2. საკუთარი მეტყველების განვითარების მოდელი.** დიალოგებში და სხვა სავარჯიშოებში გაძლევთ ნიმუშებს, რომელთა დახმარებით მოსწავლეებმა წარმოთქმაზე უნდა ივარჯიშონ. მოსმენის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი;
- 3. აბსტრაქტული მასალის ემოციური საყრდენი.** ლექსების, სიმღერების, ზოგადად, ენის ჟღერადობის დახმარებით მოსასმენი ტექსტები თვით აბსტრაქტული გრამატიკული მასალის სწავლასაც აადვილებს.

კითხვა

ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და ენის შესწავლის პროცესშიც კითხვის ორ ძირითად ფორმას განასხვავებენ: გასართობად კითხვას და ინფორმაციის მისაღებად კითხვას. ამ ორივე ფორმას შეხვედებით geni@I-ის მრავალფეროვან ტექსტებში. ვფიქრობთ, რომ გარკვეული დროის შემდეგ კითხვისას ტექსტის გაგების სამი დონის განსხვავებას მოსწავლეები თვითონვე შეძლებენ:

გლობალური კითხვა: ამ დროს ხდება ტექსტის და მისი უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის ზოგადად გაგება.

სელექციური კითხვა: ამ დროს ხდება ტექსტიდან გარკვეული ინფორმაციის გაგება.

დეტალური კითხვა: აქ საჭიროა ტექსტის ყველა დეტალის გაგება.

ლაპარაკი

უცხო ენის გაკვეთილი აზრს კარგავს, თუ ამ ენაზე ლაპარაკს არ სწავლობენ. უცხო ენაზე ლაპარაკი ყოველი გაკვეთილის განუყოფელი ნაწილია. პრაგმატული დიალოგების შედგენისას ვხელმძღვანელობთ ევროკომისიის სარეკომენდაციო ნორმატივის A1 დონისთვის საჭირო ლექსიკითა და გრამატიკით და იმ მოთხოვნებით, რომელიც ამ დოკუმენტის მიხედვით არის განსაზღვრული („begrüßen“, „nach dem Weg fragen“ etc.). ლაპარაკი მჭიდროდაა დაკავშირებული მოსმენასთან. მოსმენა და ლაპარაკი წარმოადგენს „ინტერაქტიურ დუეტს“. უცხო ბგერის სწორად წარმოთქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელია, თუ მას სწორად მოისმენ.

აქედან გამომდინარე, უცხო ენის შესწავლის საწყის ეტაპზე წარმოთქმაზე და ინტონაციაზე ვარჯიში გაკვეთილის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

წერა

geni@-ში ვავითარებთ წერის ოთხ ფორმას:

- წერა ინფორმაციის გადასაცემად (მაგ: ღია ბარათი)
- წერა ინფორმაციის ჩასანერად (მაგ: ჩანიშვნები)
- წერა საკუთარი თავის შესახებ (Ich-Texte, მაგ: დღიური)
- წერა რაიმეს დასასწავლად: სიტყვებზე და გრამატიკულ მასალაზე წერიტი სავარჯიშოები.

„სწავლის სწავლა“: geni@-ის სწავლის სტრატეგიები და სასწავლო რჩევები

geni@-ის ყოველ თავში ვიძლევი სასწავლო რჩევებს და სწავლის სტრატეგიების სავარჯიშოებს. ამ წიგნში დამატებით მიიღებთ მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს მოსწავლეებს სტრატეგიების გაცნობიერებაში. ძირითადი საკითხები შეგიძლიათ მე-16-მე-17 გვერდებზე მოცემულ საძიებელში ნახოთ. მოსწავლეებს ცალკე ვაძლევთ პრაქტიკულ რჩევებს ლექსიკონში.

ყოველი თავი აგებულია მთელი რიგი მეთოდურ-დიდაქტიკური მოსაზრებების საფუძველზე, რომლებიც ჩვენ, ნაწილობრივ, საუნივერსიტეტო და საკვალიფიკაციო სემინარებიდან, ნაწილობრივ, საკუთარი პრაქტიკიდან და ასევე სპეციალური მეთოდური ლიტერატურიდან ავიღეთ. უფრო თვალსაჩინო და გასაგები რომ გავგეხად, ისინი ჩავრთეთ თითოეული თავის კომენტარებში.

მასწავლებლის როლი / მოსწავლის როლი:

როგორ შეიძლება მასწავლებელი და სასწავლო მასალა დაეხმაროს მოსწავლეს იმაში, რომ მან რაც შეიძლება აქტიური როლი შეასრულოს სწავლის პროცესში? ამისათვის არსებობს ორი ძირითადი პრინციპი:

I პრინციპი: მასწავლებელიც და მოსწავლესაც ფიქრობენ იმაზე, რა როლი უნდა შეასრულონ სწავლის პროცესში.

II პრინციპი: მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, რაც შეიძლება აქტიური მონაწილეობა მიიღონ სწავლის პროცესში, მაგ: მიეცით მათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ სასწავლო მასალების მომზადებაში.

გრამატიკის როლი geni@I-ში

ზოგადი პრინციპები

რადგან მოსწავლეები გერმანულ ენას უმეტეს შემთხვევაში მეორე უცხო ენად სწავლობენ, მათ შორის საქართველოშიც, geni@I-ის გრამატიკული მასალის გეგმის შესადგენად ვიხელმძღვანელებთ ე.წ. მეორე უცხო ენის შესწავლისას არსებული პრობლემების და ბოლო ათი წლის დიდაქტიკური კვლევის შედეგებით.

რამდენიმე მოსაზრება ენის შესწავლის პროცესის თანმიმდევრობის შესახებ

geni@I-ის გრამატიკული პროგრესის შედგენისას ვხელმძღვანელობდით შემდეგი პრინციპებით:

- მარტივიდან რთულისკენ (სტრუქტურის კომპლექსურობა)
- ხშირიდან იშვიათისკენ (რა სიხშირით გვხვდება ეს სტრუქტურა)
- უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სტრუქტურებიდან (სტრუქტურის ტრანსფერული პოტენციალი)
უფრო ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სტრუქტურებისაკენ
- ნაცნობი კონტექსტებიდან ახალი, (ენის შემსწავლელის ცოდნასთან მიმართება)
უცნობი კონტექსტებისაკენ
- პრაგმატულად განაწილებული (მასალის პორციებად მიწოდება)
გრამატიკული მასალა
- გრამატიკული მასალის უნივერსალური თანმიმდევრობა

გრამატიკული მასალის პრაქტიკულად გამოყენების პრინციპები

- გრამატიკული სტრუქტურების დაკავშირება პრაქტიკული მნიშვნელობის თემებთან. პრინციპი: წინა პლანზე შინაარსი, “form follows function”.
- მასალის გადაცემის დროს დამხმარე თვალსაჩინოების გამოყენება.
- გრამატიკული სტრუქტურების დაყოფა ადვილად შესასწავლ და ფუნქციურად დასაბუთებულ ნაწილებად.
- სავარჯიშოების შედგენა ხდება არა გრამატიკულ სტრუქტურებზე დაყრდნობით, არამედ გრამატიკული სტრუქტურების გამოყენებით.

სტრუქტურების არჩევა

შესასწავლი გრამატიკული სტრუქტურების არჩევისას ვიხელმძღვანელებთ Profile Deutsch-ის და ევროსაბჭოს საერთო სტანდარტის ნორმატივით. geni@I-ის პირველი წიგნი შეესაბამება ამ სტანდარტის A1 დონეს, ხოლო მეორე წიგნი — A2 დონეს.

geni@l

Deutsch als Fremdsprache für Jugendliche

Lehrerhandbuch A1

Inhaltsverzeichnis

A	geni@l auf einen Blick	
	1 Die Druckmaterialien	4
	2 Die Audiomaterialien (CD oder Audiokassette)	5
	3 Das Video	5
	4 Die PC-Materialien (CD-ROM und Internet)	6
B	Allgemeine didaktische Grundlagen und Tipps zur Arbeit mit geni@l	
	1 Landeskunde	7
	2 Die Fertigkeiten	7
	2.1 Hören	7
	2.2 Lesen	7
	2.3 Sprechen	8
	2.4 Schreiben	8
	3 „Lernen lernen“ – zur Arbeit mit Lernstrategien und Lerntipps in <i>geni@l</i>	8
	4 Zur Rolle der Grammatik in <i>geni@l</i>	9
	5 Zur Rolle der multimedialen Lernkomponenten in <i>geni@l</i>	12
C	Hinweise für den Unterricht	
	Ausführliches Inhaltsverzeichnis des Kursbuches	16
	Kommentare zu den Einheiten	18
	Grammatik im Überblick	111
	Alphabetische Wortliste	121
	Anhang	130
	Quellenverzeichnis	132
D	Transkripte der Hörtexte von Kursbuch und Arbeitsbuch	133
E	Kopiervorlagen	145
F	Lösungsschlüssel für die Aufgaben des internationalen Arbeitsbuches	160

	Themen	Kommunikation	Textsorten
1	Deutsch hören und sprechen Die Clique: Dialoge	Fragen stellen nach Personen und Sachen Jemanden begrüßen Verständigung sichern: Buchstabieren	Collage · Lied · Dialoge · Zeitungstexte
2	Die Videogruppe: Informationen über Personen Ein Quiz: <i>Wer ist das?</i> · Herkunft · Der <i>www.rap</i>	Auskunft über sich und andere geben: Name, Wohnort, Herkunft, Alter Wdh.: Buchstabieren Wdh. und Erweiterung: Dialoge E1	Lied (Rap) · Brief (E-Mail) · Ich-Texte
3	Schulsachen · Ratespiele: <i>Wörter-ABC und Schiffe versenken</i> · Dialoge: <i>Keine Zeit!</i>	Verständigungssicherung: nach Objekten fragen Objekte benennen	Dialoge · Collage
4	Die Goetheschule in Kassel	Informationen über den Schulalltag erfragen und geben Nach Größe und Uhrzeit fragen	Stundenpläne · Schulbeschreibung (Internetseite) · Cartoon · Brief · Ich-Texte: <i>Meine Schule, Mein Schultag</i>
5	ABC-Spiel · Fußball in der Klasse · Fragespiele · Dialogspiele · Aufgaben zum Video Aussprache: Rhythmus, Satzakzent, lange und kurze Vokale Lernen mit System: konzentrieren und Pausen machen, Lernkarten zu Nomen, Verben, Sätzen und Dialogen		
6	Tiere, Leute und Farben Eine Geschichte: <i>Bora ist weg</i> Die Deutschen und ihre Hunde Quiz und Spiele	Sagen, was/wen man mag / nicht mag Nach Personen und Sachen fragen Ein Haustier beschreiben	Landeskundetext: Hunde · Eine Geschichte · Ich- Text: <i>Mein Haustier</i>
7	Verabredungen · Wochenpläne · Tagesablauf · Bildgeschichte: <i>Ein Missverständnis</i> · Lied: <i>Keine Zeit, keine Zeit!</i>	Sich verabreden / Einen Termin vorschlagen Zustimmen/Ablehnen	Collage (Veranstaltungen) · Dialoge · Lied · Bildge- schichte · Anrufbeantwor- ter · Terminkalender
8	Freizeit, Termine und Hobbys Interviews in der Klasse Vergleiche	Vergleichen Fragen, was jemand gut / besser / am besten kann Sagen, was man (wann) gern tut	Collage (Hobbys) · Ich- Text: <i>Hobbys</i>
9	Familien Positionsangaben Ein Fotoroman Sprache in der Klasse	Ein Familienfoto beschreiben Positionsangaben machen / Sagen, was wo ist Nichtverstehen signalisieren / Um Erklärung bitten Jemandem sagen, was er tun soll: Anordnungen	Familienfoto · Fotoroman · Ich-Text: <i>Meine Familie</i>
10	Tiere beschreiben: <i>Wie heißt das Tier?</i> · Nomen raten: <i>Ich sehe was, was du nicht siehst</i> · Termine planen · Trennbare Verben · Das Formel-1-Spiel ... Aussprache: <i>ich</i> und <i>ach</i> · Wortakzent · Betonung im Satz · Aufgaben zum Video Lernen mit System: richtig wiederholen, Zeitprobleme		
11	Gute Wünsche · Geburtstag · Termine und Daten · Einladungen · Geburtstagspartys und Spiele	Eine Einladung aussprechen Jemanden beglückwünschen Eine Ausrede/Entschuldigung formulieren	Dialoge · Einladung · Lied · Landeskundetext: Geburtstag
12	Meine Schule · Räume in der Schule · Orientierung · Eine Geschichte: <i>Die Klassenarbeit</i>	Fragen, wo etwas/jemand ist Jemandem sagen, wohin er gehen soll Sich in einem Gebäude orientieren	Dialoge · Eine Geschichte
13	Deutschland, Österreich und die Schweiz · Reisen · Reiseplanung · Orientierung: Orte und Zeiten · An der Imbissbude	Vorschläge machen: Reiseziele Zustimmung/Ablehnung ausdrücken Gegenvorschläge machen Speisen und Getränke bestellen	Sachtext: Jugendherber- gen · Speisekarte (Im- bissbude) · Ansichtskarte · Jugendherbergsausweis
14	Ein Tag in Corinnas Leben Tagesabläufe Berufe Ein Spiel: <i>Berufe raten</i>	Einen Tagesablauf beschreiben Eigene Freizeitaktivitäten beschreiben Berufswünsche äußern Ein Bäcker backt Brot	Ich-Text: <i>Mein Tagesablauf Meine „Berufe“</i>
15	Gute Wünsche · Verabredungen · Termine · Wortschatz und Dialoge üben · Präpositionen Landeskunde: Schulferien · Urlaubspostkarten · Spiele: <i>Was ist wo in der Schule?</i> , Laufdiktat · Landeskundequiz: <i>Das geni@l-Millionenspiel</i> · Aufgaben zum Video · Aussprache: Satzmelodie · Lernen mit System: Sich selbst testen, Lesestrategien: Eine Homepage lesen · Über den Deutschunterricht nachdenken und sprechen		

Wortschatz	Grammatik	Lernen lernen
Internationale Wörter	Das Alphabet Intonation: Wortakzent Verben: <i>mögen, können</i>	Wortakzente markieren · Internationale Wörter finden · Wörter in Listen ordnen · Ein Lernplakat machen
Ländernamen Ortsnamen Hobbys	Verben: Konjugation regelmäßiger Verben im Singular · Wortakzent: kurz oder lang · Satzmelodie · W-Fragen · Aussagesätze · Fragepronomen: <i>Wie? Wo? Woher? Wer? Was? Wdh.:</i> Verben: <i>mögen, können</i>	Informationen sammeln und ordnen · Mit dem Wörterbuch arbeiten · Verben markieren · Lesestrategie: Informationen zu W-Fragen suchen · Lernplakat: Aussprache
Schulsachen	Nomen und Artikel · Verneinung: <i>ein, kein</i> · Komposita · <i>Ja/Nein</i> -Fragen · Satzstellung · Wdh.: Fragepronomen <i>Was?</i>	Lerntipps zum Wörterlernen (Nomen/Artikel) · Regeln selbst finden
Schulfächer Wochentage Zahlen 1–100 Uhrzeiten	Verben: Pluralformen · Personalpronomen im Plural · Pluralformen der Nomen · Fragepronomen: <i>Wann? Wie viel?</i>	Lesestrategie: nach Bekanntem suchen · Eine Grammatiktafel selbst machen · Lernkarten schreiben
Tiere Körperteile (Hund) Farben	Akkusativ: bestimmter und unbestimmter Artikel · Possessivartikel (im Singular) · Verben mit Akkusativ	Ein Themenplakat machen · Eine Regel selbst finden · S-O-S-Grammatik · Mit Lernkarten arbeiten
Freizeitaktivitäten Wochentage Wdh.: Zahlen	Verben mit abtrennbarem Präfix · Präposition <i>in</i> + Akkusativ · Verneinung mit <i>nicht</i> · Wdh.: Verneinung mit <i>kein-</i> , Modalverb <i>können</i>	Mit Dialoggrafiken und Sprachbaukästen arbeiten · Eine Regel selbst finden
Hobbys · Tätigkeiten · Zeitangaben Wdh.: Freizeitaktivitäten	Verben: unregelmäßige Verben · Nomen + Verb: <i>Gitarre spielen</i> · Wortstellung: Zeitangaben in Sätzen · Adjektivkomparation: <i>gern, gut</i> · Fragepronomen: <i>Wohin?</i> · Wdh.: Verb <i>mögen</i> , Verneinung	Mit dem Wörterverzeichnis und mit Lernkarten arbeiten · Ein Lernplakat machen
Familie Positionsangaben	Possessivartikel im Plural · Nominativ und Akkusativ · Imperativ: formell und informell · Wdh.: Possessivartikel im Singular	Einen Lerntipp und eine Tabelle ergänzen
Jahreszeiten · Monate · Ordnungszahlen · Wdh.: Termine, Uhrzeiten, Wochentage	Verben: Modalverben <i>können, müssen, dürfen</i> im Satz (Satzklammer) · Präteritum von <i>sein/haben</i> · Zeitangaben: <i>gestern</i> · Wdh.: Fragepronomen: <i>Wann? Wo?</i>	Informationen sammeln und ordnen · Wdh.: Mit einer Dialoggrafik arbeiten
Räume in der Schule Wdh.: Schulsachen, Positionsangaben	Ortsangaben mit Dativ · Präpositionen: <i>in, auf, bei, neben, vor, hinter, unter, an, zwischen</i> · Richtungsangaben: <i>hoch, runter</i>	Eine Grammatiktafel ergänzen · Fehler korrigieren
Reiseziele · Speisen u. Getränke · Wdh. u. Erw.: Positions- und Richtungsangaben	Modalverben: <i>wollen, mögen (möchte)</i> · Personalpronomen im Dativ: <i>mir/ uns</i> · Präpositionen im Akkusativ: <i>nach/an den/die, ans</i> · Präposition <i>mit</i> + Dativ	Mit einem Dialogbaukasten / Mit einer Landkarte arbeiten · Hörstrategien: selektives Hören
Berufe und Tätigkeiten Wdh.: Wochentage	Genitiv- <i>s</i> : <i>Draculas Nacht</i> · Personalpronomen und Reflexivpronomen im Akkusativ · Angaben: Frequenz (<i>immer</i> etc.), Reihung (<i>zuerst</i> etc.)	Lesestrategien üben · Eine Grammatiktafel selbst machen · Einen Lerntipp ergänzen

გაკვეთილის სანიმუშო გეგმა

დრო	სასწავლო მიზნები	მოსწავლეების აქტივობები	სწავლების სოციალური ფორმა	მასალა	მედიები	მასწავლებლის აქტივობები	შენიშვნა
10 წთ.	მოსწავლეების თემაში შეყვანა ა) მოტივაციის შექმნა (კოლაჟით მუშაობა)	მოსწავლეები ათვალიერებენ კოლაჟის სურათებს და ასახელებენ სიტყვებს, რომლებიც ამ სურათებს უკავშირდება (მაგ. Michael Schumacher, Volkswagen, Mozart, Musik და ა.შ.)	მუშაობა ფორუმში	მოსწავლის წიგნი გვ. 6 / 1	მოსწ. წიგნი. კოლაჟი, დაფა	მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს წიგნის კოლაჟს და სთხოვს მათ, დაასახელონ ის სიტყვები (სიტყვების დასახელება შეუძლიათ ქართულადაც), რომლებიც მათ ამ სურათების დანახვისას გაახსენდებათ. მასწავლებელი წერს ამ სიტყვებს დაფაზე. რასაც მოსწავლეები ვერ იტყვიან, იმას თვითონ ასახელებს და დაფაზე წერს. (შესაძლო სიტყვებს ნახავთ მასწავლებლის წიგნის კომენტარებში).	
15 წთ.	ბ) სიტყვების ამოცნობა (წანაწერთ მუშაობა)	მოსწავლეები ისმენენ სიმღერას და ასახელებენ სიტყვებს, რომლებიც გაიგეს	მუშაობა ფორუმში	მოსწ. რეკული გვ. 4 "Deutsch ist super"	აუდიოკასეტა დაფა	მასწავლებელი თავიდან ბოლომდე ორჯერ ასმენინებს მოსწავლეებს სიმღერას სამუშაო წიგნიდან (წიგნები დახურულია), ყოველი სტროფის შემდეგ აჩერებს კასეტას და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ ის სიტყვები, რომლებიც გაიგეს. ამ სიტყვებს ისევ დაფაზე წერს, შემდეგ ამლევინებს მოსწავლეებს წიგნებს, კიდევ ერთხელ ასმენინებს სიმღერას თხოვნით, მოსმენისას თვალში მიაყოლონ ტექსტს და წერს დარჩენილ სიტყვებს დაფაზე.	
15 წთ.	გ) სიტყვების სემანტიზაცია	მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად აჯგუფებენ სიტყვებს კატეგორიების მიხედვით	მუშაობა ჯგუფებში	დაფაზე მოგროვილი სიტყვები	დაფა	მასწავლებელი წერს დაფაზე შემდეგ კატეგორიებს: თავისუფალი დრო – ტურიზმი; მანქანა – ტექნიკა; სპორტი; მუსიკა. ის სთხოვს მოსწავლეებს დაფაზე დაწერილი ყველა სიტყვა ასევე დააჯგუფონ.	
15 წთ.	ახალი მასალის (დიალოგების) პრეზენტაცია	მოსწავლეები ისმენენ დიალოგებს და ადარებენ მოსმენილს მე-7 გვერდზე მოცემულ ტექსტს	მუშაობა ფორუმში	მოსწ. წიგნი, გვ. 7 დიალოგები	კასეტა, მოსწ. წიგნი	მასწავლებელი პაუზებით ასმენინებს მოსწავლეებს დიალოგებს და მოითხოვს მათგან მე-7 გვერდზე მოცემულ ტექსტში ამოცნონ ნიხადადებები წანაწერიდან.	
15 წთ.		მოსწავლეები ისმენენ განმარტებებს და ასახელებენ დიალოგებში ამოცნობილ სიტყვებს	მუშაობა ჯგუფებში	მოსწ. წიგნი, გვ. 7	დაფა	მასწავლებელი განმარტავს წინადადებების შინაარსს, ეკითხება, შეკითხვის დასმის კიდევ რა ფორმები მოისმინეს. დიალოგებში და წერს ამ ფორმებს დაფაზე.	

	ახალი მასალის (დიალოგების) სემინარები			დიალოგები		– "Und wer ist das?" – "Wie bitte?" ბოლოს მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რომელი სიტყვები გაიგეს მათ ამ დიალოგებში გაკვეთილის დასაწყისში დაფაზე მოგროვილი სიტყვებიდან
5 წთ.	ხმების იდენტიფიცირება	მოსწავლეები ისმენენ ხმებს და აჯგუფებენ ამ ხმებს კოლაჟის სურათებთან	მოსწავლეები	მოსწ. ნიგნი გვ. 7/2.	მოსწ. ნიგნი, კასეტა	მასწავლებელი ასმენინებს მოსწავლეებს კასეტაზე ჩანერილ ხმებს და სთხოვს მათ ხმები დააჯგუფონ კოლაჟის სურათებთან
10 წთ.	მასალის განმტკიცება. კითხვითი წინადადებების დასმა კითხვითი სიტყვებით "wer?" "was?" და პასუხის გაცემა	მოსწავლეები სვამენ კითხვით სიტყვებს წინადადებებში, ამონებენ წყვილებში და შემდეგ ფორუმში და ბოლოს კითხულობენ საგარჯიშოს დიალოგში	მოსწ. რვეული გვ. 5/1.	სამუშაო რვეული	მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს დავალების არსს: რომელ კითხვით წინადადებაში უნდა ჩასვან მათ "wer?" და რომელში "was?". შემდეგ აკითხებს ამ საგარჯიშოს დიალოგებში.	
10 წთ.	მასალის განმტკიცება / მასალაზე კარჯიში	მოსწავლეები ცდილობენ დააჯგუფონ სურათები ქვეყნებთან და ამას ნაწილობრივ მასწავლებლის დახმარებით აკეთებენ	მოსწ. რვეული გვ. 5/2	მოსწ. რვეული დავა	მასწავლებელი წერს დაფაზე: A-ავსტრია D-გერმანია CH-შვეიცარია (ან ხაზავს ქვეყნის კონტურებს, როგორც ეს მოცემულია მოსწავლის რვეულში: გვ. 5), შემდეგ სვამს შეკითხვას: "Ist das Bild N1 aus Deutschland?" და ა.შ. მოსწავლეები ამბობენ თავიანთ ვარიანტებს. მასწავლებელი ეხმარება მათ და შედეგებს წერს მოსწავლეების დახმარებით დაფაზე ასოების ან კონტურების ქვეშ.	
	გარჯიში. საშინაო დავალება	მოსწავლეებმა სახლში უნდა მოაგროვონ სურათები გერმანულენოვან ქვეყნებზე (თუ ამის საშუალება აქვთ) და გაკვეთილზე საკუთარი კოლაჟი შეადგინონ			მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს დავალების შინაარსს.	

* ჩვენ მიერ შემოთავაზებული გეგმა ერთ-ერთია იმ უამრავი ვარიანტიდან, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება მოცემული მასალის მიხედვით გააკეთოს. ჩვენ, უბრალოდ, შევეცადეთ თქვენთვის ნომურის სახით მასალა ასე დაგვეგეგმა, თქვენს გაკვეთილს ჩვენ მიერ გაკეთებული გეგმის მიხედვით ჩაატარებთ თუ მას სხვანაირად დაგეგმათ, ეს თქვენი გადასაწყვეტია. მოცემული გეგმა შეიძლება ორ გაკვეთილზე (45 წთ.) განაწილდეს.

თავი I.

ზოგადი მიმოხილვა

გერმანული ენის პირველი გაკვეთილი მიზნად ისახავს, ენის შემსწავლელს ინტერესი გაუღვიძოს და ცნობისმოყვარეობა გაუძლიეროს შესასწავლი ენის მიმართ. მოსწავლეებს პირველ დავალებაში ვაძლევთ რამდენიმე საერთაშორისო სიტყვას, რითაც ვეხმარებით მათ იმის გაცნობიერებაში, რომ ბევრი სიტყვა მათთვის უკვე ნაცნობია. ამით მოფუხსნიტ მოსწავლეებს უცხოურ ენასთან შეხვედრის პირველი შიშს, რაც მათ სწავლის პროცესის დაწყებას გაუადვილებს. გაკვეთილში აქტიური მონაწილეობა და ის, რომ მათ უკვე შეუძლიათ უცხოურ ენაზე პატარა წინადადებები წარმოთქვან, მოტივაციის შექმნის მნიშვნელოვანი საფუძველია. ამიტომ ვინცებთ შეკითხვებით ქვეყნის შესახებ იმ ენობრივი მასალის დახმარებით, რომელიც უცხოურ ენაზე საკუთარი პიროვნების წარდგენის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, თავიდანვე ვაცნობთ მოსწავლის წიგნის პერსონაჟთა ჯგუფს.

geni@I-ის პირველი თავში აგრეთვე განხილულია: ანბანი, სიტყვის დამარცვლა და მარტივი დიალოგები.

მოსწავლეები თავიდანვე ეცნობიან მარტივი ტექსტების გლობალური კითხვის ტექნიკას და სტრატეგიას, რაც მათ სწავლის პროცესის სწორი გზით წარმართვას გაუადვილებს.

AB⁶: S.4 „Deutsch ist super“ – vor dem Kursbuch.

1. კოლაჟი გვიჩვენებს, როგორ მუშაობენ მოსწავლეები კლასში. ნაწილი სამი გერმანულენოვანი ქვეყნის ფოტოსურათებს (D-A-CH)⁷, ჭრის და კედელზე კიდებს, ნაწილი კი მაგნიტოფონით მუშაობს.

რჩევა: თავდაპირველად დაფაზე ჩამოწერეთ სიტყვები, რომლებიც მოსწავლეებს სურათების ნახვისას გაახსენდებათ, (გერმანულად ან მშობლიურ ენაზე). ამის შემდეგ დაალაგეთ სიტყვები შემდეგი თემების მიხედვით: თავისუფალი დრო, ტურიზმი, მანქანა/ტექნიკა, სპორტი და ა.შ.

სიტყვები, რომლებიც შეიძლება დასახელდეს:

Deutschland, VW, Ferrari, Schumacher, Champion, Matterhorn, Basketball, Wien, Mozart, Musik, Mercedes, Berlin, Bach, Alpen...

ბოლოს მოასმენინეთ მოსწავლეებს დიალოგები. ყოველი დიალოგის შემდეგ გააჩერეთ კასეტა და შეამოწმეთ, რომელი ფრაზა იყო გასაგები. ფრაზები მოცემულია მე-7 გვერდზე მოცემული ფრაზებიდან.

AB: *Übungen 1,2,3.*

მიუთითეთ იმაზე, შეკითხვის და პასუხის გაცემის სხვა რომელი ფორმები გვხვდება მოსასმენ ტექსტებში. („Und wer ist das?“, „Wie bitte?“)

Fotos – Kommentare – internationale Wörter



1 Was ist das? Wer ist das?



6 sechs

კოლაჟით მუშაობა:

geni@I —ის მე-6, მე-10, მე-19 და ა.შ. გვერდებზე გვაქვს კოლაჟები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ქვეყანათმცოდნეობისა და ენობრივი ასპექტების შესახებ.

ზოგადად...

კოლაჟები უცხო კულტურის ვიზუალური და ენობრივი ინფორმაციიდან სასურველის აღქმის საშუალებას იძლევა. მოსწავლეები შეძლებენ, ახალი სიტყვები და

ინფორმაცია ქართულ სიტყვებს დაუკავშირონ. ენის შემსწავლელს შეუძლიათ თავიანთი ინტერესის მიხედვით ამოირჩიონ და იკითხოონ სიტყვები და ამგვარად გაიმდიდრონ ლექსიკური მასალა.

აუცილებელი არ არის კოლაჟის ყველა სიტყვის თემატიზირება ან დასწავლა.

კოლაჟების წყვილებში დათვალიერებით თავისთავად მნიშვნელოვნად იზრდება სწავლის ეფექტურობა.

AB⁶ - Arbeitsbuch / სამუშაო წიგნი
D-A-CH⁷ - Deutschland, Österreich, die Schweiz



6



7



8

Wer ist das?	Das ist Michael Schumacher. Das ist Mozart. Keine Ahnung.
Was ist das?	Das ist ein VW / ein Ferrari. Das ist das Matterhorn.
Ist das Frankfurt?	Nein, das ist Berlin.
Das Foto	ist aus Deutschland. aus Österreich. aus der Schweiz.
Das Foto	ist schön/interessant.

2 Geräusche, Töne und Bilder – Was ist das? Was passt zusammen?



1 გადაამონმეთ მოსწავლეებთან ერთად, რომელი სიტყვები შეგხვდათ წიგნის ან კასეტის ტექსტში იმ სიტყვებიდან, რომლებიც სულ დასაწყისში დაასახელეთ.

რჩევა: მიეცით მოსწავლეებს დავალება, შეაგროვონ ვიზუალური მასალა (სურათები, ჟურნალებიდან ამოღებული ფოტო-მასალა, შოკოლადის შესაფუთი ქაღალდი და ა.შ.), მოიტანონ ეს ყველაფერი შემდეგ გაკვეთილზე და ჯგუფში სხვა რამდენიმე ბავშვთან ერთად შეადგინონ თავიანთი კოლაჟი.

შედეგი: საკუთარი კოლაჟის კომენტარებისას მოსწავლეები გამოიყენებენ დიალოგში ნასწავლ ენობრივ მასალას. გადაულეთ ფოტოები მოსწავლეებს მათ კოლაჟებთან ერთად და გააკეთეთ კლასის პირველი პლაკატი, რომლითაც მოხდება მუშაობის შედეგების დოკუმენტირება.

2. მოსწავლეები ისმენენ სხვადასხვა ხმას და ხმაურს, რომლებიც მათ კოლაჟის სურათებს უნდა მიუსადაგონ.

პასუხები: 1=Bild 2; 2=Bild 7; 3=kein Bild passt, aber das Vorurteil, dass es in D. Oft regnet; 4=Bild 4; 5=Bild 3

geni@I-ის კოლაჟების უმრავლესობა მხოლოდ დასათვალისწინებლად კი არ არის მოცემული, არამედ ისინი წარმოადგენს კლასში საკუთარი კოლაჟების შექმნის ნიმუშებსაც, იმის მიხედვით, თუ რამდენი დრო გაქვთ და რა მასალები გაგაჩნიათ. მიეცით მოსწავლეებს საკმარისი დრო კოლაჟების დასათვალისწინებლად.

სთხოვეთ მოსწავლეებს გააკეთონ ჩანიშნული კოლაჟებზე, მაგ. ასე: „სიტყვების საკუთარი სიის შედგენა“:

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოწერონ ხუთიდან რვა მდე სიტყვა, რომლებიც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ და რომლის დასწავლაც უნდათ. ორი მოსწავლე ადგენს ერთ სიას. გადაამონმეთ მთელ კლასში, თუ რა დაიმახსოვრეს მათ.

მასალის გამეორება: რამდენიმე კვირის შემდეგ შეგიძლიათ კიდევ ერთხელ აჩვენოთ მოსწავლეებს კოლაჟები და ჩამოაწერინოთ ის სიტყვები, რომლებიც ახსოვთ.

ეს უკვე ვიცო	ეს მაინტერესებს	ეს ჯერ არ ვიცო

3. კასეტის ჩანაწერის მოსმენა. მოაგროვეთ სიტყვები დაფაზე. რის გაგება შეძლეს მოსწავლეებმა?

თუ შესაძლებელია, გადაიღეთ სურათის გადიდებული ასლი, აჩვენეთ მოსწავლეებს სურათის მხოლოდ ერთი ნაწილი და მოასმენინეთ მისი შესატყვისი დიალოგი. კლასი ხმამაღლა იმეორებს მოსმენილ დიალოგს.

„Zoff“ აღნიშნავს ჯგუფს, რომელიც კონცერტს მართავს. „Zoff“ აქ არ გულისხმობს ჩხუბს ან უსიამოვნებას.

4. ამის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში და იმეორებენ დიალოგებს.

გაითამაშეთ თვითონ დიალოგი რომელიმე (სასურველია კარგ) მოსწავლესთან ერთად (მოსწავლის სახელით). მოსწავლეები კვლავ წყვილებში ვარჯიშობენ და ბოლოს ფორუმში გაითამაშებენ მისაღმების სცენას.

AB: S 6, Übung 4 (Klassenarbeit)

Übung 5 (Dialog 1 – als Klassenarbeit oder Hausaufgabe, Dialog 2,3-als Hausaufgabe).

5. მოასმენინეთ სიმღერა თავიდან ბოლომდე: რომელი სიტყვები გაიგეს მოსწავლეებმა?

მოასმენინეთ ტექსტი მეორედ და ამდრეთ ჩანაწერთან ერთად (ტექსტი წერია დაფაზე):

In Paule Puhmanns Paddelboot,*
da paddeln* wir auf See.
Wir paddeln um die halbe Welt,
Alohahohahee!

Guten Tag, auf Wiedersehen!
Guten Tag, auf Wiedersehen!

* das Paddelboot = das kleine Boot, das mit Paddeln* fortbewegt wird.

* das Paddel = (eng. paddle):Stange mit breitem Blatt an einem oder an jedem Ende zur Fortbewegung eines Bootes.

* paddeln = mit dem Paddel das Boot fortbewegen.



Hallo, wie heißt du?



3 Hallo, wie heißt du? – Hörst und lest die Dialoge.



1

- Hallo, ich heiße Marco, und du?
- Janine.
- Magst du „Zoff“?
- Ja, und du?

2

- Hallo Luise.
- Tag, Sophie, wie geht's?
- Danke, gut, und dir?
- Auch gut, danke.

3

- Hi, Olli! Echt cool hier.
- Oh, ja! Guten Abend, Herr Schmidt.

4

- Tschüs, Sophie.
- Tschau, Frau Maier.

5


- Auf Wiedersehen, Herr Müller.
- Auf Wiedersehen, Tom. Bis bald.



4 Übt die Dialoge aus Aufgabe 3 mit anderen Namen.



5 Ein Lied: Paule Puhmanns Paddelboot.



Guten Tag, auf Wiedersehen! Guten Tag, auf Wiedersehen!

8 acht

6 Das Alphabet mit Musik üben.

A B C D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z
 Ä Ö Ü
 a b c d e f g h i j k l m n o p q r s t u v w x y z
 ä ö ü

7 Die Clique – Dialoge hören und sprechen.



- Wie heißt du?
- Wer, ich?
- Ja, du!
- Ich heiße Cora, und du?
- Rudolf.
- Und wer ist das, Rudolf?
- Das ist Turbo.
- Wie bitte?
- Ja, sie heißt Turbo. Und wer ist das?




8 Wortakzent – Schreibt die Wörter. Hörst zu und markiert den Wortakzent.

Marco – Cora – Turbo – Rudolf – Berlin – Müller – Luise – VW – Tennis – Musik – Schule –
 Guten Morgen – Foto – Deutschland – Frankfurt

Marco – Cora

9 Wie bitte? – Namen buchstabieren.

- Ich heiße Rudi.
- Xiao Lin.
- Wie bitte?
- Xiao Lin.
- Kannst du das buchstabieren?
- X I A O L I N. Xiao Lin.
- Aha, tschau, Xiao Lin.



1



6. მოსწავლეები კითხულობენ ანბანს. რომელი ასო-ბგერაა მათთვის რთული? რომელი არ არსებობს ქართულ ენაში? ბოლოს ისმენენ და ჩანაწერთან ერთად სიმღერით წარმოთქვამენ ბგერებს.

7. დიალოგის მოსმენის შემდეგ მოსწავლეები ქართულად მსჯელობენ კომიქსის სამეგობროზე. შემდეგ კი წყვილებში ვარჯიშობენ დიალოგის წარმოთქმაზე.
 AB: S 7, Übungen 7,8.

8. კლასში მოსწავლეებთან ერთად წარმოთქვამთ სიტყვებს და აღნიშნავთ მახვილებს. შემდეგ ამონებთ აუდიოჩანაწერით და ასწორებთ. სავარჯიშოს მიზანია წარმოთქმის პრობლემების გაცნობიერება უკვე ნასწავლი სიტყვების მაგალითზე.

9. მოსწავლეები ისმენენ და წყვილებში კითხულობენ დიალოგს Rudi-ს და Xiao Lin-ს შორის. დიალოგში საყურადღებოა ის, რომ სიტყვა „Tschau“ ორგვარი მნიშვნელობით იხმარება (სახელი და გამომშვიდობება), რაც ერთნაირად წარმოითქმის, მაგრამ სხვადასხვანაირად იწერება. ამის შემდეგ მოსწავლეები წყვილებში ადგენენ ახალ დიალოგს საკუთარი სახელებით და მარცვლავენ ამ სახელებს.

10. მოსწავლეებს კოლაჟების შედგენის შემდეგ შეუძლიათ შემდეგი კოლაჟიდან და ორი ტექსტიდან ამოიღონ მთელი რიგი „გერმანული“ სიტყვები და ისინი საკუთარ ენაზე არსებულ სიტყვებს მიუსადაგონ.

სიაში ნაცნობი სიტყვები შეიძლება ყოფილიყო:

Star, Kino, Pizza, Salami, Computer, Trainer, Moment, Telefon, Chips, Technik, Auto ...

ჩამონერეთ სიტყვები დაფაზე ერთ სვეტში და მოსწავლეების დახმარებით თარგმნეთ ქართულად. შეადარეთ სიტყვების წარმოთქმა ერთმანეთს.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მობილურ ტელეფონს გერმანულად ჰქვია „Handy“. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა მხოლოდ გერმანულ ენაში არსებობს.

11.

ა) **რჩევა:** თუ შესაძლებელია, გადაიღეთ სურათების გადიდებული ასლები და მოსწავლეებს კომენტარები გააკეთებინეთ ქართულ ენაზე. ამის შემდეგ ავარჯიშეთ ისინი გლობალურ კითხვაში: რაზეა ლაპარაკი ორივე ტექსტში?

ბ) მიეცით მოსწავლეებს დრო საერთაშორისო სიტყვების მოსაძებნად.

რჩევა: გადაიღეთ ტექსტების ასლი. პირველ ტექსტში თითო-თითო სტრიქონი გამოაჩინეთ. მოსწავლეები წამოიძახებენ იმ სიტყვას, რომელიც ესმით. ბოლოს ქართულ ენაზე საუბრობთ იმაზე, თუ რაზეა ტექსტში ლაპარაკი. მეორე ტექსტს ანალოგიურად აჩვენებს ერთ-ერთი მოსწავლე.



Internationale Wörter

10 Welche Wörter kennst du? Wie heißen die Wörter in deiner Sprache?



10 zehn

11 Zwei Zeitungsnotizen

a Betrachtet die Fotos und lest die Texte.



Erste deutsche Medaille bei den Paralympics

Nach einer sensationellen Eröffnungsfeier haben die deutschen Athletinnen und Athleten ihren ersten Wettkampftag bestritten. Insgesamt 7 Entscheidungen standen in den Sportarten Judo, Radsport, Sportschießen und Rollstuhlbasketball auf dem Programm. Dabei gewann Sportschützin Sabine Brogle mit 490,1 Ringen Silber und holte die erste Medaille für das deutsche Team.

Erfreut zeigten sich die Behinderten-Sportfunktionäre auch über die ausführliche Präsenz in den Medien. ARD und ZDF setzten mit ihren täglichen Sondersendungen ein positives Signal.




Computer für Jenaer Gymnasien

Jena (TWB) Jenaer Gymnasien werden ab September mit modernster Computertechnik ausgestattet sein. Die JENOPTIK AG sponsert in 9 Gymnasien die Ausrüstung mit aktueller Computertechnik und Software im Gesamtwert von € 180.000. Über die Bedeutung des Internets braucht nicht mehr diskutiert zu werden. Jetzt werden die Voraussetzungen für die Schüler geschaffen, täglich mit den neuen Medien umzugehen. Die SBI (System- und Anwendungsberatung für Informationstechnologie) Jena wird die Installation in den nächsten Tagen starten.

b Internationale Wörter – Was kennt ihr? Notiert die Wörter.

12 Lernplakat „Internationale Wörter“ – Sammelt und macht eine Liste.



13 Deutsch hören – Welche Wörter verstehst du? Notiere.

12. მონაკვეთის დასრულება: მოსწავლეები წინა გვერდებზე ნასწავლ სიტყვებს უმატებენ ახალ სიტყვებს და აგრძელებენ ახალი სიტყვების სიის შედგენას. მიეცით მათ საშუალება გააცნობიერონ, რამდენი გერმანული სიტყვა ისწავლეს.

AB: S 8, Übung 9 –(Hausaufgabe oder Klassenarbeit)

Übung 10 – (Klassenarbeit/ als Gruppenarbeit: Machen Sie in der Klasse einen Wettbewerb zwischen den Gruppen. Wer die Aufgabe schneller bzw. richtig macht, gewinnt.)

AB: S10, Das Sprachgenie (Klassenarbeit).

13. მოსწავლეები ისმენენ ორ სხვადასხვა ტიპის ტექსტს გერმანულად: სავაჭრო ცენტრში გამოცხადებულ ერთ ინფორმაციას და ორ რადიოგანცხადებას.

მოასმენინეთ მოსწავლეებს ყველა ტექსტი ორჯერ და ჩამონერეთ სიტყვები დაფაზე.

სიტყვები, რომლებიც აქ შეიძლება ამოიცნოთ:

უნივერმალში: Clips, mega, Party, italienisch, Pizza, Ravioli⁸, Tomaten, Soße, Sport, Adidas, Tennis, Elektronik, fantastisch, Handy, mobil, telefonieren

რადიოში: präsentieren, Top 40, super, Hits, USA, UK, Szene, Minuten, Radio

⁸ Ravioli: იტალიური საჭმელი

ზოგადი მიმოხილვა

ამ თავში მოსწავლეები ეცნობიან ახალ ადამიანებს, მათ გატაცებებს და სწავლობენ, როგორ მიიღონ და გასცენ ინფორმაცია. მოსწავლეებს ეძლევათ დამატებითი ინფორმაცია კითხვითსიტყვიანი წინადადებებისა და ზმნის უღლების შესახებ. გარდა ამისა, მათ უნდა შეძლონ მოკლე ტექსტებში გარკვეული ინფორმაციის მოძებნა.

1 და 2 ტანია, მონიკა და მარკუსი სკოლის ვიდეოჯგუფის წევრები არიან.

ეს ჯგუფი შეგიძლიათ სახელმძღვანელოს თანმხლებ ვიდეოფილმში იხილოთ. ვიდეოფილმში ისინი ასახელებენ საკუთარ სახელს, საცხოვრებელ ადგილს და ჰობის. უმჯობესია, დაფაზე ჩამოწეროთ ინფორმაცია მე-2 სავარჯიშოს მიხედვით (იხ. ქვემოთ: აქ უკვე გამზადებული გაქვთ მონაცემები ამ პირებზე. მიეხმარეთ მოსწავლეებს ასაკის გარკვევაში, რადგანაც ისინი ჯერ ყველა რიცხვს ვერ აღიქვამენ). ცხადია, შეგიძლიათ, ეს სქემა უფრო მარტივად შეადგინოთ და ცალკეული კატეგორიები დააჯგუფოთ. შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ ეს ცხრილი თავიანთ რვეულში გადაიტანონ. მოასმენინეთ ტანიას ტექსტი (წიგნები დახურულია, მოსწავლეები ინფორმაციას ინიშნავენ) და მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ დაფაზე ცხრილი. შემდეგ მოასმენინეთ მოსწავლეებს მონიკასა და მარკუსის ტექსტები. მოსწავლეები იწერენ მონაცემებს. ეს მონაცემები გამოიკითხეთ და ისევ დაფაზე ჩამოწერეთ. ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაშალონ წიგნები და მონაცემები შეადარონ ერთმანეთს (წიგნის ტექსტები ჩანაწერის ტექსტების იდენტურია).

მზადება საკუთარი ნამუშევრის შესაქმნელად: "Was sagt Tania?" ტანიას ტექსტის მონაცემების (ინფორმაცია, ფრაზები და ა.შ.) მიხედვით მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ საკუთარი მოკლე წინადადებები. მათ შეუძლიათ, ინფორმაცია და ფრაზები ტექსტებიდან ამოიღონ.

3. ამის შემდეგ მოსწავლეებმა საკუთარ თავზე უნდა მოგვანოდონ ინფორმაცია. დაეხმარეთ მათ, დაუნერეთ რთული ფრაზები დაფაზე ან გადაუთარგმნეთ ისინი. მეორე პირში ნუ დაასმევენებთ მოსწავლეებს შეკითხვებს. მეორე პირში შეკითხვის დასმის თემატიზირება მოხდება 2/2.1-ში.

Personen – Informationen

1 Die Video-AG – Höre zu. Was verstehst du?



Ich bin Tanja Kaiser. Ich bin 13 und gehe in die Klasse 7a. Ich liebe Filme und ich mag auch Musik. Ich spiele Klavier und Flöte. Sport mag ich nicht. Ich mag Tiere, ich habe drei Katzen.

Hallo, das ist die Video-AG des Max-Planck-Gymnasiums. Ich heiße Monika Winter und ich bin 13 Jahre alt. Ich wohne in München. Ich habe viele Hobbys. Ich spiele Klavier und ich mag Sport: Ich spiele Tennis und ich schwimme. Und ich filme gern.

Mein Name ist Markus Krause. Ich komme aus Köln. Ich wohne jetzt in München. Ich fotografiere gern und ich spiele Fußball. Ich kann Spaghetti kochen und ich mag Musik. Am liebsten Jazz. Ich kann ein bisschen Gitarre spielen.

2 Informationen sammeln – Lest und notiert. Vergleicht in der Klasse.

Name: ...	Hobbys: ...	😊 mag: ...
Stadt: ...	Sport: ...	☹ mag nicht: ...
Musik: ...	Tiere: ...	

3 Und du?



Woher kommst du? Ich mag ...

Wo wohnst du? Ich heiße ...

Wie ...? Ich komme aus ...

Wie alt bist du? Ich wohne in ...

Ich kann ... Wie heißt das auf Deutsch? Ich kann ...

Boxen!

12 zwölf

Tafelbild zu Aufgabe 2

Name	Tanja Kaiser	Monika Winter	Markus Krause
Stadt		München	Köln/München
Alter	13	13	
Hobbys	Filme	Klavier /Sport	Fotografieren
Tiere	3 Katzen		
Sport		Tennis /Schwimmen	Fußball
Musik	Klavier, Flöte		Jazz/Gitarre
mag	Musik, Tiere	Filmen	
mag nicht	Sport		

Personen vorstellen – Sie heißt Tanja

4 Lies und vergleiche mit Tanja in Aufgabe 1.

Sie heißt Tanja. Sie ist 13.
 Sie geht in die Klasse 7a.
 Sie liebt Filme und sie mag auch Musik.
 Sie spielt Klavier und Flöte.
 Sport mag sie nicht. Sie hat drei Katzen.



5 Verben markieren wir so:

Verbstamm / Endung

wohn/en

ich wohn/e

er/es/sie wohn/t

komm/en

ich komm/e

er/es/sie komm/t

spiel/en

ich spiel/e

er/es/sie spiel/t

6 Regelmäßig – unregelmäßig – Vergleiche die Verben.

schwimmen
 kochen

ich schwimme
 ich koche

er/es/sie schwimmt
 er/es/sie kocht

△ mögen
 △ sein

ich mag
 ich bin


er/es/sie mag
 er/es/sie ist

7 Stelle Turbo und Monika vor.

Das ist Monika. Sie mag ...

Sie kommt aus ...

Das ist ... Sie ...



dreizehn 13

4. თემა: ადამიანების დახასიათება მესამე პირში. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ განსხვავებები პირველ და მე-3 პირს შორის. დაეხმარეთ მათ მაგალითების დაფაზე ჩამოწერაში (იხ. ქვემოთ).

6. რჩევა: ზმნები ჩანერეთ ყოველთვის ოვალურ წრეში, ასე შეგიძლიათ თვალსაჩინოდ წარმოადგინოთ თავსართმოცილებადი ზმნების თავსართები, ბოლოსართები და ფუძე. თუ თქვენ დაფაზე ისე ჩამოწერთ ზმნებს, როგორც ეს მე-5 სავარჯიშოშია, შეგიძლიათ დაბოლოებები ნაშალოთ და შემდეგ ისინი მოსწავლეებს მიაწერინოთ. მიუთითეთ ზმნის წესიერ და არანესიერ ფორმებზე და მათ საერთო ნიშნებზე.

7. მოსწავლეებმა აქ კონტექსტში უნდა გამოიყენონ ზმნები. ჯერ შეადგენინეთ ტექსტი ტურბოზე, შემდეგ გადადით მონიკაზე, მარკუსზე და კლასის ცალკეულ წევრზე.

მაგალითები:

Das ist Monika. Sie wohnt in München. Sie ist 13 Jahre alt. Sie hat viele Hobbys. Sie spielt Klavier und sie mag Sport. Sie spielt Tennis und sie schwimmt. Und sie filmt gern.

Das ist Turbo. Sie ist eine Ratte. Sie mag Disneyland und sie kann Spaghetti kochen. Und sie schwimmt gern. Katzen mag sie nicht.

Tafelbild zu Aufgabe 4

Ich heiß/e ...

Sie heiß/t ...

Ich geh/e in die Klasse ...

Sie geh/t in die Klasse ...

Ich lieb/e Filme.

Sie lieb/t Filme.

...

...

8. მოსწავლეებს ეძლევათ ახალი ლექსიკური მასალა პერსონაჟის აღსაწერად. შეიძლება ალაპარაკოთ ისინი მათთვის საყვარელ ცნობილ ადამიანებზე. ალტერნატივა: მოსწავლეების ერთი ნაწილი აღწერს ერთ-ერთ პიროვნებას, მეორე ნაწილი კი გამოიცნობს..

მაგალითები: Michael Schumacher mag Autos, er wohnt in...

Michael Jackson kommt aus Amerika. Er singt gerne.

Kachi Kaladze kommt aus Samtredia und wohnt in Italien და ა.შ.

9. თუ მოსწავლეებს ექნებათ სურვილი, შესაძლებელია შემდეგი გაკვეთილისთვის ჟურნალებიდან ამოჭრან საყვარელი ან პოპულარული პიროვნებების სურათები და მათზე პატარა ტექსტები დაწერონ.

10. ეს სავარჯიშო ემსახურება ეცხოვნების აღქმის უნარის გამომუშავებას. თუ თქვენს კლასში არიან სხვა ენაზე მოლაპარაკე მოსწავლეები, ისინი დაგეხმარებიან დავალების შესრულებაში, თუ არა, მაშინ ყოველ ტექსტში არის საერთაშორისო ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც მოსწავლეები მოსმენის ან ჯგუფში წაკითხვის დროს ამოიცნობენ. ჰკითხეთ ფორუმში მოსწავლეებს, რა ამოიცნეს, სადაურები არიან ეს პერსონაჟები და რას ამბობენ ისინი.

პასუხი: Sport/Interesse/tecnica/diskoba

11. ეს სავარჯიშო შეგიძლიათ უბრალოდ გამოტოვოთ ან მოსწავლეებს დაეხმაროთ იმის გამოცნობაში, რომელი მოსწავლე რომელი ქვეყნიდან არის. სურათებზე წრეებში ჩანერილი ინტერნაციონალური საავტომობილო ნიშნები დაგეხმარებათ ამოცნობაში.



8 Wer ist das? Das ist ... – Ein Quiz in der Klasse



kommt	aus Frankreich / aus der Schweiz ...
wohnt	in Berlin / in Genf / in Paris ...
spielt	Tennis/Fußball/Gitarre ...
kann	Klavier spielen / singen / Tennis spielen ...
mag/liebt	Tiere/Pizza/Deutsch/Sport ...
ist	stark/schön/intelligent ...
	Sänger/Filmstar ...
	schwimmt gern / kocht gern / telefoniert gern ...

9 Projekt – Bringt Fotos mit und schreibt Texte wie in Aufgabe 4.



10 Sprachen und Länder – Woher kommen die Leute? Ordne zu.

Er/Sie kommt ... aus Spanien / Ungarn / Italien / Polen ...
aus der Schweiz / Türkei / Slowakei ...

11 Deine Klasse – Wie viele Länder?



Aussprache – Wortakzent und Satzmelodie

12 **Ländernamen – Höre zu. Achte auf die Markierung: kurz • und lang — .**
Griechenland – Türkei – Spanien – Finnland – Österreich – Kanada – Schweden – Russland

13 **Schreibe die Ländernamen. Höre zu und markiere kurz • und lang — .**
Frankreich – Schweiz – Thailand – Slowakei – Deutschland – Italien – England

14 **Lernplakat – Macht ein Aussprache-Plakat in der Klasse.**



15 **Wörter und Sätze – Suche in Einheit 1 und 2 Sätze zu den Wörtern. Lies vor.**
heiße – ist – mag – kochen – Katzen – danke – Ferrari – Foto – buchstabieren



16 **Satzmelodie – Hörst zu und sprichst nach.**

- Berlin. Ich wohne in Berlin. ↘
- England. Eric kommt aus England. ↘
- Turbo. Sie heißt Turbo. ↘
- Fred. Mein Name ist Fred. ↘
- Spanien. Dolores mag Spanien. ↘
- Deutschland. Fritz wohnt in Deutschland. ↘

17 **Wiederholen – Buchstabieren und Wörter raten.**



fünfzehn 15

12 და 13. საერთაშორისო სიტყვები სხვადასხვა ენაში ხშირად ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ისინი განსხვავებულად წარმოითქმის. მახვილის და მოკლე და გრძელი ხმოვნების აღსანიშნავად შემოვიღეთ მარტივი აღნიშვნები („—“ გრძელი ხმოვნებისა და „•“ მოკლე ხმოვნების აღსანიშნავად). ავარჯიშეთ ამ აღნიშვნებზე დაფასთან და საწარმოთქმო პრობლემების შემთხვევაში ურჩიეთ მათ, ეს აღნიშვნები თავიანთ რვეულებში გააკეთონ.

პასუხი: Frankreich-Schweiz-Thailand-Slowakei-Deutschland-Italien-England

14. სასწავლო პლაკატები მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება. ამიტომ ისეთი ზომის პლაკატი დაამზადეთ, რომ ყველა ხედავდეს. თქვენ უკეთ იცით, რის წარმოთქმა უჭირთ თქვენს მოსწავლეებს. ამიტომ უმჯობესია პლაკატი ამის გათვალისწინებით შეადგინოთ.

15. მოსწავლეები სიტყვებს და წინადადებებს ავგუფებენ წყვილებში და მათ ხმამაღლა კითხულობენ. მასწავლებელი შეცდომებს უსწორებს (ცხადია, ამას კარგი მოსწავლეს შეძლებს). ნიმუშად წარმოგიდგინოთ გერმანული ენის ფრანგ მასწავლებელს, რომელსაც „h“-ს წარმოთქმა უჭირს.⁹

16. მოსწავლეები თავიდანვე უნდა მიაჩვიონ სწორ წარმოთქმას. შემდეგ ფაზებშიც სწორი ინტონაციით და მახვილით წარმოთქმევინეთ წინადადებები და ფრაზები, დასამახსოვრებლად გამოიყენეთ ვიზუალური მასალა (ისრები, წერტილები და ხაზები).

17. ასოებით თამაში: მოსწავლეები მოიფიქრებენ მარჯვნივ ჩამოწერილ თემებზე თითო სიტყვას და იწერენ ამ სიტყვას რვეულში. შემდეგ ასახელებენ თემას და ასო-ასო კითხულობენ უკვე ნაპოვნ და ჩაფიქრებულ სიტყვას, მხოლოდ ასოებს ამბობენ არეული თანმიმდევრობით. მაგ. **iatgerr** სხვებმა უნდა გამოიცნონ. ვინც სიტყვას პირველი გამოიცნობს, ის თავის სიტყვას ნაიკითხავს გამოსაცნობად. ცხადია შეგიძლიათ თემები გააფართოვოთ, მაგ.: „Vorname“, „Stadt“.

⁹ ფრანგულ ენაში სიტყვის დასაწყისში „ჰ“ არ იკითხება.

18. გთავაზობთ W – კითხვებს რეპის სახით, რადგან ეს ნაახალისებს თქვენს მოსწავლეებს. მოასმენინეთ სიმღერა და სთხოვეთ მათ, თვითონაც იმღერონ. დაასმევენეთ 5 შეკითხვა ჯგუფებში და აპასუხებინეთ.

19. მოსწავლეები აგრძელებენ მუშაობას კითხვითი ტყვიან ნინადადებებზე. პასუხები ეხმარება შეკითხვის დასმას. წაკითხეთ მოსწავლეებს წყვილებში. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მოსწავლეებმა წინიდან ამოკითხვასთან ერთად თავად უნდა დასვან შეკითხვები და უპასუხონ მათ.

სწორი პასუხები: 1a: Wo wohnt Monika? 2c: Was mag Markus? 3d: Wer spielt Klavier und Flöte 4f: Woher kommt Markus? 5g: Wer fotografiert gerne? 6e: Wer kann schwimmen? 7b: Wer liebt Filme? 8b: Wer hat drei Katzen?

20. ტექსტში წარმოგიდგინთ კოლაჟის ერთ-ერთ პერსონაჟს, რომელზეც ტექსტში ბევრი ინფორმაციაა მოცემული. მოსწავლემ უნდა დასვას შეკითხვები ტექსტის გარშემო, სხვებმა კი უნდა უპასუხონ. შეგიძლიათ ეს დავალება ორ ჯგუფში გააკეთებინოთ. ერთი ჯგუფის მიერ დასმულ შეკითხვას მეორე ჯგუფი უპასუხებს, შემდეგ კი — პირიქით.

Wer, was, wo ...?



18 Der „www.rap“ – Hörst zu und singt mit.



Wer, was, wie, wo, woher?
Das ist doch nicht so schwer.
Was, was, was ist das?
Das ist Deutsch und Deutsch macht Spaß.
Wie, wie, wie heißt sie?
Sie heißt Ruth und sie fährt Ski.
Wer, wer, wer ist er?
Er heißt Paul und liebt sie sehr.
Wo, wo, wo liegt Bern?
In der Schweiz, da bin ich gern.
Woher, woher, woher kommt er?
Er kommt aus Wien, da kommt er her.

19 W-Fragen – Ergänzen, zuordnen und vorlesen.

- | | |
|---------------------|------------------------------------|
| 1. Wo wohnt ...? | a) Monika wohnt in München. |
| 2. Was mag ...? | b) Tanja hat drei Katzen. |
| 3. Wer spielt ...? | c) Markus mag Musik. |
| 4. Woher kommt ...? | d) Tanja spielt Klavier und Flöte. |
| 5. Wer ... gerne? | e) Monika kann schwimmen. |
| 6. Wer kann ...? | f) Markus kommt aus Köln. |
| 7. Wer liebt ...? | g) Markus fotografiert gerne. |
| 8. Wer hat ...? | h) Tanja liebt Filme. |

Wo wohnt Monika?

Monika wohnt ...

20 Informationen im Text – Notiert W-Fragen und fragt in der Klasse.

Die Clique

Die Fantastischen Fünf, das sind Boris, Biene, Cora, Rudi und die geniale Ratte Turbo. Heute präsentieren wir euch Sabine oder auch Biene. Biene ist 13 und kommt aus Hamburg. Ihr Vater heißt „Woody“. Er ist aus New York. Biene mag New York und Hamburg. Biene mag Musik. Sie spielt Klavier, Flöte und Saxophon. Sie mag natürlich Turbo. Biene kann kochen. Tee, Kaffee und Spaghetti kocht sie besonders gut. Sie ist sehr schön und cool, sehr cool! Mag Biene Sport? „Sport, nein danke!“, sagt Biene.



Woher kommt ...?

Was mag ...?

Was kann ...?

21 W-Fragen in der Klasse.

Wie heißt du?
Wo wohnst du?
Woher kommst du?
Was magst du?
Was kannst du?

ქმნიან

2. Person: du

kommst
wohnst
bist

...

22 Lesestrategie – Informationen zu W-Fragen suchen.

Wie heißt der Junge? (Name)
Wie alt ist er? (Alter)
Was mag er? (Sport)



Was mag er? (Musik)
Wo wohnt er? (Stadt)
Woher kommt er? (Land)

Senden von Name: ... ich!

m.martinez@donx.fr

Betreff: Das bin ich!

Lieber Austausch-Freund!

Wie geht es dir? Ich heiße Andreas und bin 12 Jahre alt. Am 1. März werde ich dreizehn. Ich freue mich schon sehr auf England. Ich bin blond und habe blaue Augen. Ich habe gerne Spaß und bin fast nie schlechter Laune - außer am Morgen.

Meine Hobbys sind Eislaufen, Skifahren, Schwimmen, Badminton, aber am meisten mag ich Reiten. Ich bin auch gern mit Freunden zusammen. Wir gehen ins Kino und haben viel Spaß. Ich lese auch manchmal gern, aber meistens habe ich keine Zeit.

Welche Musik hörst du gerne? Ich mag Will Smith, Mariah Carey, Christina Aguilera, TLC, Eiffel 65, Lou Bega, Puff Daddy und viele mehr.

In unserer Schule müssen wir keine Uniform tragen, nur bei speziellen Anlässen. Wien ist wirklich cool. Es gibt hier immer etwas zu tun. Wenn du nach Wien kommst, wirst du viel Spaß haben!

Schreib mir bald. Ich freue mich, von dir zu hören.

Andreas

siebzehn 17

21. ამ სავარჯიშოში მოსწავლეები ისევ კითხვითსიტყვიან წინადადებებზე ვარჯიშობენ ფორუმში. ერთ-ერთი მოსწავლე გამოდის დაფასთან და დანარჩენების მიერ დასმულ კითხვებს პასუხობს. შემდეგ გამოდის სხვა მოსწავლე და ა.შ. ყურადღება მიაქციეთ „st“-ს სწორად წარმოთქმას.

22. ეს თავი მთავრდება ინტერნეტიდან ამოღებული საკითხავი ტექსტით და სელექტიური კითხვის გასავითარებელი დავალებით. დავალების მიზანს არ წარმოადგენს ყველა დეტალის გაგება. აქ მთავარია, პასუხი გაცეს ამ თავში დასმულ შეკითხვებს. თავდაპირველად განიხილეთ შეკითხვები მოსწავლეებთან ერთად. შემდეგ ნაკითხეთ ტექსტი ჯგუფებში. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ინფორმაციას ინიშნავენ. შედეგები გამოიკითხეთ ზეპირად.

რჩევა: თუ მოსწავლეებს სურვილი ექნებათ, შეიძლება ორმა მოსწავლემ მესამე მოსწავლეზე დანეროს პატარა ტექსტები და დაურთოს ფოტოსურათები. შეგიძლიათ ეს ნამუშევრები კლასში გამოფინოთ. ასე მოსწავლეები უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს.

თავი 3

ზოგადი მიმოხილვა

ამ თავში მოსწავლეებს ვაწვდით ლექსიკურ მასალას და რჩევებს თემაზე „სასკოლო ნივთები“. ეუხსნით ახალი სიტყვების დასწავლის მარტივ გზებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ არტიკლების დამახსოვრებაზე. ახალ ლექსიკასთან ერთად ვავარჯიშებთ წარმოთქმაზე, უპირველეს ყოვლისა, მახვილზე. ამავე თავში გაცნობიან კომპოზიტებს (შედგენილ სიტყვებს) გერმანულ ენაში.

გრამატიკის ნაწილში შეკითხვის ფორმებს დაემატება Ja/Nein-შეკითხვები, წინადადების წყობის ნიმუშები, განუსაზღვრელი არტიკლი და „kein/e“ Nominativ-ში.

კოლაჟი გვიჩვენებს სასკოლო ნივთებს და საგნებს, რომლებსაც გერმანელი მოსწავლეები იყენებენ. დაეხმარეთ ბავშვებს გააცნობიერონ, არის თუ არა ამ ნივთებს შორის რაიმე, რასაც მათ ჩანთებში ვერ ნახავთ (ბუტერბროდები, მობილური ტელეფონი და ა.შ.).

მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიციონ ზოგიერთ სიტყვა (Banane, Schokolade, Marker etc.)

აღნიშნული სიტყვების მახვილებს აქვე არ განვიხილავთ.

1. მოსწავლეები ისმენენ სიტყვებს და ეძებენ მათ კოლაჟში. ამგვარად მათ უკვე ექმნებათ პირველი შთაბეჭდილება, როგორ წარმოითქმება ეს სიტყვები. მეორედ მოსმენამდე გაამახვილეთ მათი ყურადღება იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ მახვილს: **die Brille** (=მოკლე ხმოვანი), **das Lineal** (გრძელი ხმოვანი).

მოსწავლეები ადარებენ, რა აქვთ მოცემული ნივთებიდან ჩანთებში, და ალაგებენ ამ ნივთებს მაგიდაზე. ამის შემდეგ მეორედ ასმენინებთ სიტყვებს. მოსწავლეები მიუთითებენ დასახელებულ საგნებზე და იმეორებენ შესაბამის სიტყვებს. ყურადღება მიაქციეთ სიტყვების სწორ წარმოთქმას, დაბრკოლების შემთხვევაში რამდენჯერმე გაამეორებინეთ.

რჩევა: მოსწავლეები დაფაზე წერენ სხვა სიტყვებს პირველი და მე-2 თავებიდან და გუნდურად იმეორებენ მათ.



Thema „Schule“





1 Die Schultasche – Hörst zu und zeigt die Gegenstände. Sprecht nach.



2 Gegenstände in der Klasse – Frage deinen Lehrer / deine Lehrerin.



3 Das Wörter-ABC



neunzehn 19

2. კოლაჟში აქამდე მხოლოდ სასკოლო ნივთებს ხვდებით. მოსწავლეები იმდიდრებენ სიტყვათა მარაგს და გერმანულად კითხულობენ, თუ რა ჰქვია მათ საკლასო ოთახში არსებულ ამა თუ იმ საგანს. შეგიძლიათ ასწავლოთ მათ დამატებითი შეკითხვები, მაგ.: „Was ist das deutsche Wort für ...?“, „Was heißt ... auf Deutsch?“

რჩევა: მოსწავლეები წერენ სიტყვებს არტიკლთან ერთად პატარა ბარათებზე, უკანა მხარეზე უთითებენ ამ სიტყვის ქართულ თარგმანს. ბარათებს ამაგრებენ შესაბამის ნივთებზე. ამგვარად იქმნება კლასში ერთგვარი პატარა სასწავლო გარემო. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს შეუძლიათ კიდევ ერთხელ გაიმეორონ სიტყვები. ამისათვის ისინი კითხულობენ ბარათის უკანა მხარეზე დაწერილ ქართულ სიტყვებს და ამოწმებენ, ახსოვთ თუ არა შესატყვისი გერმანული სიტყვა. თუ გაუჭირდებათ გერმანულად დაწერილი სიტყვის წაკითხვა, დაუმარცვლეთ ეს სიტყვები.

3. geni@! -ის პირველ გვერდებზე მოსწავლეებმა ბევრი სიტყვა ისწავლეს, რომლებსაც წრეზე თამაშით¹⁰ იმეორებენ. ერთ-ერთი მოსწავლე ამბობს რაიმე ასოს, მეორე ამბობს სიტყვას, რომელიც ამ ასოთი იწყება, და — ახალ ასოს. ამ თამაშის დროს არა აქვს მნიშვნელობა, მეტყველების რა ნაწილია ეს სიტყვა ან რომელი თავიდან არის ის ალბულო.

¹⁰ წრეზე თამაშის დროს არ არის აუცილებელი, მოსწავლეები რიგის მიხედვით პასუხობდნენ. თანმიმდევრობა შემთხვევითობის პრინციპით განისაზღვრება, რაც შეგიძლიათ, მაგალითად, ბურთის საშუალებით გააკეთოთ: ერთ-ერთი მოსწავლე პატარა ბურთით ხელში იწყებს თამაშს, ის სვამს შეკითხვას და ბურთს სხვა რომელიმე მოსწავლეს გადაუგდებს. მეორე იჭერს ბურთს და პასუხობს შეკითხვას. შემდეგ შეკითხვას ბურთის „პატრონი“ სვამს და მოპასუხეს იმავე ხერხით ირჩევს და ა.შ.

4. სავარჯიშოს თემა არსებითი სახელის განსაზღვრული არტიკლი, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ეს მითითებები ეხება მხოლოდ ისეთ არსებითი სახელებს, რომელთა არტიკლის დამახსოვრება მოსწავლეებს უჭირთ.

მითითება 1.: ერთი და იმავე ფერით გააფერადეთ ერთი არტიკლის მქონე არსებითი სახელები, რაც მოსწავლეებს გაუადვილებს არტიკლების დამახსოვრებას.

მითითება 2.: გამოიყენეთ თვალსაჩინოება. აქ მოსწავლეებს შეუძლიათ ფანტაზიის მოშველიებით მოიფიქრონ არარეალური სიტუაციები და ამ სიტუაციებში როგორც დასამახსოვრებელი სიტყვები დაუკავშირონ უკვე ნაცნობ მარტივ სიტყვებს, რაც ხალისიან განწყობილებას ქმნის. მაგ.: სიტყვებს (**der Elefant, das Auto, die Blume**) უკავშირდება ფანტაზიით წარმოქმნილ სურათებში სხვა სიტყვები (**Der Elefant auf dem Mond** და ა.შ.). მიეცით თქვენს მოსწავლეებს საშუალება თავიანთი წამოშვებები კლასში წარმოადგინონ და ქართულად განმარტონ ისინი.

5. დავალებაში გრძელდება მახვილზე მუშაობა. მოსწავლეები წერენ სიტყვებს რვეულში. თან აღნიშნავენ სიტყვის მახვილს. განხილვამდე მის სისწორეს კიდევ ერთხელ ამოწმებენ აუდიოტექსტით.

სწორი პასუხი: die Schere, das Heft, der Füller, der Spitzer, der Kuli, die Brille, die Uhr, das Lineal

6. მოსწავლეები ეცნობიან გერმანულ კომპოზიტებს. ორი სიტყვიდან ერთი ახალი სიტყვის წარმოქმნა მათთვის ალბათ სხვა ენებიდანაც (მაგ.: რუსული, ინგლისური და ა.შ.) არის ცნობილი.

ა) მოსწავლეები რვეულებში წერენ კომპოზიტებს არტიკლთან ერთად, რისთვისაც შეუძლიათ გამოიყენონ კოლაჟი 18/19.

ბ) მოსწავლეები ისმენენ სიტყვებს და აღნიშნავენ მახვილს. ამ დროს მთავარია მოსწავლეებმა დაადგინონ, სად არის მახვილი. ვისაც სურს, შეუძლია განსაზღვროს, მოკლეა ხმოვანი თუ გრძელი.

სწორი პასუხი: das Pausenbrot, das Deutschbuch, das Vokabelheft, die Fahrkarte, das Woerterbuch, der Radiergummi, die Turnhose, die Schultasche

7. მოსწავლეები აყალიბებენ წესს შედგენილი სიტყვების შესახებ. მე-6 სავარჯიშოში გაკეთებული ჩანაწერები ეხმარება მათ იმის გაგებაში, რომ სიტყვის მახვილი შედგენილი სიტყვის პირველ ნაწილზე მოდის. არტიკლის განსაზღვრის წესი უკვე მე-6 სავარჯიშოს მაგალითშია ჩადებული. გაამახვილებინეთ მოსწავლეების ყურადღება ამ მითითებაზე და თუ საჭიროა, დაეხმარეთ (მაგ. ლექსიკონში მონახონ არსებითი სახელები: „Tasche“,



Nomen und Artikel: der, das, die

4 Wie lerne ich die Artikel? Hier sind zwei Lerntipps.

Lerntipp 1 Nomen farbig markieren.

der

der Bleistift
der Spitzer

das

das Heft
das Deutschbuch

die

die Schere
die Brille

Lerntipp 2 Nomen zu Fantasiebildern verbinden.



der Elefant



das Auto



die Blume

Problem „Brille“:
der? das? die?

Fantasiebild:



5 Wortakzent – Höre zu, schreibe die Wörter und markiere den Wortakzent.

die Schere



6 Komposita

a Schreibe die Wörter mit Artikel.

b Höre zu und markiere den Wortakzent.

Pausenbrot – Deutschbuch – Vokabelheft – Fahrkarte – Wörterbuch – Radiergummi – Turnhose – Schultasche

das Pausenbrot (das Brot)



7 Zwei Regeln finden – Wo ist der Wortakzent? Woher kommt der Artikel?

20 zwanzig

„Buch“, „Heft“ etc.). მოსწავლეები აყალიბებენ წესს და კიდებენ მას საკლასო ოთახში.

მაგალითი: კომპოზიტი „das Pausenbrot“: 1) „Pausen“ + 2) „das Brot“ — სიტყვის მახვილი მოდის პირველ სიტყვაზე, არტიკლი კი მეორე სიტყვისაა რჩება.

8. დიალოგში მოსწავლეები ეცნობიან განუსაზღვრელ არტიკლს. ამ ახალი ფორმის დეტალურად განხილვა არ

არის საჭირო. მე-12 სავარჯიშომდე მოსწავლეები დამოუკიდებლად არკვევენ განსაზღვრულ და განუსაზღვრელ არტიკლს და „kein/e“-ს.

9. მოსწავლეები იმეორებენ განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლის ხმარების წესებს, თან ამოწმებენ, ახსოვთ თუ არა 18-19 გვერდებზე ნასწავლი სიტყვები და ამოიცნობენ განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლების ფორმებს.

Unbestimmte Artikel: ein, eine – kein, keine

8 Was ist denn das?

Rudi: Ist das ein Motor?
 Biene: Nein.
 Rudi: Das ist ein Fahrrad.
 Biene: Nein.
 Rudi: Was ist das?
 Biene: Eine Uhr!



9 Ein, eine und der/das, die – Wie heißt der bestimmte Artikel?

ein Füller – ein Geldbeutel – ein Radiergummi – eine Kasette – ein Mäppchen – ein Kuli – eine CD – ein Marker

10 Was ist ein Computer? – Sprecht in der Klasse.



11 Ein, eine und kein, keine – Hört die Dialoge.



12 Eine Regel selbst finden: unbestimmte Artikel – Macht eine Tabelle.

der Schulhof	ein Schulhof	kein Schulhof			
die Ratte			

einundzwanzig 21

10. რომელ საგანს შეიძლება აღნიშნავდეს ესა თუ ის სიტყვა? შეგიძლიათ სრული თავისუფლება მისცეთ თქვენს ფანტაზიას (eine Schreibmaschine, ein Wörterbuch, ein Spielzeug, ein Fernseher etc.).

ეს სავარჯიშო შეგიძლიათ სხვადასხვა იდეებისათვის გამოიყენოთ. აქ შეიძლება მოძებნოთ ახალი სიტყვები და დაწეროთ ისინი დაფაზე, მაგ.: „Ein Computer ist ein Supermarkt/ ein Radio...“ და ა.შ. ხდება განუსაზღვრელი არტიკლიდან განსაზღვრულზე გადასვლა, თუმცა ამ ეტაპზე არ ხდება ამის გაცნობიერებული თემატიზირება.

11. დიალოგებში შემოგვაქვს არსებითი სახელების უარყოფა “kein“-ით. იმის გამო, რომ “kein“ ფორმით ჰგავს უარყოფით არტიკლს, მისი შემოტანა საჭიროებს არა სტრუქტურულ, არამედ უფრო შინაარსობრივ განმარტებას. ტექსტების მოსმენისას ყურადღება მიაქციეთ ინტონაციას. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია პატარა დიალოგების ხმამაღლა გამეორება.

12. დაფაზე ჩამოწერეთ მე-11 დავალების არსებითი სახელები განსაზღვრულ არტიკლებზე ერთად. დაეხმარეთ მოსწავლეებს იმ სიტყვების ფორმების დაწერაში, რომლებსაც ანბანურ საძიებელში ვერ იპოვიან. სიტყვებს დაფაზე ემატება განუსაზღვრელი არტიკლი და “kein/e“. მოსწავლეები ერთად ადგენენ განუსაზღვრელი არტიკლის და “kein/e“-ს სახელობითი ბრუნვის ფორმის წესს.

სწორი პასუხები:
 der – (k)ein
 das – (k)ein
 die – (k)eine

Tafelbild zu Aufgabe 12

der Schulhof	ein Schulhof	kein Schulhof
die Ratte	... Ratte	keine Ratte
...	...	kein Sportplatz
...	ein Hund	...
... Fisch
... Fenster
...	...	kein Wörterbuch

13. მოსწავლეებს მოასმენინეთ დიალოგები, შემდეგ გადააშლევინეთ წიგნები და გაათამაშებინეთ დიალოგები, ისინი მონაცვლეობით ეკითხებიან და პასუხობენ ერთმანეთს.

რჩევა: მოსწავლეები ირჩევენ ნივთებს, რომელთა სახელებიც უკვე იციან, და მოცემული დავალებების ნიმუშის მიხედვით ადგენენ კითხვა-პასუხებს.

14. მოსწავლეებმა მე-8 დავალებაში ისწავლეს **Ja-Nein**-შეკითხვები და მე-13 დავალებაში ივარჯიშეს ამ მასალაზე. ამ დავალებაში მასალის თემატურად გავრცობა ხდება. აქამდე მათ იცოდნენ, რომ კითხვითსიტყვიან წინადადებებს მთელი წინადადებით უნდა უპასუხოთ. ახლა ისინი ეცნობიან სხვა ტიპის შეკითხვებს.

15. კითხვითი და თხრობითი წინადადებების სტრუქტურის გასაცნობიერებლად შეგიძლიათ შეადგინოთ პლაკატი. მე-15 სავარჯიშოში მოცემული სქემა ერთ-ერთი საშუალებაა, მოსწავლეებს შეუძლიათ მისი შინაარსობრივი ვარიანტი (მაგ. სხვა ენების წინადადების სტრუქტურასთან შედარება). აქ უნდა მიუთითოთ სიტყვების განსხვავებულ ადგილმდებარეობაზე, რათა თავიდანვე მიაჩვიოთ ისინი წინადადების კონკრეტულ სტრუქტურას. ზმნის წრეში ჩანერა პირველი შეხედვისთანავე იძლევა სიგნალს განსხვავების დასანახად და ამდენად ყველა მოსწავლეს ვიზუალურ დახმარებას უწევს.



Ja/Nein-Fragen und Antworten



13 Ist das ein/eine ... ? – Fragt in der Klasse.



- Ist das eine Schere?
- Nein, das ist ...



- Ist das ein Kuli?
- Nein, das ...



- Ist das ein Lineal?
- Ja, richtig!

14 Noch mehr Fragen – Was stimmt? – Ja – Ich weiß nicht – Nein.

Kann Biene schwimmen?



Spielt Boris Fußball?



Kann Cora kochen?



Liebt Biene Boris?



Kann Rudi Klavier spielen?

15 Lernplakat: Fragen und Antworten – Sammelt Beispiele.

W-Frage

Antwort

Wo

Peter

wohnt

wohnt

Peter?

in England.

Ja/Nein-Frage

Antwort

Nein,

Peter

Peter

Peter

...

in Italien?

...

16 Ja oder nein?

a Mache eine Liste wie im Beispiel. Höre zu, lies die Fragen und kreuze an.
b Macht dann eine Statistik in der Klasse.

1. Kannst du kochen?
2. Magst du Mozart?
3. Spielst du Fußball?
4. Hast du ein Fahrrad?
5. ...

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
Ja												
Nein												

Kannst du kochen?

17 Ein Spiel

Wohnst du in Berlin?

Nein. Wohnst du in London?



Ja ... Mist.

18 Keine Zeit – Spielt in der Klasse.

Wer kommt mit zum Konzert?

Keine Zeit!

Kein Geld!

Kein Interesse!

Keine Lust!



dreiundzwanzig 23

16. მოსწავლეები მაგალითის მიხედვით საზავენ რვეულში ცხრილს. 12 შეკითხვიდან ოთხი წიგნში წერია, დანარჩენი რვა კი უნდა მოისმინონ და გაიგონ. პრობლემის შემთხვევაში დაეხმარეთ მათ. მოსწავლეები მეორედ ისმენენ შეკითხვებს და აღნიშნავენ რვეულში „Ja“ ან „Nein“-ს. შემდეგ წინადადებებს და ცხრილს დაფაზე გადაიტანთ და აჯამებთ შედეგებს: სად გვაქვს საინტერესო შედეგები? ვის შეუძლია საქმლის გაკეთება? ვის უყვარს ...?

17. ამ თამაშით მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვითი ტყვიან წინადადებებზე. მოსწავლეები წყვილებში თამაშობენ. ისინი ერთმანეთისგან ზურგით სხედან. თითოეული მათგანი წიგნში ან დაფაზე ჩამონერილი მასალიდან ირჩევს სწორ პასუხს წიგნის შეკითხვებზე და იწერს რვეულში.

მაგალითი: მოსწავლე B ინიშნავს: „London“, „Erich“, „Gitarre“, „intelligent“, „schwimmen“, „Jazz“. შესაძლო შეკითხვები და პასუხები მე-16 სავარჯიშო შეკითხვებით შეიცვალოს (მაგ.: „Hast du ein Fahrrad/einen Computer/eine Ratte?“).

მოსწავლე A იწყებს შეკითხვით, როგორც ეს სახელმძღვანელოშია: „Wohnst du in London?“ მოსწავლე B პასუხობს: „Ja“ მოსწავლე A-ს მანამდე შეუძლია შეკითხვის დასმა, სანამ თავის შეკითხვაზე არ მიიღებს უარყოფით პასუხს. შემდეგ მოსწავლე B-ს შეკითხვების დასმის ჯერი დგება. ვინც პირველი მოძებნის სწორ პასუხს ყველა შეკითხვაზე, ის მოიგებს თამაშს.

ნებადართულია პასუხების ჩანიშვნა.

18. მოსწავლეები ისმენენ უარის თქმის ტიპიურ ფორმებს კომიქსის სამეგობროს კარიკატურაზე შედგენილ დიალოგში. დიალოგის გამეორებისას მოსწავლეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ინტონაციას. სცენის წარმოსადგენად შეგიძლიათ ინტონაცია გადამეტებულადაც წარმოაჩინოთ. ასევე უნდა გამოიყენოთ მიმიკა და ჟესტები.

თავი 4

ზოგადი მიმოხილვა

მეოთხე თავის თემა სკოლა: სკოლის სტრუქტურა, გაკვეთილების ცხრილი, სასკოლო საგნები და ა.შ. ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაზე სასაუბროდ აქვე შემოგვაქვს კვირის დღეები, საათის დროები და რიცხვები 1-დან 100-მდე. გრამატიკაში გავივლით არსებითი სახელების, ზმნების და პირის ნაცვალსახელების (სახელობით ბრუნვაში) მრავლობით რიცხვს.

მოსწავლეებს შეუძლიათ შესწავლილი თემატური ლექსიკური და გრამატიკული მასალის საშუალებით შეადგინონ ტექსტები საკუთარ სკოლაზე და გაკვეთილების ცხრილზე.

1. წარმოგიდგინო ქალაქ კასელის გოეთეს სახელობის სკოლას. ინტერნეტში განთავსებული სკოლის საიტიდან ამოვიღეთ ნაწყვეტი, რომლის გაგებაც მოსწავლეებს ნაწილობრივ უკვე შეუძლიათ.

მოსწავლეებმა უნდა გადახედონ 24-ე გვერდს. შეამონმეთ, რომელი სიტყვები იციან უკვე და ეს სიტყვები დაფაზე ჩამონერეთ.

მოსწავლეები მუშაობენ პატარა ჯგუფებში. ისინი თავდაპირველად წყვილებში ადგენენ შეკითხვებს სკოლის საიტის შესახებ (მაგ.: „Wie viele Sport-AGs gibt es?“ – „Wie heißt die Direktorin?“ და ა.შ.).

2. შეკითხვები ხმამაღლა წაკითხეთ კლასში და აპასუხებინეთ. დაეხმარეთ რიცხვების სწორად გამოყენებაში.

დიფერენცირება: შეამონმეთ, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს საკუთარ სკოლაზე დასვან შეკითხვები და უპასუხონ?!!



Die Goetheschule in Kassel

Goetheschule Gymnasium für die Klassen 5–13 www.goetheschule-kassel.de Ysenburgstraße 41 34125 Kassel Tel.: 05 61/87 10 49 Fax: 05 61/87 10 40	  Der Eingang
Direktorin: Margitta Thümer 1050 Schüler/innen 52 Klassen/Kurse 74 Lehrer/innen Unterricht: 8.00 bis 13.15 Uhr	 Der Fotokurs  Unser Biolehrer
Arbeitsgemeinschaften Chor Orchester Schulzeitung Informatik Foto ...	 Die Ruder-AG
12 Sport-AGs Beispiele: Basketball Fußball Judo Rudern Schwimmen Volleyball ...	

1 Das verstehe ich: Wörter sammeln, in der Klasse diskutieren.

2 Fragt in der Klasse. Die Homepage informiert.

Wie viele Schülerinnen gibt es?
 Wie viele ... ?
 Wo ist die Schule?
 Wie heißt die Stadt?
 Wie heißt ... ?
 Gibt es ein Orchester?
 Gibt es ... ?

24 vierundzwanzig

ინტერნეტ-პროექტი

როგორც ცნობილია, ინტერნეტის ვებგვერდები და მისამართები მუდმივად იცვლება. როგორც მოცემული ორივე მისამართი, ასევე <http://www.schulserver.hessen.de/kassel/goethe/index.htm> გაგიყვანთ გოეთეს სახელობის სკოლის ვებგვერდზე. მოიტანეთ გაკვეთილზე პირველი გვერდის ამონაბეჭდი ან დაავალეთ ამის გაკეთება რომელიმე მოსწავლეს.

სხვა სკოლების მისამართებს

ნახავთ შემდეგ მისამართზე:

<http://www.schulweb.de>


(სკოლების სია გერმანიაში, ავს-

ტრიასა და შვეიცარიაში და ასევე რამდენიმე სხვა ქვეყანაში მათი ინტერნეტ-გვერდები). პროექტის მიზანია, მოსწავლეებს წარმოადგინა შეექმნათ იმაზე, თუ რა საგნებს გადაიან სხვა სკოლებში ან რომელი პროექტებია საინტერესო. მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტზე მუშაობის და გლობალური კითხვის პარალელურად ივარჯიშონ ინტერნეტით სარგებლობაში.

¹¹ ეს დავალება განკუთვნილია მხოლოდ იმ სკოლებისთვის, რომლებსაც ინტერნეტში მუშაობის საშუალება გააჩნიათ.



3 Eine E-Mail – Lies den Brief. Welche Wörter kennst du?



4 Schulfächer – Hörst zu und sprichst nach.

Biologie – Chemie – Mathematik – Deutsch – Kunst – Musik – Englisch – Französisch – Sozialkunde – Geschichte – Sport – Physik – Religion – Informatik

5 Sprichst über den Stundenplan von Janine.



ინფორმაციები ქვეყანათმცოდნეობიდან

გერმანიაში მოსწავლეები სკოლაში დადიან ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. შაბათს და კვირას მეცადინეობა არ არის (იხ. ნახატი). გაკვეთილები იწყება რვა საათიდან და მთავრდება პირველი საათისთვის. ზოგჯერ ნაშუადღევსაც აქვთ კიდევ რამდენიმე საათი (მაგ. ფიზკულტურა)

ან ამ დროს სკოლაში წრეები მუშაობენ. თუმცა არსებობს ისეთი სკოლებიც, რომლებიც მოსწავლეებს ნაშუადღევსაც სთავაზობენ გაკვეთილებს. ავსტრიაში და შვეიცარიაში შაბათ დღესაც მეცადინეობენ. ზოგიერთ სკოლაში გაკვეთილები გრძელდება ნაშუადღევამდე (იხ. სამუშაო ნიგნი, გვ. 24, "Die E-Mail von David").

3. ტექსტისთვის თვალის გადავლება. პირველი დავალებიდან ნაცნობი სიტყვების ამოკრეფა.
 მოასმენინეთ აუდიოჩანაწერი და თან პარალელურად წააკითხეთ ტექსტი ნიგნში. თუ მოსწავლეები დაინტერესდებიან, ტექსტი ბოლომდე წაუკითხეთ ხმამაღლა (ყანინი აუდიოჩანაწერში ტექსტს კითხულობს მხოლოდ "Die Ruder-AG ist spitze"-მდე).
 მოსწავლეები ასახელებენ ნაცნობ სიტყვებს, რომლებიც შეგიძლიათ მასწავლებლის ნიგნში აღნიშნოთ. გაკვეთილის ბოლოს უკარნახეთ სიტყვები, რომლებსაც მოსწავლეები რვეულში ჩაინერენ. ასე უკეთ დაიმახსოვრებენ ახალ სიტყვებს.
 4. მოსწავლეები ერთხელ თავიდან ბოლომდე ისმენენ სიტყვებს. გაიმეორეთ სიტყვის მახვილის მნიშვნელობა. მეორედ მოსმენისას მოსწავლეები იმეორებენ სიტყვებს. ამისათვის საკმარისი პაუზებია დატოვებული სიტყვებს შორის.
 5. გაყავით კლასი ორ დიდ ჯგუფად. ჯგუფები ადგენენ შეკითხვებს ყანინის გაკვეთილების ცხრილზე, რომლებსაც ერთმანეთს უსვამენ და პასუხობენ.

6. წყვილებში მუშაობა: მოსმენა, წაკითხვა. წიგნები დახურულია, მოსწავლეები რიგის მიხედვით იმეორებენ თითო-თითო რიცხვს.

7. მოსწავლეები აგრძელებენ რიცხვთა მწკრივს 13-დან 19-მდე და წერენ რიცხვებს. წესიდან გამონაკლისები უკვე ჩანს. მათ ისინიც უნდა გადაიტანონ რვეულში.

8. მოსწავლეები ასრულებენ ათეულების მწკრივს "fünfzig", "achtzig", "neunzig". აუხსენით გამონაკლისები (30, 60, 70).

9. ქართული ენისგან განსხვავებით გერმანულ ენაში რიცხვები 20-ის ზემოთ უკულმა თანმიმდევრობით გამოითქმის, მაგ.: ("dreiundzwanzig") მოსწავლეები ადარებენ ამ წესს ქართულ ან სხვა რომელიმე მათთვის ნაცნობ ენას, რათა კარგად გააცნობიერონ განსხვავება და უკეთ დაიმსახსოვრონ. შესთავაზეთ მათ რიცხვების დამახსოვრების სხვადასხვა ხერხები (რიცხვებს სამ-სამად აჯგუფებთ ან გარკვეულ რაოდენობას თითებით აჩვენებთ და მოსწავლეები ამბობენ შესაბამის რიცხვს და ა.შ.)

10. მოსწავლეები წერენ ექვს-ექვს რიცხვს სამ რიგად. ამის შემდეგ აუდიოჩანაწერიდან ისმენენ ლატარიაში გამარჯვებულ რიცხვებს. მოსმენილ რიცხვებს ისინი ადარებენ მათ მიერ ჩამონერილ რიცხვებს. ვინ გახდება ლატარიაში გამარჯვებული? ვისი რიცხვებიდან დაემთხვა ყველაზე მეტი რიცხვი?

11. რჩევა: „გაფუჭებული ტელეფონი“: მოსწავლეები სხედან წრეზე.

აჩვენეთ პირველ მოსწავლეს ტელეფონის ნომერი (სხვები ამ ნომერს ვერ ხედავენ). ამ ნომერს მოსწავლეები ერთმანეთს თანმიმდევრობით გადასცემენ ყურში ჩურჩულით, სანამ ბოლო მოსწავლე ხმამაღლა არ იტყვის ამ ნომერს.. შეადარეთ ერთმანეთს თავში ნათქვამი და ბოლოს გამოსული ტელეფონის ნომერი. შეგიძლიათ ერთდროულად რამდენიმე ნომერი უკარნახოთ.

12. გაკვეთილზე მოიტანეთ სანტიმეტრი. მოსწავლეები იზომებიან და შედეგებს დაფაზე წერენ, როგორც ეს მაგალითშია მოცემული. წრიული სავარჯიშო: თქვენ ინწყებთ და პირველი სვამთ შეკითხვას: „Wie groß bist du Patrick/Susi...?“-„Ich binUnd wie groß bist du Adrian/Sabine...?“ ასე გრძელდება მანამ, სანამ ყველა არ უპასუხებს.



Die Zahlen von 0 bis 100



6 Hörst zu und lest die Zahlen bis zwölf.



7 Eine Regel finden – Schreibe die Zahlen.

13 dreizehn – 14 ... – 15 ... – 16 sechzehn – 17 siebzehn – 18 ... – 19 ...

8 Welche Zahlen fehlen in der Reihe?

zwanzig – dreißig – vierzig – ...zig – sechzig – siebzig – ...zig – ...zig – (ein)hundert

9 Zahlen aussprechen – Vergleiche: Deutsch, Englisch, deine Sprache.

englisch: twenty three

2 3

deutsch: 3 und 20
drei und zwanzig



10 Lottozahlen – Notiere 3 mal 6 Zahlen: 1 bis 49. Höre zu. Wie viele Richtige hast du?

11 Diktier Telefonnummern in der Klasse.

12 Wie groß bist du? Fragt in der Klasse.



Ich bin ein Meter vierundfünfzig, und du?

Zahlen und Uhrzeiten

13 Wie spät ist es? Lies die Tabelle, höre zu und sprich die Uhrzeiten nach.

 Es ist 8 Uhr 15. Es ist 20 Uhr 15. Es ist Viertel nach acht.	 Es ist 8 Uhr 30. Es ist 20 Uhr 30. Es ist halb neun.	 Es ist 8 Uhr 45. Es ist 20 Uhr 45. Es ist Viertel vor neun.	 Es ist 9 Uhr. Es ist 21 Uhr. Es ist neun.	 Es ist 9 Uhr 5. Es ist 21 Uhr 5. Es ist fünf nach neun.
--	--	---	---	---

14 Sage die Uhrzeiten.

7:15 12:10 15:25 17:53 23:30 :

15 Wie viel Uhr ist es? – Höre zu und notiere die Uhrzeiten.



16 Uhrzeiten zu zweit trainieren.



17 Paulas Schultag – Höre zu. Notiere Uhrzeiten und Schulfächer.

18 Dein Schultag – Schreibe einen Text und lies vor.

Montag: Der Unterricht beginnt um ... Zuerst habe ich ...
Um ... Uhr habe ich ... Dann habe ich ...
Um ... ist Pause. Dann ...
Um ... habe ich Schluss.

რჩევა მასწავლებელს: პორტფოლიოთი მუშაობა

ბოლო წლებში პორტფოლიო დიდაქტიკაში დისკუსიის საგანი გახდა. გერმანიის მხარეების ბევრ სასწავლო გეგმაში ეს იდეა დამკვიდრდა. ბოლო პერიოდში პორტფოლიო საქართველოს სკოლებშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რას ნიშნავს ეს **geni@**-ისთვის? შეაგროვეთ ტექსტები, პლაკატები, მოსწავლეების მიერ ჩანერილი კასეტები და საერთოდ მოსწავლეების მიერ უცხოურ ენაზე შექმნილი და დამუშავებული პროდუქტები მაგ: (Ich-Texte) ან სტიმული მიეცით მოსწავლეებს, თვითონ მოაგროვონ ეს ყველაფერი. მისი მიზანია, პირველ რიგში საშუალება მისცეს მოსწავლეებს, საკუთარი სწავლის პროცესს მიადევნონ თვალი და მოახდინოს მისი დოკუმენტირება.

ასევე საჭიროა მოხდეს მოსწავლეების მიერ განწერილი შრომის ოდენობის, ფორმის და შინაარსის შეფასება. **geni@**—ში მოსწავლეები გამუდმებით ადგენენ ასეთ ტექსტებს. მიეცით ბავშვებს საშუალება, მოახდინონ თავიანთი ნამუშევრის დოკუმენტირება და გაიაზრონ მათ მიერ განწერილი შრომა. თუ გსურთ კიდევ სხვა ინფორმაციები პორტფოლიოთი მუშაობის შესახებ, შეგიძლიათ მოიძიოთ რჩევები ფორმატისა და შინაარსის შესახებ ევროსაბჭოს პორტფოლიოს აქტებში ან მისამართზე: <http://www.langenscheidt.de/profile/>.

სახელმძღვანელოში მოსწავლეებს ვაძლევთ კიდევ სხვა შესაძლებლობებს, გაიაზრონ საკუთარი სწავლის პროცესი და შეაფასონ ის (ნაწილი „Das kann ich schon“ და „Testtraining“).

13. ჯერ ტექსტი წააკითხეთ ჩუმიად, შემდეგ აუდიოჩანაწერი მოასმენინეთ და მოსმენილი გაამეორებინეთ.

მოსწავლეებს მიუთითეთ განსხვავებუბზე: morgens/abends-ზე და საათის დროის ოფიციალურ და არაოფიციალურ ვარიანტებზე.

რჩევა: მოიტანეთ გაკვეთილზე დიდი საათი, დააყენეთ ის სხვადასხვა დროზე და ათქმევინეთ მოსწავლეებს, რომელი საათია. მათ თვითონაც შეუძლიათ დაამზადონ საათები, როგორც ეს ნაჩვენებია მოსწავლის წიგნის 22-ე გვერდზე.

14. მოსწავლეები ამბობენ დროის ოფიციალურ ვარიანტს („Es ist zwölf Uhr zehn“), შემდეგ შეუძლიათ არაოფიციალური ვარიანტები თქვან (Es ist zehn nach zwölf).

ბოლოს ცალკეული მოსწავლეები დაფაზე წერენ დროის საკუთარ ვარიანტებს.

15. რიცხვების ჩანერა და ამ ჩანაწერების შედარება.

პასუხი: N1: drei/fünfzehn Uhr, N2: 11 Uhr 44, N3. zehn vor vier, N4. 22 Uhr 30, 0 Uhr 30, N5. fünf vor sechs

16. წყვილებში მუშაობა. ხუთი შეკითხვის შემდეგ მოსწავლეები როლებს ცვლიან ისე, რომ ყოველი მოსწავლე ხუთჯერ სვამს შეკითხვას და ხუთჯერვე პასუხობს.

17. მოსწავლეები ისმენენ აუდიოჩანაწერს და ცდილობენ გააკეთონ ჩანაწერი, რომელ საათზე რომელი გაკვეთილი აქვთ ბავშვებს.

პასუხი: 8.00 Uhr: Sport, 9.50Uhr: Bio, 10.40 Uhr: Englisch, (10.15 Uhr: Pause) შემდეგ ეპიზოდში მოსწავლეებმა შეიძლება ჩაინერონ პაულას მიერ ჩამოთვლილი სასკოლო საგნები: (die Turnhose, das Biobuch etc).

რჩევა: მოსწავლეები ერთმანეთს ეკითხებიან წყვილებში გაკვეთილების ცხრილს (თუ ამის საშუალება გაქვთ, გამოიყენეთ პირველი ასლის ფურცელი. A და B გაკვეთილების ცხრილებზე ცარიელი უჯრებია დატოვებული, რომლებიც მოსწავლეებმა ერთმანეთის გამოკითხვის საშუალებით უნდა შეავსონ).

18. საკუთარ თავზე ტექსტის დაწერა და ხმამაღლა წაკითხვა. ამ ტექსტებს მოსწავლეები პორტფოლიოში ინახავენ. (იხ. რჩევა მასწავლებელს „პორტფოლიოზე მუშაობა“).

რჩევა: დაანერინეთ მოსწავლეებს გამოგონილი გაკვეთილების ცხრილი, მაგ: „Der Unterricht beginnt um 11.00 Uhr. Zuerst habe ich Basketball. Um 12.00 Uhr habe ich Fernsehen...“

19. მთავარი გრამატიკული მასალის შესავალი. არსებითი სახელების მხოლობითი და მრავლობითი ფორმების ჩანერა სასწავლო ბარათებზე.

20.

ა) მოსწავლეები ჯგუფებში წერენ სასწავლო ბარათებზე მოცემულ სიტყვას და მას გვერდზე უწერენ მრავლობითი რიცხვის ფორმას. ეს ბარათები მაგიდაზე გაშალეთ და შეადგინეთ მრავლობითი რიცხვის წარმოების ჯგუფები. ბოლოს შედეგს მოსწავლეები წერენ დაფაზე. შეასწორეთ შეცდომები დაფაზე.

მოსწავლეებს ექმნებათ წარმოდგენა მრავლობითი რიცხვის ტიპებზე გერმანულში. იმის გამო, რომ არ არსებობს მრავლობითი რიცხვის წარმოების ერთი საერთო წესი, მოსწავლეებისთვის ცხადი უნდა გახდეს, რომ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა ამ სიტყვასთან ერთად უნდა ისწავლონ. ამიტომ გთავაზობთ სასწავლო ბარათებით მუშაობის ფორმას. ბარათზე ყოველთვის ჩაინერება ეს ფორმები (არტიკლთან ერთად) და მოსწავლეები სიტყვასთან ერთად დაისწავლიან (იხ. 21-ერჩევა მოსწავლეებს).

ბ) ძლიერი ჯგუფები იწერენ ათ, ხოლო უფრო სუსტი ჯგუფები ხუთ არსებით სახელს გავლილი თავებიდან და წერენ მოცემული მაგალითის მიხედვით ბარათებს.

21. ამის შემდეგ მოსწავლეები ჯერ იმახსოვრებენ მრავლობითი რიცხვის ფორმებს და ამის შემდეგ ერთმანეთს გამოკითხავენ.

22. სასწავლო ბარათების კოლექციის შევსება.

ზმნების მრავლობითი რიცხვი. პირველი და მესამე პირის ფორმა Infinitiv-ის ფორმის იდენტურია და ამიტომ ისინი შეგიძლიათ განსაკუთრებული ვარჯიშის გარეშე უბრალოდ ათქმევინოთ. მეორე პირის ფორმებზე უმჯობესია მოსწავლეები კითხვითი წინადადებებით ავარჯიშოთ, რადგანაც მეორე პირის ფორმები უმთავრესად ამ წინადადებებში გვხვდება.



Pluralformen

19 Die Stunde, die Stunden – Lies den Text. Welche Wörter sind im Plural?

Ein Tag hat 24 Stunden, eine Stunde hat 60 Minuten, eine Minute hat 60 Sekunden. Eine Schulstunde hat 45 Minuten. Eine Schulwoche hat fünf Tage. Die Goetheschule hat einen Direktor, mehr als tausend Schüler und Schülerinnen, 52 Klassen und 74 Lehrer und Lehrerinnen.

20 Sprachlupe – Pluralformen
a Ordnet die Wörter und macht eine Tabelle an der Tafel.

die Fotos – die Schüler – das Radio – das Verb – die Nummern – die Pausen – die Uhren – das Foto – die Schülerinnen – die Pause – die Schulen – die Fächer – die Uhr – die Zahlen – die Tage – die Mädchen – der Schüler – die Stundenpläne – die Väter ...

	Singular ♀	Plural ♂♂♂
(ä/ö/ü) -	das Mädchen	
-s	das Auto	die Autos
-n	die Sprache	
-(n)en	die Zahl	die Zahlen
	die Schülerin	
(ä/ö/ü) -e	der Stundenplan	
(ä/ö/ü) -er	das Fach	



b Wie heißt der Lerntipp?

Lerntipp Der bestimmte Artikel im Plural ist immer d...



21 Wähle zehn Nomen aus den Einheiten 1 bis 4.
a Suche die Pluralformen in der Wortliste.
b Schreibe Lernkarten.

die Lernkarte

die Lernkarten

Lerntipp Nomen immer mit Artikel und Plural lernen.

22 Verben und Pronomen im Plural – Lest die Tabelle, sammelt Beispiele.

Das kennst du schon:

Singular	
ich	lerne
du	lernst
er/es/sie	lernt

Plural	
wir	lernen
ihr	lernt
sie	lernen
Sie (formelle Anrede)	lernen


Bitte sprechen Sie langsam, Herr Schmidt!

23. Schulen vergleichen – Fragt in der Klasse.

1. Wir lernen drei Sprachen. Lernt ihr auch ...?
2. Wir beginnen um 8 Uhr. Beginnt ...?
3. Wir haben eine Lehrerin in Deutsch. Habt ...?
4. Wir können am Computer arbeiten. Können ...?
5. Wir können Fächer wählen. Können ...?
6. Wir essen in der Cafeteria. Esst ...?
7. Wir haben ein Orchester. Habt ...?
8. ...

24. Beantwortet den Brief von Janine.

Schüler – Fächer – Unterricht von ... bis ... – Stundenplan – Sport – AGs ...



25. Ein Interview mit der Clique – Ergänze Verbindungen und die Personalpronomen.

- Hallo, was mach... ihr hier?
- Wer, wir?
- Ja, ...
- Wir mach... nichts!
- Nichts? Geh... ihr nicht in die Schule?
- Schule? Am Samstag? Nein, ... machen Musik.
- Musik? Was spiel... ..?
- Rock, Techno, wir ... alles.



neunundzwanzig 29

23. გაყავით კლასი ორ ნაწილად. პირველი ნაწილი „Wir“ გოეთეს სახელობის სკოლის მოსწავლეები არიან, მეორე ნაწილი კი თქვენი რეალური კლასია. პირველი ნაწილი სვამს შეკითხვას, მეორე ნაწილი საკუთარი კლასის სახელით იძლევა პასუხს.

ალტერნატიული ვარიანტი: მინი-პროექტი: მოსწავლეებმა დავალებაში მოცემული შეკითხვები გერმანულად უნდა დაუსვან სხვა კლასის მოსწავლეებს (საკუთარ სკოლაში/ინტერნეტით) და შედეგები შემდეგ გაკვეთილზე მოგახსენონ.

24. მოსწავლეები ყვებიან საკუთარ თავზე (Ich-Texte). შეგიძლიათ აგრეთვე საშინაო დავალებად მისცეთ. თუ ამის შესაძლებლობა გაქვთ, სთხოვეთ მოსწავლეებს გააკეთონ E-Mail-პროექტი ან გაუგზავნონ წერილი დაძმობილებულ სკოლას/კლასს. მიღებულ პასუხებზე კლასში ამუშავეთ (კლასგარეშე სამუშაო).

25. შეავსებინეთ მოსწავლეებს ტექსტი და როლებში დიალოგის სახით წააკითხეთ. ამასთან, ყურადღება მიაქციეთ მახვილს.

პასუხი: macht, ihr, machen, geht, wir, spielt, ihr, spielen

კომიქსზე მუშაობა: ბიჭს არ სურს სკოლაში წასვლა. მშობლებთან დამშვიდობების შემდეგ ის ისე წელა მოძრაობს, რომ ობობა მასზე ქსელის გაბმას ახერხებს. მამა, რა თქმა უნდა ხვდება, რატომ ზოზინობს ბიჭი ასე. ამით აიხსნება ეს შეკითხვა: „Mathe oder Englisch“?

თავი 5 (შემაჯავებელი)

ზოგადი მიმოხილვა

პირველ ნიგნში სულ სამი შემაჯავებელი თავია. მეხუთე თავი წარმოადგენს პირველ შემაჯავებელ თავს ამ სამი შემაჯავებელი თავიდან. დანარჩენი ორია მე-10 და მე-15. შემაჯავებელი თავების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს წინა თავებში ნასწავლი სიტყვების, თემატური ასპექტების და სტრუქტურების გამოვლენა და გამოყენება, რაც ძირითადად ხდება მოტივაციის აღმძვრელი, ხშირად თამაშის ფორმის დავალებებით. ეს ნიშნავს, რომ შემაჯავებელ თავებში მოსწავლეებს არ ვაძლევთ ახალ გრამატიკულ მასალას. შემაჯავებელი თავი შედგება ცალკეული ასპექტების მომცველი ნაწილებისგან, ესენია: ლექსიკა, გრამატიკა, გამოთქმა, ვიდეო მასალაზე მუშაობა და სწავლის ტექნიკა.

1. სიტყვები თამაში. უმჯობესია, კლასს აჩვენოთ ეს თამაში ერთ მაგალითზე, ვიდრე აუხსნათ მისი წესები. გაითამაშეთ ის ერთ მოსწავლესთან ერთად. ერთ-ერთი მოსწავლე ჩუმიდ წარმოთქვამს ანბანს ისე, რომ სხვებს ეს არ ესმით, ერთ-ერთი მოსწავლე ამბობს „Stopp.“ პირველი მოსწავლე ასახელებს ბგერას, რომელზეც მას შეაწყვეტინეს, მაგ L. ახლა ყველა მოსწავლემ რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩამოწეროს ყველა სიტყვა, რომლებიც იწყება ამ ასოზე და რომლებიც გაახსენდებათ. ერთი წუთის შემდეგ აწყვეტინებთ მათ სიტყვების ჩამოწერას და ეკითხებით: „ვისა აქვს ყველაზე მეტი სიტყვა?“ ის მოსწავლე, რომელსაც ყველაზე მეტი სიტყვა უწერია, ხმამაღლა კითხულობს თავის სიტყვებს. სიტყვაში, რომელიც მხოლოდ მას აქვს, ის იღებს 10 ქულას, სიტყვაში, რომელიც სხვებსაც უწერიათ, ყველა იღებს 5 ქულას. მოსწავლეები კითხულობენ შემდეგ მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებიც ჯერ არ დასახელებულა და ხუთი ან შვიდი წრის შემდეგ გამომჟღავნდება გამარჯვებული. თუ მოსწავლეებმა უკვე ბევრი სიტყვა იციან, შეგიძლიათ დასასახელებელი სიტყვები თემატურად განსაზღვროთ, მაგ: „სპორტის სახეობები“, ან „საკვები“ და ა.შ.

2. თამაში-შეჯიბრი. დახაზეთ „ფეხბურთის მოედანი“ (როგორც ეს ნიგნშია) დაფაზე. ბურთად შეიძლება გამოიყენოთ მონეტა. გაყავით კლასი ორ გუნდად. მოიფიქრეთ დავალება (სიტყვათა მასალა, გრამატიკა, ქვეყანათმცოდნეობა და ა.შ.) და დაუსვით შეკითხვა კლასს.

მაგალითი: „Ich bin – wir ...?“ ანდა: „Wie alt ist Biene?“ და ა.შ.
ჯგუფი, რომელიც პირველი გასცემს სწორ პასუხს („Wir sind“, „dreizehn“), ისვრის ბურთს მეორე გუნდის კარისაკენ და ა.შ.
განსაზღვრეთ დრო (მაგ: 15 წუთი), რომლის შემდეგაც უნდა დაითვალოთ ქულები. ვარჯიშის ეს პრინციპი მოგვიანებით

სხვა მასალაზე სამუშაოდ შეიძლება გამოიყენოთ.

3. დავალებაში საქმე ეხება ერთ მარტივ პრინციპს: მოსწავლეებმა თვითონ უნდა შეადგინონ სავარჯიშოები. მოიტანეთ გაკვეთილზე პატარა ბარათები ან წერილ ზოლებად დაჭრილი ქაღალდები. ყოველი მოსწავლე წერს მინიმუმ ხუთკითხვით სიტყვიან რჩევას (შეგიძლიათ ეს კითხვითი სიტყვები თავიდან დაფაზე ჩამოწეროთ). ამის შემდეგ მოსწავლეები მაგალითის ნიმუშის მიხედვით ადგენენ მოკლე შეკითხვებს და პასუხებს.

4. მოსწავლეებმა ამ დავალების შედგენაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა. ჯერ მოსწავლეებს გააკეთებინეთ მოცემული დავალება, შემდეგ მოსწავლეებს თვითონვე შეადგენინეთ მსგავსი მწკრივები. როგორც წესი, ამას ისინი დიდი სიამოვნებით აკეთებენ. უმჯობესია, სამ ან ოთხკაციან ჯგუფებში შეადგენინოთ დავალება და შემდეგ გააცვლინოთ.

პასუხი: 1.Schokolade 2. Turnhose 3.Fußball 4. Chor



1. Abc-Spiel – Wörter von A bis Z



2. Fußball in der Klasse – Eure Lehrerin / Euer Lehrer hat die Regeln.



3. WWW-Fragen und Antworten

Schreibt Fragewörter auf Karten.
A zieht eine Karte und bildet eine Frage.
B antwortet.
B zieht eine Karte und fragt C.
C antwortet ...



4. Was passt hier nicht? Findet noch mehr Beispiele.

1. Auto – Straße – Fahrrad – Schokolade
2. Radiogummi – Turnhose – Tafel – Bleistift
3. Klavier – Fußball – Gitarre – Flöte
4. Mathematik – Biologie – Chor – Englisch
5. ...

5 Wer oder was ist das? Wo ist/steht das?

1. Das ist ein ...

2. Das ist ...

3. Das ist ...

4. Das ist in Einheit ...

5. Das ist eine ...

6. Das Foto ist auf Seite ...

6 Wie heißt die Frage?

Kannst du kochen?

Wohnst du hier?

Wie ...?

Magst du Mozart?

1. Ja!
2. Aus München.
3. Maria.
4. 15.
5. Ja, Spaghetti.
6. Nein!
7. Am Montag.
8. Ja, eine Katze.

5. სახელმძღვანელოს კოლაჟი:
ამგვარი დავალებებით ჩვენ ვცდილობთ, მოსწავლეებს შევასხენოთ განვლილი მასალა. მათ მოცემულ სურათებზე მოკლე წინადადებები უნდა შეადგინონ.

მაგალითები: 1. Kann Biene schwimmen? /Das ist Biene./ Biene geht schwimmen. 2. Das ist Tania./ Tania ist 13./ Tania spielt Klavier. და ა.შ. ყველა მეტ-ნაკლებად აზრიანი პასუხი მისაღებია.

6. შეკითხვის ფორმების გამეორება და ვარჯიში. არსებობს მრავალი ვარიანტი.

მაგალითები: 1. Magst du Hip-Hop? / Lernst du Deutsch? Usw. 2. Woher kommst du? 3. Wie heißt das Mädchen? 4. Wie alt bist du? Wie alt ist ...? 5. Kannst du kochen? 6. Magst du Mozart? 7. Wann hast du Deutsch? 8. Hast du ein Tier?

7. კროსვორდი. მოსწავლეები ეძებენ კითხვის ნიშნის ქვეშ ნაგულისხმევ სიტყვებს და კითხულობენ მთლიან წინადადებებს. ამ სავარჯიშოთი მოსწავლეებს ამავე დროს ვამეორებინებთ დამარცვლის წესებს (D7-J7 -მდე).

პასუხი: 1. Italien (D7-J7) 2. dreizehn (A5-H5) 3. Fische (B2-G2) 4. singen (I1-16) 5. Chemie (C8-H8) 6. Badminton (J2-J10) 7. Pony (A3-D3) 8. Bücher (C1-H1) 9. acht (A6-A9) 10. kein (H2-H5)

8. შემოქმედებითი წერა. მოსწავლეები შეკითხვებს უსვამენ გვერდით მჯდომს და მე-7 დავალების ანალოგიურად წერენ პატარა ტექსტს.

9. თამაში. გაყავით კლასი სამ ჯგუფად: „der“, „die“, „das“. დაასახელეთ რომელიმე არსებითი სახელი გავლილი თავიდან. ამ სიტყვის არტიკლის შესაბამისი ჯგუფიდან დგება ერთი მოსწავლე და ამბობს არტიკლს. ხშირად არასწორი ჯგუფიდანაც დგებიან მოსწავლეები, სანამ არ მიხვდებიან, რომ საჭიროა დისციპლინა და კონცენტრაცია. აქ ბევრი ვარიანტია შესაძლებელი. თქვენ შეგიძლიათ ეს დავალება მისცეთ ორ მოსწავლეს შემდეგი გაკვეთილისთვის მოსამზადებლად. ისინი მოიძიებენ გავლილი თავებიდან 30 სიტყვას (ათ-ათ სიტყვას „der“, „die“, „das“-ზე) და „არტიკლებზე ვარჯიშს“ ჩაატარებენ კლასთან ერთად.

10. ამ დავალებას ორი ნაწილი აქვს. ჯერ ერთი, მოსწავლეებმა ინტუიციით უნდა დააჯგუფონ ტექსტები და სურათები, და მოსასმენი ტექსტის დახმარებით (ჩანიშნვები გააკეთებინეთ) უნდა ჩანერონ ტექსტებში გამოტოვებული ინფორმაცია. შემდეგ ხმამაღლა წააკითხეთ ეს წინადადებები.

პასუხი: 1. um 17 Uhr (Bild 3) 2. aus Wien (Bild 1 u.9) 3. 13 Jahre ab (-) 4. 77 43 56 (Bild 7) 5. drei Computer (Bild 4) 6. ein VW (Bild 5) 7. Tennis, Fußball und Gitarre (Bild 6) 8. Fußball spielen (Bild 8) 9. In zwei Minuten (Bild 2).



7 Informationen über Maria – Suche die Wörter und ergänze die Sätze.

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
A	R	N	P	K	D	A	C	H	T	C
B	U	F	O	L	R	T	P	V	A	F
C	B	I	N	B	E	C	I	C	D	A
D	Ü	S	Y	N	I	R	I	H	R	O
E	C	C	V	C	Z	E	T	E	E	R
F	H	H	L	J	E	I	A	M	D	S
G	E	E	Y	N	H	T	L	I	C	T
H	R	K	E	I	N	E	I	E	K	M
I	S	I	N	G	E	N	E	M	F	I
J	C	B	A	D	M	I	N	T	O	N

1. Maria kommt aus [?].

D7 bis J7: Maria kommt aus Italien.

2. Sie ist [?] Jahre alt.
3. Sie hat 4 [?].
4. Sie kann gut [?].
5. Ihr Lieblingsfach ist [?].
6. Sie macht viel Sport, [?] und [?].
7. Ihr [?] heißt Blacky.
8. Sie hat viele [?].
9. Der Unterricht beginnt um [?] Uhr.
10. Sie hat [?] Fahrrad.

8 Schreibe einen Text über ...

Conny kommt aus ...

9 Artikel-Gymnastik

1. Jeder notiert drei Nomen ohne Artikel.



2. Sammelt die Zettel ein.

3. Bildet drei Gruppen: der-Gruppe, das-Gruppe, die-Gruppe.

Ein Schüler / Eine Schülerin liest vor. Die Gruppe mit dem passenden Artikel steht auf.



10 Welche Bilder passen? Hört zu, notiert die Informationen.



1. Der Film „Dinosaurier“ beginnt um [?] Uhr.
2. Peter kommt aus [?].
3. Die Tochter von Frau Schmidt ist [?] Jahre alt.
4. Die Telefonnummer von Paul ist [?].
5. Max hat [?] Computer.
6. Das Auto ist ein [?].
7. Felix spielt [?], [?] und [?].
8. Thomas kann nicht [?].
9. In [?] Minuten ist Pause.

VIDEO

11 Mache Notizen zu den Personen. Vergleiche mit den Texten auf Seite 12. Welche Informationen sind im Video neu?

Tanja Kaiser mag Filme ...

12 Was ist im Zimmer? Lies die Liste und kontrolliere mit dem Video.

Computer – Klavier – Telefon – Fernseher – Lampe – Tisch – Stuhl – Fenster – Rucksack – Ball – Gitarre – Sofa – Baseball – Dinosaurier – Weltkarte – Sportschuhe – Fahrrad – Radio

13 In der Schule – Bringe die Räume in die richtige Reihenfolge.

Klassenzimmer – Sportplatz – Pausenhof – Biologieraum – Hausmeister

14 Die Karten aus dem Video.

- a Was sagt Tanja? Schreibt einen Text.
- b Schreibt Karten über euch und eure Schule.

Meine Hobbys
Mathe, Englisch,
Bio, Deutsch

Meine Schule
1156 Schülerinnen und Schüler
74 Lehrerinnen und Lehrer

Das bin ich
Tanja Kaiser
Max Planck Gymnasium
Klasse 7 a

dreiunddreißig

33

ვიდეო: (იხ. გვ.46/47 ქვემოთ).

11. მოსწავლეებმა კიდეც ერთხელ უნდა ნახონ 2/1-ის ტექსტები და ფოტოები. შემდეგ აჩვენეთ ვიდეოფილმი, რომელშიც გაეცნობით ვიდეოჯგუფს.

ახალი ინფორმაცია:

- Olli, Freund von Markus, ein bisschen verrückt, spielt Gitarre in einem Band
- Paul trägt immer eine Baseballkappe, will DJ(Discjockey) werden
- Monika mag Tiere

12. ვიდეომასალიდან თავდაპირველად აჩვენეთ სცენა მარკუსის ოთახში. შემდეგ დასვით შეკითხვა: „Was habt ihr gesehen?“ სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ ყველა საგანი, რომელიც დაინახეს. შემდეგ ნააკითხეთ მათ მე-12 დავალებაში მოცემული სიტყვების ჩამონათვალი და კიდეც ერთხელ აჩვენეთ ნაწყვეტი ვიდეოფილმიდან.

რა თქმა უნდა, მოსწავლეებს უფრო მეტი საგნის დასახელება შეუძლიათ. დაეხმარეთ მათ სიტყვების თარგმანში ან ამუშავეთ ლექსიკონით. შემდეგ ეპიზოდში, რომელიც სადარბაზოში ხდება, იკვებება სასიყვარულო ისტორია მარკუსსა და მონიკას შორის, რომელსაც მოგვიანებით ისევ დავუბრუნდებით. თვითონ ამოაცნობინეთ ეს ურთიერთობა მოსწავლეებს (მარკუსის რეაქცია, მონიკას გაპრანჭვა და სხვა). თუ გსურთ, შეგიძლიათ სხვა მონაკვეთებზეც დასვათ შეკითხვები, მაგ. როდის ხვდებიან ვიდეოჯგუფის წევრები ერთმანეთს და ა.შ.

13. პასუხი: Pausenhof, Sportplatz, Klassenzimmer, Biologieraum, Biologielehrer (nicht der Hausmeister)

14. იმ მონაკვეთის ნახვის შემდეგ, რომელშიც ტანია ბარათების საშუალებით წარმოგიდგენთ თავის სკოლას, მოსწავლეებს ანალოგიურად წარმოადგინეთ საკუთარი სკოლა. სასკოლო საგნებს მოსწავლეები, ცხადია, ირონიულად უწოდებენ ჰობის. მოსწავლეებმა ჯერ უნდა ილაპარაკონ ტანიას ბარათებზე. ამის შემდეგ საკუთარი ბარათები დაწერონ და საკუთარი სკოლა წარმოადგინონ.

15. წარმოთქმა. შემაჯამებელ თავში მოსწავლეებს სისტემატურად ვაძლევთ დავალებებს, რომლებშიც ისინი წარმოთქმაზე ივარჯიშებენ. მე-15 დავალება წარმოადგენს სანარმოთქმო სავარჯიშოს „გართულებულ“ ვარიანტს (აქ მოსწავლეს კბილებით უჭირავს ფანქარი და ისე ლაპარაკობს). მოსწავლეებმა ჯერ ქართულად აღწერონ, რა უნდა გაკეთდეს ამ სავარჯიშოში. შემდეგ მოასმენინეთ მაგალითი და გაამეორებინეთ ის. ამის შემდეგ მათ კბილებით უნდა დაიჭირონ ფანქარი, წყვილებში უნდა წარმოთქვან საკუთარი დიალოგები და შეეცადონ იმის გაგებას, რას ამბობს პარტნიორი.

დიალოგი: Hallo, wie heißt du? Ich heiße Tanja, und du? Ich heiße Markus? Woher kommst du? Ich komme aus Berlin? Woher? Aus Berlin? Ach so?

16. სწორი ინტონაციის და მახვილის გამოსამუშავებელი სავარჯიშო. სთხოვეთ მოსწავლეებს ქართულად აღწერონ კომიქსი. რა მოხდა? ძალს გარეთ გასვლა უნდა და ყვეს, რომ პატრონის ყურადღება მიიქციოს. პატრონი კი მის ყვესას არასწორად იგებს, აძლევს მას საჭმელს და... ამის შემდეგ მოსწავლეები ჩანაწერის ლუღლუღით წარმოთქმულ წინადადებებს დავალებაში ჩამოწერილ წინადადებებთან აჯგუფებენ. თავიდან ნაკითხვით მათ ყველა წინადადება შემდეგ მოასმენინეთ ერთი წინადადება აუდიოჩანაწერიდან და გააჩერეთ ტექსტი. მოსწავლეები ამბობენ, რომელი წინადადება შეესაბამება ლუღლუღით წარმოთქმულს და კითხულობენ ამ წინადადებას ხმაშეშეშე.

პასუხი: კასეტაზე მოცემულია ხუთი მაგალითი: a/2, b/5, c/1, d/8 oder 9, e/3. სთხოვეთ მოსწავლეებს, ლუღლუღით წარმოთქვან დარჩენილი წინადადებები და გამოიცნონ ისინი.

17. გრძელი და მოკლე ხმოვნების განმასხვავებელი და წარმოსათქმელი სავარჯიშო. მოსწავლეებმა ჯერ თვითონ უნდა წარმოთქვან ეს სიტყვები და შემდეგ შედეგები შეამოწმონ აუდიოჩანაწერის მეშვეობით.

პასუხი: შემდეგი სიტყვები არ შეესაბამება კონტექსტს: **1. schwimmen 2. Kassel 3. schon 4. sechs 5. Schule 6. Heft 7. Italien**




AUSSPRACHE



15 Wie bitte?



16 Murmelmurmeln – Höre zu. Welche Sätze hörst du? Notiere die Zahlen.



hm hm hm

- | | |
|-------------------------------|---------------------------------|
| 1. Wie heißt du? | 6. Das ist ein Radiergummi. |
| 2. Woher kommst du? | 7. Ist das ein Computer? |
| 3. Tschüs, Peter. | 8. Guten Abend, Herr Schmidt. |
| 4. Kannst du Gitarre spielen? | 9. Es ist Viertel vor neun. |
| 5. Ich komme aus Italien. | 10. Das ist Michael Schumacher. |



17 Lange und kurze Vokale – Lest die Wörter laut. Ein Wort in jeder Reihe passt nicht.

- | | | |
|------------|----------|-----------|
| 1. Fußball | Judo | Schwimmen |
| 2. Berlin | Kassel | Wien |
| 3. schön | stopp | gern |
| 4. sechs | sieben | vier |
| 5. Fach | Kurs | Schule |
| 6. Heft | Brot | Buch |
| 7. Italien | Finnland | Russland |

„Schwimmen“ passt nicht. Das „i“ ist kurz.





LERNEN MIT SYSTEM

5

18 Fitnessstraining Deutsch – Sich konzentrieren und Pausen machen.



± 2 Stunden

± 25 Minuten

Wochenplan Rudi		Wochenplan Boris	
Mo	–	Mo	25 Min.
Di	–	Di	25 Min.
Mi	–	Mi	25 Min.
Do	2 Std.	Do	20 Min.
Fr	–	Fr	25 Min.

Tagesplan Boris:

17.00 Deutsch

17.20 Pause

17.25 Mathe

17.40 Pause

17.50 Englisch

18.10 Pause

...

19 Lernkarten helfen beim Lernen

1. Artikel/Plural/Übersetzung



2. Verbformen



3. Sätze



4. Dialoge



fünfunddreißig 35

ვიდეომასალით მუშაობა

სამ დიდ ნაწილად (თავი 1-5, 6-10, 11-15) დაყოფილი ვიდეომასალა შემაჯამებელი დავალებების გარდა, ბევრ საინფორმაციო მასალას შეიცავს ქვეყანათმცოდნეობიდან, რის შესახებაც შეგიძლიათ სურვილისა და დროის მიხედვით დაამატოთ სავარჯიშოები.

რჩევა: ნუ აჩვენებთ ვიდეომასალას მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ ფილმის შინაარსზე დაუსვათ მოსწავლეებს შეკითხვები. არამედ სისტემატურად ცვალებად დავალებები, მაგ:

1. შესაბამის ადგილზე გააჩერეთ ფილმი და სთხოვეთ მოსწავლეებს გამოიცნონ, როგორ გრძელდება ის.
2. რომელიმე ადგილზე გააჩერეთ ფილმი და სთხოვეთ მოსწავლეებს, აღწერონ სცენა, მაგ. მარკუსის

ოთახი.

3. მოსწავლეებს აჩვენეთ ვიდეოფილმი ჯერ უხმოდ, შემდეგ — გახმოვანებით. უხმოდ ნახვის დროს მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა ხდება, და სრულ ვარიანტს შეადარონ.

4. მოსწავლეებს ვიდეოფილმი სწრაფი გადახვევით აჩვენეთ და გამოაცნობინეთ, რა ხდება.

5. ერთ-ერთი საუბარი მოსწავლეებს სიტყვასიტყვით ჩაანერინეთ.

6. დაავალეთ მოსწავლეებს, დააკვირდნენ მიმიკასა და ჟესტებს და აღწერონ ისინი.

7. დავალებების შესადგენად წიგნში რამდენიმე წინადადება მოგეცით. ანალოგიურად შეგიძლიათ ფირზე დავალებები თვითონ შეადგინოთ ან მოსწავლეებს შეადგინოთ.

8. ვიდეოსცენები მოსწავლეებს გაათამაშებინეთ.

18. შემაჯამებელ ნაწილში მოსწავლეებს ვურჩევთ, როგორ უნდა უკეთე დაგეგმონ თავიანთი სასწავლო პროცესი და ვეხმარებით მათ სწავლაში. მოსწავლეებმა ნახატიდან და დროის მონაცემებიდან უნდა გაიგონ, რომ სისტემატური ხანმოკლე მუშაობა შესვენებებით გაბმულ და ხანგრძლივ ვარჯიშს ჯობია. გაკვეთილზეც და საშინაო დავალებების მიცემის დროსაც სისტემატურად მიუთითეთ „სწავლის წესებზე“.

19. სიტყვების გასამეორებლად სამწუხაროდ ბევრ სკოლაში ჯერჯერობით ისევ ორენოვანი სიტყვების რეჟიმებს გამოიყენებენ. ამ მეთოდისგან განსხვავებით, სასწავლო ბარათებს დიდი უპირატესობა გააჩნია. შეიძლება მათი დახარისხება, არევა; მათი სისტემატურად ხმარების შემთხვევაში კი, როგორც წესი, შესანიშნავ შედეგებს ვიღებთ. პირველ ეტაპზე უმჯობესი იქნება, თუ მოსწავლეებს რამდენიმე ბარათს კლასში დაანერინებთ. ეს ერთი შეხედვით იოლი ხერხია, მაგრამ მოსწავლეებს მაინც უჭირთ სასწავლო ბარათების აზრიანად შედგენა.

რჩევა: ერთ ბარათზე მხოლოდ ერთი პრობლემა უნდა დაინეროს. ამ „სასწავლო ბარათების“ პრინციპი შეგიძლიათ განავრცოთ მრავალ ლექსიკურ ან გრამატიკულ თემაზე. დროდადრო მოაგროვეთ ცალკეული მოსწავლის ბარათები და შეამოწმეთ, სწორად გაიგეს თუ არა ბარათების შედგენის და მათი საშუალებით მუშაობის პრინციპი.

მე-6 თასი

ზოგადი მიმოხილვა

ამ თავის მთავარი თემაა შინაური ცხოველები, რაც მოსწავლეთა უმრავლესობას აინტერესებს. ამ თავში მოსწავლეები გაეცნობიან ქვეყანათმცოდნეობით ინფორმაციას, თემატურ ლექსიკურ მასალას „ფერები“ და ერთ მოთხრობას. გრამატიკულ ნაწილში პირველად შემოგვაქვს ერთი ბრუნვა შესაბამისი დაბოლოებით. „შინაურ ცხოველებზე“ წარმოდგენილია ტექსტი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები სწავლობენ კუთვნილებით ნაცვალსახელებსა და ფერებს. აქვე ვიყენებთ ზედსართავ სახელებს დაბოლოების გარეშე პრედიკატული დანამატის სახით, რომლის თემატიზირებასაც ამჯერად არ ვახდენთ. ამ თავში მოსწავლეებს ვაცნობთ გრამატიკულ მასალაზე დამოუკიდებელი მუშაობისა და გრამატიკული წესის პოვნის ხერხებს.

1. ჯგუფებში მუშაობისას მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს და აჯუფებენ მათ ცხოველების სახელებთან; შემდეგ ისმენენ აუდიოჩანაწერს და აჯგუფებენ დარჩენილ სიტყვებს. პასუხებს წარმოადგენენ ფორუმში. მიაქციეთ ყურადღება წარმოთქმას.

პასუხი: 1 d 2e 3g 4f 5c 6b 7h 8a

2. მოსმენა და დაჯგუფება. გააჩერეთ აუდიოჩანაწერი ყოველი ხმის შემდეგ. მოსწავლეები ასახელებენ ცხოველს, როგორც ეს მაგალითშია.

პასუხი: ein Hund, eine Katze, ein Elefant, ein Fisch, ein Pferd

3. მოსწავლეები ყვებიან, რომელი ცხოველები უყვართ ან არ უყვართ მათ. ამ ეტაპზე ჯერ არ ხდება „mögen“+Akk თემის თემატიზირება (მხოლოდ 39-ე გვერდიდან). აქ უპირატესობა ენიჭება ლაპარაკის უნარ-ჩვევას. სანამ კითხვებს დაუსვამდეთ, მიეცით მოსწავლეებს დრო საკუთარი წინადადებების შესადგენად (ორი ან სამი წინადადება მოსწავლეზე).

4. მოკლე ტექსტის კითხვა

მოსწავლეები აჯგუფებენ ტექსტებს და სურათებს. ჰკითხეთ, რომელი სიტყვები დაეხმარა მათ ამ დავალების შესრულებაში.

პასუხი: 1b 2c 3a



Tiere und Leute



1 Wie heißt das Tier? Ordne a–h den Bildern zu.



a) die Fliege b) der Affe c) die Schlange d) der Elefant e) die Kuh f) der Papagei g) der Pinguin h) das Pferd



2 Höre zu. Was ist das?

Das ist ein Vogel. Ein ...

Das ist eine ...

3 Lieblingstiere – Sprecht in der Klasse.

Ich mag ...


Ich mag keine ...

Mein Bruder mag Pferde.

Meine Schwester mag keine ...

Meine Eltern mögen ...

4 Katharina und Atze, Tanja und Dr. Jones, Timo und Kurti – Ordne die Bilder den Texten auf Seite 37 zu.



36 sechsenddreißig


1. Atze ist fünf. Er ist wild, aber lieb. Und ganz schwarz. Katharina wohnt in Ronshausen. Sie geht in Klasse 3. Sie sagt: „Atze läuft gern. Und er hasst Katzen.“
2. Tanja liebt Dr. Jones. Er ist ein Pony. Paula ist die Schwester von Tanja. Sie mag Ponys auch. Aber ihr Vater sagt: „Zwei Mädchen und zwei Ponys, das kostet zu viel.“
3. Timo hat Kurti schon zwei Jahre. Kurti ist gelb und singt manchmal. Alle mögen Kurti. Timos Mutter sagt: „Kanarienvögel sind lieb, aber sie machen viel Arbeit.“

5 Ein Quiz – Wer ist das?

1. Er läuft gern.
2. Er ist bunt.
3. Sie geht in Klasse 3.
4. Sie liebt Dr. Jones.
5. Sie ist die Schwester von Paula.
6. Er ist wild, aber lieb.
7. Er ist gelb.
8. Er ist grau.



6 Projekt „Tiere“ – Bilder und Texte. Macht ein Plakat in der Klasse.



7 Wo ist Bora? – Sieh die Bilder an und höre zu. Was passiert?



siebenunddreißig 37

5. ჩემად კითხვა.

ამ დავალებით შეგიძლიათ შეამოწმოთ, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა წინა დავალების ტექსტი. ამუშავეთ ისინი წყვილებში. წინასწარ გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ ორ ინფორმაციას ტექსტში ვერ იპოვიან (2 და 8).

პასუხი: 1. Atze 2.- 3. Katharina 4. Tanja 5. Tanja 6. Atze 7. Kurti 8.

ამ დავალებაში შემოგვაქვს ფერები. თთავაზობთ ვიზუალურ დახმარებას მათ დასასწავლად (სიტყვების და ფერების ასოციაციური დაკავშირება), რომელიც მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ: მწვანე ოთახი, ყვითელი მზე და ა.შ. კიდევ რა იდეები გაუჩნდებათ მათ? მაგალითები გააფრადებინეთ.

6. სასწავლო პლაკატების შედგენა.

მოსწავლეები ჯგუფებში აღწერენ წიგნში მოცემულ შინაურ ცხოველებს ან სახლიდან მოაქვთ სურათები. შეადგინეთ პატარა ჯგუფები. თითოეულ ჯგუფში მინიმუმ ერთი მოსწავლე მაინც უნდა იყოს ისეთი, რომელსაც ჰყავს შინაური ცხოველი. მოსწავლეები ხატავენ სურათებს და ადგენენ ტექსტებს, როგორც ეს მაგალითშია მოცემული. მათ ასევე შეუძლიათ გამოიყენონ მე-7 სავარჯიშოს სიტყვები, მაგ.: "Das Fell ist weiß"- "Zwei Pfoten sind braun". და ა.შ. კითხვის ნიშნის ნაცვლად მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ დაწერონ: "Wer ist mein Herrchen?/Frauchen?", ბოლოს სურათებით ერთი პლაკატი შეადგინონ და კლასში ჩამოკიდონ. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტებს და ცდილობენ გამოიცნონ, რომელი ცხოველი ვის ეკუთვნის.

7. აქ იწყება დაკარგული ძაღლი ბორას ისტორია. სურათის და აუდიოჩანაწერის საშუალებით გააკეთეთ შესავალი ფორუმი. ქართულად შეამოწმეთ, რა გაიგეს მოსწავლეებმა.

მარჯვნივ მოცემული სურათი მოსწავლეებს სიტუაციის გაგებაში დაეხმარება ("Was ist ein Dackel?").

8. წყვილებში კითხვა. ვარაუდების გამოთქმა ქართულად: სად არის ბორა?

9. a) და b) — ში მოსწავლეები მუშაობენ SOS-ის პრინციპით (იხ. სასწავლო რჩევა ქვემოთ) და ადგენენ გრამატიკულ წესს.

ა) თუ შესაძლებელია, გადაიღეთ b)-ს ტექსტის გადიდებული ასლი და მოაძებნინეთ მოსწავლეებს კუთვნილებითი ნაცვალსახელები. ყურადღება: დაფარეთ ბოლო წინადადება: („Mach du...“), რადგანაც აქ საქმე ეხება აკუზატივს.

პასუხი: sein Hund, mein Hund, mein Dackel, meine Bora, deine Bora, ihr Halsband

მოსწავლეები ცხრილში წერენ სწორ ფორმებს (დაფაზე ან ფოლიზე).

ბ) მასალა ისე მიანოდეთ, რომ მოსწავლეებმა შეამჩნიონ: მდებრობითი სქესისა და მრავლობითი რიცხვის Nominativ-ში კუთვნილებითი ნაცვალსახელს მხოლოდ დაბოლოება „e“ ემატება.

ნახატი გვიჩვენებს, რომ თავაზიანი ფორმა „Sie/Ihr(e)“ მხოლოდით რიცხვში იმეორებს მდებრობითი სქესის მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმას „sie/ihr(e)“.

10. შემოწმება

პასუხი: meine, dein, seine, sein, ihr

აქ მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ მე-9 ან მე-11 დავალების ცხრილები (მხოლოდ Nominativ-ი).



Ich suche meinen Hund

8 Lies und höre den Text.

Es ist halb zwei. Klaus kommt aus der Schule. Sein Hund bellt nicht. „Bora, B-o-r-a“, ruft Klaus. Keine Antwort. O je. Bora ist weg. Klaus wählt 110.

- Kommissar Wallander.
- Hallo, Herr Kommissar: Bora ist weg!
- Wie bitte? Was? Wer ist Bora?
- Das ist mein Hund, mein Dackel, meine Bora!
- Ach so! Wie heißt du? Wo wohnst du?
- Ich heiße Klaus Waldmann. Ich wohne im Vogelweg 7.
- Und wie sieht deine Bora aus?
- Sie ist grau. Ihr Halsband ist rot. Was kann ich denn machen, Herr Kommissar?
- Mach du deine Hausaufgaben. Wir suchen deinen Dackel.

9 SOS-Strategie – Formen sammeln, ordnen und systematisieren

a Sammeln und ordnen – Macht eine Liste.



der Hund	sein Hund	ihr Hund

b Systematisieren – mein/meine und der/das/die. Was fällt dir auf?

	Singular: <i>der/das</i>	Femininum: <i>die</i> / Plural: <i>die</i>
	der Hund / das Pony	die Katze / die Hunde, die Ponys, die Katzen
ich	mein Hund / Pony	meine Katze / Hunde, Ponys, Katzen
du	dein	deine
er/es	sein	seine
sie	ihr	ihre

Frau Meier, ist das Ihr Hund?!



10 Ergänze die Sätze. Die Tabelle in 11 hilft.

ich	Wo ist m... Katze? Ich suche sie schon über eine Stunde.
du	Ist das d... Hund? Der ist sehr schön!
er	Das ist Peter. S... Mutter arbeitet hier in der Schule.
es	Das Pferd ist schön. S... Fell ist braun.
sie	Tanja und i... Pony Dr. Jones sind immer zusammen.

რჩევა: როგორ ვისწავლოთ გრამატიკა?

S-O-S (Sammeln – Ordnen – Systematisieren/მოაგროვე – დააჯგუფე – სისტემაში მოიყვანე!)

ზოგადად ...

რას ნიშნავს გრამატიკული წესის ცოდნა?

- 1) ფორმების სწორად წარმოებას
- 2) სტრუქტურის სწორ ადგილას და სწორი მნიშვნელობით გამოყენებას.

პირველი მიზნის მისაღწევად საუკეთესო წინაპირობაა ის, რომ მოსწავლემ თვითონ აღმოაჩინოს კანონზომიერებები და წესები. მეორე მიზნის მისაღწევად კარგია სტრუქტურების გამოყენება კონკრეტულ აზრობრივ კონტექსტში.

კონკრეტულად...

მიეცით მოსწავლეებს საშუ-

ალება, თვითონ იპოვონ წესები. გრამატიკული ცხრილების ფუნქცია უკვე ნასწავლი წესების გადამოწმებაა.

1. **Sammeln/მოაგროვება:** მოსწავლეებმა ტექსტებში უნდა მოძებნონ კანონზომიერებები და ყურადღება გაამახვილონ მათზე (ამოინერონ, პარტნიორთან ერთად განიხილონ და ა.შ.)

2. **Ordnen/დაჯგუფება:** მოსწავლეები აჯგუფებენ თავიანთი დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით (მაგ.: სიტყვის დაბოლოებების ან წინადადების კონტექსტის მიხედვით).

3. **Systematisieren/სისტემატიზირება:** მოსწავლეები ცდილობენ (თუ საჭიროა, თქვენი დახმარებით), თვითონ ჩამოაყალიბონ წესები. არ დაგავინყდეთ: მიეცით მოსწავლეებს საშუალება, გამოიყენონ და განამტკიცონ სტრუქტურები.

11 Akkusativ von ein, kein, mein ... – Ergänze den Lerntipp.

Nominativ		Akkusativ	
der/(k)ein/mein	Hund	Ich mag den Hund	(k)einen ... / meinen ...
das/(k)ein/mein	Pony		das Pony
die/(k)eine/meine	Katze		die Katze
die/keine/meine	Katzen		Katzen

Den Akkusativ kann man sich leicht merken: die Endung im Maskulinum ist ...

Lerntipp

12 Verben mit Akkusativ – Schreibt Lernkarten mit diesen Verben.

Verben mit Akkusativ aus den Einheiten 1–6:

fahren – finden – haben – hassen – hören – kennen –
lernen – lesen – mögen – rufen – schreiben – singen –
suchen

suchen (A)
Ich suche mein...
Hund.

meinen

13 Sprecht über eure Tiere.

Ich habe einen Kanarienvogel.

Ist er grün oder blau? Wie alt ist ...

Wie groß ist dein Hund?

So groß.

Hast du auch einen/eine ...?

Ja. / Nein, ich habe ...

Wie heißt ...



14 Ein Spiel – Macht eine Tabelle mit Tiernamen wie im Beispiel.

	A der	B das	C die
1	der Pinguin	das Pferd	die Kuh
2	der Papagei	das Pony	die Ratte
3	der Hund	das Krokodil	die Fliege
4	der Elefant	das Känguru	die Katze

Hast du einen Tiger in A1?

Nein. Hast du eine Fliege in C3?

Ja.

neununddreißig 39

11. მოსწავლეები ცხრილებს ავსებენ წყვილებში. ჯერ შეავსებინეთ დაუმთავრებელი მწკრივი, შემდეგ ილაპარაკეთ არტიკლებზე (განსაზღვრული/განუსაზღვრელი), უარყოფით არტიკლზე „kein“ და კუთვნილებით ნაცვალსახელებზე. ამის შემდეგ მოსწავლეებს დაანერინეთ დანარჩენი არსებითი სახელების ჯერ განუსაზღვრელი არტიკლები ან უარყოფითი არტიკლები „kein“-ით. ამ ფორმებიდან მათ შეუძლიათ ამოიცნონ კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები და მოიფიქრონ, როგორ ჩამოაყალიბონ შესაბამისი რჩევა. არსებობს Akkusativ-სა და Nominativ-ს შორის: მამრობითი სქესის სიტყვებში დაბოლოება არის „-en“!

ბოლოს მიუთითეთ მე-8 დავალების ბოლო წინადადებაზე.

- რატომ ვიღებთ Akkusativ-ს?

- ზმნების „suchen /machen“-ის გამო.

12. მოცემული მოდელის მიხედვით მოსწავლეებს ჯერ დაამზადებინეთ სასწავლო ბარათები. შემდეგ ბარათები მოაგროვეთ და მაგიდაზე ან დასაჯზე გამოფინეთ. შეცდომები შეასწორეთ. დაამზადებინეთ მათ სხვა სასწავლო ბარათები იმავე ნიმუშის მიხედვით. ბარათები შეაგროვეთ და მიეცით ჯგუფებს სავარჯიშოდ.

13. მოსწავლეებს წყვილებში მოამზადებინეთ პატარა დიალოგები. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ტექსტის ჩასანერი ნრეები დავალებიდან და კიდევ დაამატონ თავისი წინადადებები (z.B. „Wie alt ist...?“- „Wie lange hast du schon...?“ etc.). პატარა დიალოგებს მოსწავლეები კითხულობენ ფორუმში.

14. თამაშის პრინციპი: „გემების ჩაძირვა“. იმუშავეთ ნიმუშის მიხედვით: მოსწავლეები საკუთარ რეგულალებში ორ ვარიანტად ხაზავენ სქემას (A „der“, B „das“, C „die“/ 1,2,3,4.). სქემაში თავიდან წერენ ცხოველების მოცემულ სახელებს სხვა თანმიმდევრობით ისე, რომ ჩანანერი სხვებმა ვერ დაინახონ. მეორე სქემა ცარიელი რჩება.

მოსწავლე A და მოსწავლე B მუშაობენ ერთად. A იწყებს გამოკითხვას: B პასუხობს „Ja“-ს. A ცხოველის სახელს წერს ცარიელ სქემაში და ისევ ეკითხება. ყოველი „Ja“-ს შემთხვევაში ის ამ ცხოველის სახელს წერს სქემაში. თუ პასუხად მიიღო „Nein“, მაშინ B მოსწავლის შეკითხვის ჯერი დგება. ვინც პირველი გამოიცნობს და ჩანერს ყველა სახელს, ის მოიგებს თამაშს.


15. შემონმება. შემონმება ხდება სხვა ჯგუფების მიერ. შედეგი განიხილეთ ფორუმში.

პასუხი: 1. mein 2. eine 3. meine 4. meine, keine 5. eine 6. keine 7. meinen, seine

16. მოსწავლეები მუშაობენ პატარა ჯგუფებში. ერთი მოსწავლე აგორებს კამათელს და ადგენს წინადადებას, რომლებსაც სხვები ამოწმებენ. კამათელი უთითებს წინადადების დასაწყისს, შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ ამ წინადადებას.

მაგალითი: ვაგორებ კამათელს და ჯდება ოთხიანი. ეს მეოთხე წინადადებაა, რომელიც იწყება "Suchst du ...?". ამის შემდეგ ვეძებ კიდევ ორ ელემენტს: "die Brille" + "dein". ჩემი წინადადება გამოვიდა: "Suchst du deine Brille?".

17. ჯერ მოსწავლეებთან ერთად დათვალიერეთ სურათი და შემდეგ წააკითხეთ მათ სურათის ქვეშ დანერჩილი ტექსტი. როგორი დასასრული აქვს ამ ისტორიას? რაში მდგომარეობს პრობლემა? ისაუბრეთ ქართულად ფორუმში. შემდეგ მოისმინეთ აუდიოჩანაწერი და შეამოწმეთ, სწორი ვარაუდები გამოითქვა თუ არა. რა დაეხმარა მოსწავლეებს შინაარსის გამოცნობაში?



15 Teste deine Grammatik – Arbeitet zu zweit.



1. Hallo, ... Name ist Rudolf. 2. Ich habe ... Ratte. 3. M... Ratte mag Schokolade. 4. ... Freundin mag k... Schokolade. 5. Sie ist ... Bücherratte. 6. Sie mag Deutschbücher und Englischbücher, aber sie lernt k... Wörter. 7. Und sie mag m... Deutschlehrer, aber s... Katze mag sie nicht.

16 Ein Würfelspiel – Beginne deine Sätze mit dem passenden Satzanfang.



Ich suche meinen Pinguin.

- | | | |
|----------------------|--------|-------------------|
| 1. Das ist ... | ein.. | der Deutschlehrer |
| 2. Hast du ...? | kein.. | der Füller |
| 3. Ich suche ... | mein.. | der Pinguin |
| 4. Suchst du ...? | dein.. | das Deutschbuch |
| 5. Ich habe ... | sein.. | das Pony |
| 6. Wo finde ich ...? | ihr.. | die Brille |
| | | die Mathelehrerin |



17 Bora ist weg – Die Geschichte geht weiter. Was ist das Problem?



Zwei Stunden später

Klaus Waldmann? Hier ist Kommissar Wallander. Ich glaube, wir haben Bora. Der Hund ist klein, grau und sein Halsband ist rot. Du kannst deinen Dackel abholen. Aber es gibt ein Problem ...

Tierisch gut!

18 Die Deutschen und ihre Hunde

Seht die Fotos an. Was ist das? Sucht die Antworten im Text.



Ein chinesischer Student in Deutschland schreibt über Hunde:

Hunde und Katzen sind in Deutschland sehr populär. Viele Erwachsene und auch viele Kinder haben einen Hund. Es gibt in Deutschland über vier Millionen Hunde. Beliebte Hunde sind der Pudel, der deutsche Schäferhund und auch der Dackel. Die Hunde heißen oft Bello, Schnuffi, aber auch Maxi, Sarah oder Paula. Für Hunde kann man in Deutschland alles kaufen: Hundefutter, Hundekleider, Hundespielzeug. Es gibt sogar Hundefrisöre! Die Deutschen lieben ihre Hunde, aber es gibt auch Probleme. Wo kann der Hund auf die Toilette?



einundvierzig 41

18. დაინწყეთ მუშაობა სურათებით. ისინი აქ ტექსტის შესავალს წარმოადგენენ. რის გაგებას ახერხებენ მოსწავლეები სურათების საშუალებით? რას აკეთებს კაცი? რომელი მაღაზიის წინ ზის ძაღლი? რომელი საგნები ამოიცანით? (Anzug, Spielzeug, Hundekuchen, Hundekau).

შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და იწერენ სურათების შესაბამის ინფორმაციას. სხვა რომელი სიტყვები და ინფორმაციაა საინტერესო? (ძაღლის ჯიშები, სახელები, 4 მილიონი ძაღლი და ა.შ.).

რჩევა: მოსწავლეები მსჯელობენ, უმეტესად რომელი შინაური ცხოველი და რა ჯიშის ძაღლები ჰყავთ ადამიანებს მათ ქვეყანაში და არკვევენ: უყვართ თუ არა შინაური ცხოველები: ბევრს ჰყავს თუ არა ძაღლი? რომელი ჯიშის? შედარება ხდება ქართულად.

ზოგადი მიმოხილვა

ამ თავის თემა ახალგაზრდებს შორის შეხვედრის დანიშვნა. ამიტომ შემოგვაქვს თანხმობის და უარის თქმის გამომხატველი ლექსიკური მასალა. ახალი გრამატიკული მასალა თავსართმოცილებადი ზმნები და მოძრაობის მიმართულების გამომხატველი "in" +Akk (თუმცა ამ ადგილას არ ხდება მისი თემატიზირება).

1. მოსწავლეებს შეუძლიათ კოლაჟზე ნახონ მრავალი ინფორმაცია დროისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ. ეს თავისუფალი დავალებაა და მათ შეუძლიათ საკუთარი ფანტაზიით ისაუბრონ იმაზე, რასაც ამოიცნობენ. **მითითება:** "Trödelmarkt" ნიშნავს ბაზრობას, ხოლო სიტყვა "Ball" აქ მეჯლისის მნიშვნელობით არის ნახმარი. იხ. აგრეთვე ქვემოთ.

მაგალითები: Der Film beginnt um 17.30 Uhr. Ist am Samstag das Internetcafe auf/geöffnet? Hat das Internetcafe ein Telefon? Wann kann man die Flugshow sehen? Kann man am Sonntag zum Flohmarkt gehen? Etc.

2. ეს დავალება ამზადებს მოსწავლეებს მე-3 დავალების მოსასმენ ტექსტზე სამუშაოდ. მოსწავლეებმა ქართულად უნდა იმსჯელონ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს სატელეფონო საუბრის თემა. რაზე საუბრობენ? დაავალეთ მოსწავლეებს, ეს ინფორმაცია ნახატებიდანაც ამოიცნონ. ვინ არის ეს? რას უკრავს ის?

მითითება: ბინე უკრავს დასარტყამ ინსტრუმენტზე და არა „დოლოზე“. რისი ამოცნობა შეუძლიათ მოსწავლეებს? "Schlosspark" (ინგლისურად: "Park").

3. წიგნები დახურულია. მე-2 დავალების დროს ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოს დახმარებით მოსწავლეებმა უკვე უნდა შეძლონ მოსმენისას ინფორმაციის ჩანიშვნა. შეგიძლიათ ტექსტის გასაგებად კიდევ ერთი მოსამზადებელი სამუშაო ჩაატაროთ შეკითხვების საშუალებით: "Wer spricht? Wohin gehen sie? Wann ist das? Klappt die Verabredung?" ამის შემდეგ მოასმენინეთ ტექსტი და ზეპირად გამოჰკითხეთ, რა გაიგეს. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ, ტექსტი კიდევ ერთხელ მოასმენინოთ. შეამონმეთ, ყველაფერი გაიგეს თუ არა.



Hast du Zeit?

1 Fragt und sucht die Informationen in den Texten.

Wann beginnt ...?
Ist am Samstag ...?
Wann ist der/das/die ... geschlossen/geöffnet?

Hat ... Telefon?
Kann man am Sonntag ...?
Wann kann man ...?



2 Eine Verabredung – Sieh die Bilder an. Was sagen Tom und Elke?



3 Einen Dialog hören – Was verstehst du? Mache Notizen.



42 zweiundvierzig

ქვეყანათმცოდნეობითი ინფორმაციები პირველი დავალების კოლაჟზე

Jugendbücherei: თითქმის ყველა ქალაქში არსებობს სპეციალური ბიბლიოთეკები მოზარდებისთვის, საიდანაც შეიძლება წიგნებისა და ჟურნალების გამოტანა.

Internetcafe: დღეისათვის ინტერნეტ-კაფეებს ყველგან ნახავთ. მოზარდები აქ იკრიბებიან, ეძებენ ინტერნეტში სასურველ ინფორმაციას, თამაშობენ, კითხულობენ ან აგზავნიან ელექტრონულ ფოსტას.

Ball der Turnvereine: სპორტული კლუბის მეჯლისი. გერმანიაში არსებობს ძალიან ბევრი კლუბი, რომლებიც სისტემატურად აწყობს


ლონისძიებებს მოზარდებისა და უფროსებისათვის. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია სპორტული კლუბები.

Ein Trödelmarkt: („Trödel“=ძველი ნივთები) არის ძველი, ნახმარი ნივთების ბაზრობა. ასეთი ტიპის ბაზრობებს ყველა ქალაქში ნახავთ, თუმცა — მხოლოდ შაბათ-კვირას.

Flugtag: დირიჟაბლებით ფრენა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ლონისძიების დროს ხშირად ხდება ტრაგიკული შემთხვევები, ისინი მაყურებელს მაინც ძალიან ხიბლავს. აქ შეგიძლიათ იხილოთ სამხედრო თვითმფრინავების, ასევე მოყვარულების, პარაშუტისტების საჩვენებელი გამოსვლები.

4 Dialoggrafik – Vergleich den Dialog und die Grafik. Übt den Dialog.

- Hallo, Tom, hier ist Elke.
- Hallo, Elke.
- Hast du heute Abend Zeit?
- Ja, warum?
- Prima! Gehst du mit ins Konzert?
- Die Clique spielt.
- Klar! Wann denn?
- Das Konzert fängt um 20 Uhr an.
- Ich hole dich um 19 Uhr ab. O.k.?
- Prima, bis später.
- Tschüs.





5 Dialogbaukasten „Verabredungen“ – Lest die Beispiele und übt Minidialoge.



der	das	die	—
in den Park	ins Kino	in die Disco	schwimmen
in den Zoo	ins Museum	in die Schule	Tennis spielen
...	ins Konzert	in die Bibliothek	skaten
...

(+)	(+/-)	(-)
Klar!	Mal sehen.	Schade, das geht nicht.
Prima!	Ich weiß noch nicht.	Da kann ich nicht.
Das geht.	Vielleicht.	Ich habe keine Zeit/Lust.
		Leider nein, ich ...

6 Übt mit den Dialoggrafiken.



dreißig 43

4. მოსწავლეებმა წყვილებში უნდა წაიკითხონ დიალოგი და ივარჯიშონ. ამასობაში შეგიძლიათ დიალოგის სქემა დაფაზე დაწეროთ. ის ეხმარება მოსწავლეებს დიალოგის შედგენაში და აძლევს გარკვეულ თავისუფლებას, ტექსტიგან განსხვავებით, საკუთარი სიტყვები ჩაურთან დიალოგში.

ალტერნატივა: მოსწავლეები ხელს აფარებენ მარცხენა მხარეს დაწერილ ტექსტს და ცდილობენ მხოლოდ მარჯვენა მხარეს მოცემული სქემის საშუალებით აღადგინონ დიალოგი. ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეებმა დიალოგები სწორი ინტონაციით წაიკითხონ.

5. წრეები, რომლებშიც მოსწავლეებმა საკუთარი მოსაზრებები უნდა ჩაწერონ, ასევე მის ქვემოთ მოცემული სიტყვები კარგი მასალაა დიალოგის შესადგენად. ამუშავეთ მოსწავლეები სამეტყველო ბლოკში მოცემულ ლექსიკაზე (ნამდამალა ნაკითხეთ ისინი და თუ შეძლეს, სხვა სიტყვებიც დაამატებინეთ) და სურვილის მიხედვით დაამატებინეთ ამ მათი ქალაქის ან სოფლის ადგილები. დაეხმარეთ თარგმნაში. წინდებული "in" ამჯერად მხოლოდ მოცემულ სქემებში გამოიყენეთ. ნუ მისცემთ მათ თანდებული მთელ სისტემას. ამას პირველი და მეორე წიგნის თავებში თანდათანობით გავაკეთებთ.

6. დიალოგის სქემებზე ვარჯიში.

მიუთითეთ მოსწავლეებს მე-4 და მე-5 დავალებების მაგალითებზე და სამეტყველო ბლოკში მოცემულ სიტყვებზე. დიალოგის სქემების მიხედვით მათ მიერ დაწერილი წინადადებები შეგიძლიათ ჩამოწეროთ დაფაზე.

მაგალითები:

Dialog 1

- Gehst du mit schwimmen?

○ Wann denn?

- Morgen, um 14 Uhr.

○ Da kann ich nicht. Geht es auch um 18 Uhr?

- Klar.

○ Prima, bis morgen.

Dialog 2

- Kommst du mit ins Kino?

○ Was gibt es denn?

- Es ist ein Film von Brad Pitt.

○ Wann fängt der Film an?

- Um 18 Uhr.

7. მოსწავლეებმა რვეულებში უნდა ჩამოწერონ კვირის გეგმა (როგორც ეს მე-7 დავალებაშია). ყოველი მოსწავლე თითოეულ დღეზე წერს მინიმუმ ორი სახის საქმიანობას, რომლებიც ერთი ან ორი საათი გრძელდება. შემდეგ ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს და ცდილობენ, ჩამოწერონ მომავალი სამი დღის განრიგი. ამუშავეთ ისინი წყვილებში. ერთ ან ორ წყვილს სთხოვეთ, თავიანთი შეხვედრების წუსხა ფორუმში წარმოადგინონ.

8. დაეხმარეთ მოსწავლეებს, გააცნობიერონ, თუ როგორ იწარმოება თავსართმოცილებადი ზმნები. უმჯობესია, რამდენიმე ასეთი ზმნა დაფაზე დაწეროთ და გააკეთოთ ისეთივე აღნიშვნები, როგორც ეს მაგალითშია მოცემული. გამოიყენეთ ამისათვის წრეები.

a) მოსწავლეები აუდიოჩანაწერიდან ისმენენ ზმნებს და აკვირდებიან, სად კეთდება მახვილი (*ყოველთვის თავსართზე*).

b) მოსწავლეები კითხულობენ თავსართმოცილებად ზმნებს გარკვეულ კონტექსტში. ნააკითხეთ მათ დიალოგი ხმამაღლა და მიაქციეთ ყურადღება სწორ მახვილს.

9. მე-8 დავალებაში მოსწავლეებმა სწორად გამოიყენეს თავსართმოცილებადი ზმნები. ამ დავალებაში მათ უნდა გაიაზრონ, წინადადებაში რა ადგილი უკავია ზმნის ნაწილებს. დაეხმარეთ მოსწავლეებს ქართულად ჩამოაყალიბონ წესი. თვითონ დაწერეთ დაფაზე კიდევ ერთი-ორი მაგალითი. თვალსაჩინოების წყალობით მოსწავლეები იოლად გაიგებენ ამ გრამატიკულ მასალას და საჭირო აღარ გახდება წესის ვერბალიზირება.



Wochenpläne

7 Verabredungen üben – Macht einen Wochenplan wie Karin.



Kommst du am Dienstag um zwei mit ins Kino?

Juni	
3 Montag	14-16 Uhr Handballtraining 18 Uhr Klavier
4 Dienstag	14 Uhr Nachhilfe Mathe 15 Uhr Sabine (Kaffee)
5 Mittwoch	!!! Donnerstag Test in Mathe!!! 20 Uhr Fernsehen: Fußballspiel
6 Donnerstag	15 bis 17 Uhr Handballtraining 18:30 Kino mit Barbara
7 Freitag	15-16 Uhr 30. Skaten mit Benni 18 Uhr Gitarre
8 Samstag	15 Uhr Schwimmen 17 Uhr Party (Geburtstag Jenny)
9 Sonntag	

Ich kann nicht. Ich muss für den Mathe-test lernen.



8 Sprachlupe

a Höre die Verben und achte auf den Wortakzent.

mitgehen - anfangen - abholen - aufhören - anrufen

b Lest den Dialog.

- Gehst du mit ins Konzert?
- Wann fängt es an?
- Um 8. Ich hole dich ab.
- Wann hört es auf?
- Um 11.
- Vielleicht. Ich rufe um 5 an.

9 Sammelt trennbare Verben. Was passiert hier?

ab|holen Ich |hole dich ab|.




10 Trennbare Verben üben – Schreibe die Sätze und lies vor.

1. mitgehen – du – ins Museum?
2. abholen – Ich – meinen Hund – jetzt
3. anfangen – Wann – der Film?
4. anrufen – Mein Vater – um 16 Uhr
5. aufhören – Der Unterricht – um 13 Uhr 30

11 Was macht Boris? – Lies die Sätze. Höre zu, mache Notizen und lies vor.

1. Boris wacht um 7 Uhr / 16 Uhr / 6 Uhr auf.
2. Boris macht das Radio / den Fernseher / den CD-Spieler an.
3. Er hört seine Lieblingsmusik / sieht fern / übt Gitarre.
4. Um 8 Uhr ist er im Park / in der Schule / in der Stadt.
5. In der Pause schreibt er seine Matheaufgaben / die Tafel / seine Hausaufgaben ab.
6. Um 12 Uhr / 3 Uhr / 13 Uhr hört der Unterricht auf.
7. Boris fährt mit dem Bus/Fahrrad/Auto nach Hause.
8. Er holt seine Mutter / seinen Vater / seine Schwester ab.
9. Er ruft seine Lehrerin / seine Freunde / seine Freundin an.
10. Am Abend sieht er oft fern / macht er oft Musik / spielt er oft Tennis.



1. 7 Uhr

12 Fragen in der Klasse.

Stehst du auch jeden Morgen um 6 Uhr auf?

Machst du auch ...

13 Lehrer/Schüler: Wer macht was? Schreibe auf und lies vor.

Die Lehrerin liest den Text vor.
Petra schreibt die Hausaufgabe ab.

Trennbare Verben

vorlesen – aufmachen – anschreiben –
aufschlagen – vorspielen – zumachen –
abschreiben – zuschlagen – nachschlagen

Nomen

den Dialog – die Regel – die Tür –
das Buch – die Wörter – die Kasette –
den Satz – die Hausaufgaben – das Fenster

fünfundvierzig 45

10. მოსწავლეებმა ამ დავალებაში თვითონ უნდა შეადგინონ წინადადებები თავსართმოცილებადი ზმნებით. პირველი წინადადება უნდა იყოს: „Gehst du mit ins Museum“? შეგიძლიათ დაფაზე დაუნეროთ სხვა თავებიდან ამოღებული მაგალითებიც, მაგ.: „Unterricht -8 Uhr –anfangen“, „in den Park – ihr – mitgehen?“ და ა.შ.

პასუხი: 1. Gehst du mit ins Museum? 2. Ich hole jetzt meinen Hund ab. / Ich hole meinen Hund jetzt ab. 3. Wann fängt der Film an? 4. Mein Vater ruft um 16 Uhr an. 5. Der Unterricht hört um 13 Uhr 30 auf.

11. დავალებაში ლაპარაკია ბორისის დღის განრიგზე. მოსწავლეები ჯერ კითხულობენ ყველა წინადადებას და არკვევენ მათ შინაარსს, შემდეგ ისმენენ ტექსტს აუდიოჩანაწერიდან და აღნიშნავენ სწორ ვარიანტებს. (თქვენი კლასის სიდიდის/სისუსტის მიხედვით შეგიძლიათ ყოველი წინადადების შემდეგ გააჩეროთ აუდიოჩანაწერი). ბოლოს მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ სწორ წინადადებებს ფორუმში.

პასუხი: 1. 7 Uhr 2. CD-Spieler
3. Lieblingsmusik 4. Schule
5. Hausaufgaben 6. 13 Uhr 7. Bus 8. Schwester 9. Freunde 10. fernsehen

12. დავალებაში მოსწავლეებს ნასწავლი მასალის საფუძველზე შეუძლიათ თავიანთი დღის განრიგის შესახებ ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები.

13. სიტუაცია საკლასო ოთახში: მოსწავლეებმა წყვილებში უნდა წაიკითხონ მოცემული სიტყვები, დააჯგუფონ ისინი და შემდეგ ხმამაღლა წაიკითხონ ფორუმში. ზოგჯერ ცალსახა პასუხები არ გვაქვს, მაგრამ ეს აქ არსებითი არ არის.

მაგალითები: Die Lehrerin spielt die Kasette vor. Erich macht die Tasche auf. Die Schüler schreiben die Sätze ab.



14 და 15. თუ ამის შესაძლებლობა გაქვთ, გადაიღეთ ასლი და მიეცით მოსწავლეებს საშუალება, სურათების საშუალებით ამოიცნონ საბინესა და პეტერის ისტორია. შემდეგ მოსწავლეებს ხმამაღლა წაკითხეთ ტექსტი. გაუგებრობას ინვესს სიტყვა „Bank“ (ბანკი და მერხი). მოიტანეთ გაკვეთილზე ლექსიკონი და მოაძებნინეთ მოსწავლეებს სიტყვა „Bank“.

შეგიძლიათ მოსწავლეები კითხვაშიც ავარჯიშოთ. გთავაზობთ შემდეგი ტიპის სავარჯიშოს: ერთ-ერთი მოსწავლე იწყებს და კითხულობს ტექსტს პირველ სასვენ ნიშნამდე (მძიმე, ნერტილი), შემდეგ მეორე აგრძელებს და ა.შ.

16. მოსმენა. მოსწავლეები ისმენენ სამ ტექსტს აუდიოჩანაწერიდან (ყოველი ტექსტის შემდეგ გააჩერეთ ჩანაწერი) და ინიშნავენ ინფორმაციას, როგორც ეს მაგალითშია მოცემული. მიეცით მოსწავლეებს საკმარისი დრო სამუშაოდ და მათთან ერთად ჩამოწერეთ დაფაზე ვარიანტები.

მაგალითი:

Erika/Sonntag/3 Uhr/Zoo

Peter/Freitag/Stadt/17 Uhr?

Oma/Samstag/Geburtstag/halb vier?

17. გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნები 44-ე გვერდზე და სთხოვეთ, კიდევ ერთხელ დააკვირდნენ კვირის გეგმას; დააჯგუფებინეთ მე-17 დავალების პასუხები ზემოთ მოსმენილ სამ სატელეფონო საუბართან.

პასუხი:

Anruf 1: Antwort 5

Anruf 2: Antwort 6

Anruf 3: Antwort 3

ბოლოს ეს სატელეფონო საუბრები კიდევ ერთხელ მოასმენინეთ ცალ-ცალკე და სთხოვეთ მოსწავლეებს, შესაბამისი პასუხები დაასახელონ.

Ein Missverständnis

14 Sieh die Bilder an. Was passiert hier?



15 Lies den Text. Was ist das Missverständnis?

Sabine mag Peter und Peter mag Sabine, aber sie hatten noch keine Verabredung. Heute ruft Sabine Peter an. Sie will mit Peter einen Spaziergang machen. Peter ist sehr froh und zieht seine Jeans und seine Lederjacke an. Er kauft Rosen für Sabine und dann nimmt er den Bus und fährt zur Bank. Auch Sabine ist glücklich. Sie trägt ihr Super-Minikleid, sie macht ihre Lippen rot und fährt mit dem Fahrrad zur Bank. Es ist gleich 3 Uhr. Peter wartet auf Sabine, aber sie kommt nicht. Sabine wartet auf Peter, aber er kommt nicht. Beide sind unglücklich. Es ist schon halb vier. Jetzt regnet es und beide sind nass und sehr wütend!! So ein Mist! Was ist los? Wo ist Peter? Wo ist Sabine?



16 Anrufbeantworter – Lies den Terminkalender in 7. Höre zu und mache Notizen.

Erika / Sonntag drei Uhr / Zoo?

17 Minidialoge – Ordne 1–6 den Nachrichten auf dem Anrufbeantworter zu.

1. Da kann ich nicht, aber Sonntag ist o.k.
2. Ich habe keine Zeit. Ich lerne für den Mathetest. Und Brad Pitt mag ich nicht.
3. Ich glaube, das geht nicht. Jenny macht eine Party.
4. Tut mir Leid, ich mache eine Diät und ich muss Klavier üben.
5. Klar, kein Problem.
6. Alles klar, ich komme! Aber nur eine Stunde.



18. Satzbaukasten „Verneinung“ – Was fällt dir auf? Ergänze die Regel.

Ich kann nicht	Ich mag k...	Ich habe k...	Er ist k...
kommen	keine Pizza	keine Lust	kein Lehrer
schwimmen	keine Tiere	keine Zeit	kein Schüler
Rad fahren	keine Musik	kein Geld	kein Sänger
ins Konzert gehen	keinen Sport	keinen Fußball	kein Hund
...

So funktioniert die Verneinung: Verb + ... und ... + Nomen.

19. Boris, der Nein-Typ – Schreibt Texte wie im Beispiel. Die Stichwörter helfen euch.

*Ich mag keine Tiere und ich gehe auch nicht ins Kino.
Fußball spiele ich nicht und ich habe auch kein Fahrrad.*

Pizza – schwimmen – Gitarre spielen – Computer – ins Museum gehen – Hund –
ins Konzert gehen – singen – Wörter lernen – um 6 Uhr aufstehen – Katzen ...

20. Keine Zeit, keine Zeit – Hörst zu und singst mit.

Am Montag spiel ich Fußball, da hab ich keine Zeit.
Am Dienstag geh ich schwimmen, es tut mir schrecklich Leid.
Am Mittwoch muss ich lernen für den blöden Test.
Am Donnerstag, da feier ich, mein Freund, der macht ein Fest.

Am Freitag geht es wieder nicht:
Da hab ich Nachhilfeunterricht!
Am Wochenende hab ich frei.
Kommst du dann vorbei?

siebenundvierzig 47

18. მოსწავლეებმა მოცემული წინადადებების ბლოკიდან თვითონ უნდა ამოიციონ უარის თქმის ფორმების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. წააკითხეთ ხმამაღლა მათ ცალკეული ნიმუშები და დაამატებინეთ კიდევ სხვა მაგალითები. მეოთხე სვეტში ჩამოწერილ სიტყვებზე სამუშაოდ შეგიძლიათ გამოიყენოთ მე-18 დავალების სურათები. თუ ამის საშუალება გაქვთ, გადაიღეთ სურათების ასლი (თუ არა, შეგიძლიათ სურათები წიგნიდან აჩვენოთ). აჩვენეთ მოსწავლეებს სურათი და ჰკითხეთ: „Ist das ein Auto?“ (თან მიუთითეთ ველოსიპედზე) „Nein, das ist kein Auto.“ და ა.შ. სურათების ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ საკლასო ოთახში მყოფი საგნები.

წესი ასე ჩამოაყალიბდება:

a) Verb+„nicht“ b) „kein“+Nomen

19. მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ სრული წინადადებები მოცემული მაგალითის მიხედვით. აუდიოჩანაწერის საშუალებით შეამოწმეთ წინადადებების სისწორე. რაც შეეხება სიტყვათა წყობას: ზოგჯერ რამდენიმე ვარიანტი შესაძლებელია „Ich spiele nicht Fußball./ Fußball spiele ich nicht.“ ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებს მიუთითეთ მახვილზე.

20. ბოლოს გთავაზობთ პატარა სიმღერას. სიმღერის კონტექსტი ეხება შეხვედრის დანიშვნას. დავალება გირჩენებთ, როგორია წინადადებაში სიტყვათაწყობა დროის გარემოების და უარყოფის შემდეგ. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითონ ტექსტი და აუდიოჩანაწერთან ერთად იმღერონ. შეგიძლიათ დაავალოთ მათ, წერილობით ან ზეპირად შეადგინონ საკუთარი კვირის გეგმა.

ზოგადი მიმოხილვა

მერვე თავის თემა თავისუფალი დრო და ჰობი. მოსწავლეები ყვებიან თავიანთი ჰობის შესახებ და მონაყოლს ერთმანეთს ადარებენ.

გრამატიკული სტრუქტურებიდან განვიხილავთ დროის გარემოებას წინა-დადებაში, მოვახდენთ სუსტი და ძლიერი ზმნების თემატიზებას **Prasens**-ში და შემოგვაქვს "gut" და "gern"-ის შედარებითი ხარისხები.

1. მოსწავლეებმა უკვე იციან სურათებზე გამოსახული ჰობის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა. დავალების მიხედვით ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ნაცნობი სიტყვა დაასახელონ ფორუმში. ზოგიერთი (ყველა არა) ჰობი შეიძლება დააჯგუფებინოთ სურათებთან. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მე-3 სურათის "Zirkus" შესატყვისი არ არის მოცემული. მოსწავლეები ისმენენ აუდიოჩანაწერს, სადაც მოზარდები ყვებიან საკუთარ თავზე. კონტექსტიდან გამოდინარე აუხსენით მათ სიტყვების მნიშვნელობა. რამდენიმე სიტყვა რჩება აუხსნელი: ("faulenzen", "das Stadion", "fernsehen", "malen", "joggen", "Karten spielen", "kochen", "basteln")

რჩევა: წარმოადგინეთ ამ სიტყვებზე პანტომიმა.

2. **აუდიოჩანაწერის მოსმენა.** ჯგუფთან ერთად მოცემულ სიტყვებს დაამატეთ სხვა თემატური სიტყვები, რომლებიც მოსწავლეებმა უკვე იციან წინა თავებიდან. ჩამონერეთ ეს სიტყვები დაფაზე. დაყავით კლასი ჯგუფებად.

მოსწავლეები ისმენენ ცალკეულ ეპიზოდებს თავისუფალი დროის თემაზე, თან აჯგუფებენ პირველ დავალებაში მოცემულ სიტყვებს წინა თავების სიტყვებთან.

ვარიანტი 1: (ადვილი): მოსწავლეები ისმენენ აუდიოჩანაწერის ტექსტებს, ინიშნავენ სიტყვებს და აჯგუფებენ მათ.


ვარიანტი 2: (უფრო რთული): მოსწავლეები მოცემული ნიმუშის მიხედვით ხაზავენ ცხრილს რვეულებში და მოსმენის დროს წერენ სიტყვებს ცხრილში. სავარჯიშოს შემონმების შემდეგ შეგიძლიათ ცხრილში დაფაზე ჩამონერილი სიტყვებიდან დაამატოთ რამდენიმე სიტყვა.

სიტყვების ადვილად დასასწავლად სასურველია სიტყვების თემატურ კონტექსტში მიწოდება.

3. მოსწავლეები ლაპარაკობენ იმაზე, თუ რას აკეთებენ თვითონ თავისუფალ დროს. აქაც გეძლევათ საშუალება, დაამატოთ კიდევ სხვა ახალი თემატური სიტყვები, რომლებიც მოსწავლეებს საუბრისას დასჭირდებათ.



Meine Freizeit



1 Freizeit und Hobbys – Was kennt ihr auf Deutsch?

*** faulenzen *** das Schwimmbad *** Musik hören *** das Stadion ***

1 = Roller fahren
2 = ...



2 Geräusche und Dialoge – Was hört ihr? Was ist das? Macht eine Liste.

Medien		Sport		Musik		...			
		Tennis							

3 Was findest du gut? Was kannst du gut?

Tennis finde ich gut. Ich kann gut schwimmen.

4 Nomen und Verben – Was passt zusammen?

einen Brief – Fußball – Gitarre – Musik – ein Buch – ins Kino – Skateboard – in den Zoo
hören – fahren – spielen – schreiben – gehen – lesen

einen Brief schreiben
einen Brief lesen

48 achtundvierzig

ინფორმაციები ქვეყანათმცოდნეობის სფეროდან

მეორე სურათზე გამოსახულია მარში, რომელსაც ასრულებენ მსროლელთა კლუბების და სახანძროს (ან სპორტული) კლუბების ორკესტრები. ისინი უკრავენ საზოგადოებრივი ღონისძიებების დროს (ქალაქის ზეიმი, მსროლელთა კლუბის ზეიმი და ა.შ.). ზეიმის დროს ორკესტრები მწყობრში დადიან ქუჩებში და უკრავენ ხალხურ მელოდიებს, მარშებს, ასევე "სვინგს" და სასულე საორკესტრო მუსიკას. ტიპიური ინსტრუმენტებია: საყვირი, ფლეიტა, დოლი, ტუბა, ნაღარა და ა.შ. მუსიკოსებს აცვიათ უნიფორმა, რომელიც ყველა ჯგუფისათვის განსხვავებულია.

გერმანიის, ავსტრიის და შვეიცარიის თითქმის ყველა ქალაქში ტარდება ასეთი აღლუმი.

*** fernsehen *** malen *** Filme sehen *** joggen *** Tennis spielen ***

sammeln



5



6



7



8

Karten spielen *** Safari-park *** Musik machen

*** Roller fahren *** lesen *** Computer spielen *** basteln *** kochen ***

5 Was machst du wann? Schreibe Sätze und lies vor.

Am Wochenende ...	gehe	ich	schwimmen/wandern ...
In den Ferien ...	spiele	ich	Tennis/Basketball ...
Am Nachmittag ...	treffe	ich	ins Kino / in den Zoo ...
Um 9 Uhr ...	fahre	ich	Rad/Roller ...
Am Sonntagmorgen ...	schwimme	ich.	
Heute	lese	ich.	

Am Nachmittag treffe ich manchmal meine Freunde.



Am Sonntag spiele ich oft Fußball.



ინტერნეტპროექტი გვ.49

ინფორმაციები ინტერნეტიდან ჰობისა და თავისუფალი დროის შესახებ.

12 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის საინტერესო და ადვილად გასაგებ ვებ-საიტებს იხილავთ მისამართზე: <http://www.blinde-kuh.de> ან <http://www.kidsweb.de>

მოცემულ ვებსაიტებზე მოსწავლეებს შეუძლიათ მოიძიონ ინფორმაცია თავისუფალ დროსთან დაკავშირებულ ისეთ თემებზე, რომლებიც ამ თავში უკვე შეხვდათ (ხატვა, ძერწვა, მუსიკა და ა.შ.). უამრავი ინფორმაციის მოძიება შეიძლება აგრეთვე შემდეგ მისამართზე: <http://www.google.de>. რჩევა: კარგად მოიფიქრეთ, რას ეძებთ. რაც უფრო ზუსტად შეარჩევთ სიტყვებს ინფორმაციის მოსაძებნად, მით უფრო ეფექტური იქნება ძებნის შედეგი.

თქვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ თვითონვე შეადგინოთ ვებ-გვერდები გაკვეთილისთვის.

4. სიტყვების დაჯგუფება. მოსწავლეები ცალკეული სვეტიდან შინაარსობრივად აჯგუფებენ სიტყვებს და წერენ ამ ვარიანტებს.

5. მოსწავლეები წინადადების ბლოკიდან ირჩევენ სიტყვებს და მოცემული ნიმუშის მიხედვით წრეებში წერენ სულ ცოტა სამ წინადადებას. მათ ასევე შეუძლიათ გამოიყენონ მე-4 დავალების სიტყვები. წრეებში ჩანერილ წინადადებებში გვხვდება სიტყვები "manchmal" და "oft". მიუთითეთ მათ მნიშვნელობაზე, თუმცა ნუ აიძულებთ მოსწავლეებს, საუბრისას აუცილებლად გამოიყენონ ეს სიტყვები.

6. წინადადების სიტყვათაწყობა.

მოსწავლეები ჯერ არკვევენ, რა არის გამოტოვებული წინადადებაში და შემდეგ წერენ ამ ზმნას წრეში. ჰკითხეთ, რა განსხვავებაა პირველ და მეორე წინადადებას შორის და სთხოვეთ, აღწერონ განსხვავება ამ ორი წინადადების სიტყვათა წყობაში. ამის შემდეგ მოსწავლეები წყვილებში ადგენენ წინადადებებს მოცემული ნიმუშის მიხედვით („Ich fahre heute nach München.“ „Heute fahre ich nach München“).

მიუთითეთ იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მათ თავსართმოცილებადი ზმნები.

7. ახლა თქვენი ჯგერია: მოსწავლეები წიგნში მოცემული შეკითხვებიდან ირჩევენ რომელიმეს, ან თუ ამისი სურვილი აქვთ, თვითონაც ამატებენ საკუთარს. შემდეგ ამ შეკითხვებს თქვენ (მასწავლებელს) გისვამენ. ამ დროს ხდება აგრეთვე Ja/Nein-შეკითხვების გამოვლენა. გაესაუბრეთ მოსწავლეებს. უპასუხეთ მათ კითხვებს. ყოველთვის მხოლოდ ისინი არ უნდა იძლეოდნენ პასუხს! შეეცადეთ, ინტერვიუ ბუნებრივი გამოვიდეს.

8. ვუბრუნდებით კლასს: მოსწავლეები ჯგუფებში ადგენენ ხუთ შეკითხვას და წერენ გამოტოვებულ ზმნას სწორ რიცხვსა და პირში. მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ შეკითხვებს. ჩამოანერინეთ მათ ზოგიერთი წინადადება დაფაზე და მიუთითეთ სუსტ და ძლიერ ზმნებზე. წინადადების წინ დაწერეთ ინფინიტივური ფორმები:

(hören) Hörst du Musik?“ (lesen) Liest du Comics?“

დავალება შესრულებულია, თუ მოსწავლეები მიხვდებიან, რა იცვლება ძლიერი ზმნების ფორმებში მხოლოდითი რიცხვის მე-2 პირში.

9. მოსწავლეები დადიან კლასში და თითო შეკითხვას უსვამენ ერთმანეთს. დავალების შესრულებისას ისინი მე-8 დავალების კითხვებს იყენებენ.

რჩევა: დავალების შესრულებისას შეგიძლიათ გამოიყენოთ მუსიკა: ჩართეთ მუსიკა. მოსწავლეები მოძრაობენ კლასში მუსიკის დროს. რამდენიმე ტაქტის შემდეგ უცხად გააჩერეთ მუსიკა. მოსწავლე შეკითხვას უსვამს იმას, ვის წინაშეც ის ამ მომენტში აღმოჩნდება. და ა.შ.

10. მოსწავლეები ადარებენ ბლოკში ჩამოწერილ სუსტ და ძლიერ ზმნებს. დავალებაში უმთავრესია, მოსწავლეებმა განასხვავონ მხოლოდითი რიცხვის მე-2 და მე-3 პირის ფორმები. დაამატეთ ჩამოწავლას თქვენობითი ფორმა „Sie“. მოსწავლეები ამ ფორმას მე-7 დავალებიდან უკვე იცნობენ.



6 Sprachlupe – Verben im Satz. Was fehlt hier? Bildet Sätze wie in Beispiel 1 und 2.

- | | | |
|------------------|---------------|----------|
| Position 1 | Position 2 | |
| 1. Ich | am Wochenende | Fußball. |
| 2. Am Wochenende | ich | Fußball. |



7 Ein Interview in der Klasse – Fragt euren Lehrer / eure Lehrerin.

Was machen Sie gerne?

1. Lesen Sie gerne Bücher?
2. Fahren Sie oft Rad?
3. Sprechen Sie gern Englisch?
4. Essen Sie gerne Pizza?
5. Sammeln Sie Briefmarken?
6. Machen Sie Sport?
7. Gehen Sie ins Kino?
8. Lieben Sie Musik?
9. Laufen Sie gerne?
10.



8 Und du? – Schreibe fünf Fragen. Was fällt dir auf?

Was machst du gerne?

... du gerne Bücher? – ... du oft Comics – ... du Sport? – ... du oft Rad? – ... du ins Kino? – ... du Englisch? – ... du Musik? – ... du gerne Pizza? – ... du gerne? – ... du Briefe?

lernst – machst – liest – isst – gehst – hörst – fährst – kochst – schreibst

9 Interviews – Fragt in der Klasse.

Liest du gerne Bücher?

Nein, aber Comics.

11. მოსწავლეები სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემულ ანბანურ საძიებელში ეძებენ მე-10 სავარჯიშოს ზმნების ინფინიტივურ ფორმებს.

ყურადღება: მხოლოდ რამდენიმე ზმნაა ძლიერი. კლასში განიხილეთ განსხვავებები და მოსწავლეებს დააჯგუფებინეთ ზმნები „სუსტებად“ და „ძლიერებად“.

ძლიერი ზმნების დასასწავლად გთავაზობთ სასწავლო ბარათებით მუშაობას. ერთ მხარეს წერია ზმნის ინფინიტივური ფორმა, უკანა მხარეზე კი მხოლოდითი რიცხვის პირველი და მე-3 პირის ფორმები და ასევე წინადადება, რომელშიც ეს ზმნა გამოყენებული. დროდადრო გაამეორებინეთ მოსწავლეებს ეს ბარათები და შეავსებინეთ ახალი ბარათები.

Regelmäßige und unregelmäßige Verben

10 Sprachlupe – Vergleicht die Verben im Kasten. Wo ändert sich etwas?

	regelmäßig	unregelmäßig	laufen	lachen
ich du er/es/sie wir ihr sie	gehen	lesen		
	gehe	lese		schreiben
	gehst	liest	sein	sehen
	geht	liest	aufstehen	einladen
	gehen	lesen	abholen	schwimmen
	geht	lest		haben
	gehen	lesen		

11 Schlagt die anderen Verben in der Wortliste nach. Schreibt Lernkarten.



Unregelmäßige Verben immer mit 1. und 3. Person Singular lernen.

Lerntipp

12 Ein Spiel mit Verben – Schreibt Verben und Nomen auf Karten. Fragt in der Klasse.

Spielst du Gitarre?

Nein, ich kann nicht Gitarre spielen. Aber ich fahre Rad.

Liest du Zeitung?

Gitarre spielen

Rad fahren

Zeitung lesen

...

13 Lernplakat – Verben und Aussprache

läufst du
liest du
spielst du
schwimmst du

einundfünfzig 51

12. მოსწავლეები თამაშობენ სამკაცციან ჯგუფებში. ისინი მე-4 და მე-5 სავარჯიშოების ნიმუშის მიხედვით ბარათებზე წერენ ზმნას და არსებით სახელს. ბარათებს აგროვებენ და ერთ წყებად უკუღმა ალაგებენ მაგიდაზე. პირველი მოსწავლე იღებს ერთ ბარათს („Tennis spielen“) და ეკითხება მეორეს: „Spielst du Tennis?“ მეორე მოსწავლე იღებს შემდეგ ბარათს („Fußball spielen“): და პასუხობს: „Nein, ich spiele nicht Tennis. Aber ich spiele Fußball.“ შემდეგ მეორე მოსწავლე იღებს ახალ ბარათს („Comics lesen“) და ეკითხება მესამეს: „Liest du...“ და ა.შ.

13. ხუთი წუთის განმავლობაში მთელი კლასი აგროვებს რაც შეიძლება მეტ ძლიერ ზმნას. შევიძლიათ ამ მიზნით სთხოვოთ მოსწავლეებს, გადახედონ განვლილ თავებს ან სიტყვების ანბანურ ჩამონათვალს. დაანერინეთ ზმნები პლაკატზე და ჩამოკიდეთ იგი თვალსაჩინო ადგილზე. ზმნების ფორმების გასამტკიცებლად მოსწავლეები წარმოთქმაში ავარჯიშეთ. ისინი ყველა ფორმას გუნდურად წარმოთქვამენ. გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება განსაკუთრებულ შემთხვევებზე: „ie“, „äu“ და ა.შ.

აუდიოჩანაწერი გიჩვენებთ, თუ როგორ ხდება ეს. ერთი მოსწავლე კითხულობს ერთ ზმნას, მეორე — მეორეს. მოსწავლეები ჩანაწერთან ერთად თანდათანობით ტემპს უმატებენ. ჯაჭვის განყვეტის შემთხვევაში (მოსწავლე ვერ მიჰყვება სწრაფად ზმნების ჩამონათვალს, ვერ იღებს ამა თუ იმ ზმნას და ა.შ.), მოსწავლეები აგრძელებენ გამეორებას.

14. ტექსტზე მუშაობა. მოსწავლეები აჯგუფდებიან ტექსტს და სურათს. დაეხმარეთ მათ დავალების შესრულებაში. რომელი სიტყვები იციან უკვე?

პასუხი: 1 სურათი=ტექსტი შუაში. 2 სურათი= ზედა ტექსტი 3 სურათი= ქვედა ტექსტი

15. დავალებაში პირველად შემოგვაქვს ზედსართავი სახელების შედარებითი ხარისხები. ყველაზე ხშირად გვხვდება საკუთარი სიმპატიებისა თუ ანტიპატიების გამომხატველი სამეტყველო საშუალებები: „gut-besser-am besten“ და „gern-lieber-am liebsten“. მოსწავლეები ეძებენ ამ სიტყვებს მე-14 დავალების ტექსტებში. კომიქსი გიჩვენებთ ყველასთვის ნაცნობ სიტუაციას საკლასო სამუშაოს შემდეგ. თუ საჭიროდ მიიჩნევთ, აუხსენით მოსწავლეებს შეფასებების სისტემა გერმანიაში (1=die beste Note) და გამოაცნობინეთ სიტყვის „Streber“ მნიშვნელობა.



Unsere Hobbys

14 Bilder und Texte – Vergleicht. Was gehört zusammen?



1



2

3



Ich bin in einem Club für Modelleisenbahnen. Wir haben alle ein Hobby: Lokomotiven und Züge. Alle bauen zusammen die Anlage. In der Weihnachtszeit zeigen wir dann die Anlage. Das finde ich immer am besten.

Ich heiße Corinna und bin 12 Jahre alt. Ich spiele gerne Flöte im Spielmannszug. Aber zu Hause höre ich lieber Rap oder die Backstreet Boys.

Ich bin Oliver. Mein Hobby ist die Feuerwehr. Das finde ich besser als Computerspiele oder Fußball. Das machen alle. Schwimmen finde ich auch gut, aber nur im Sommer.



15 Sprachlupe – Vergleiche mit gut und gern.



16 Was magst du lieber? Fragt in der Klasse.

Frage

mögen + lieber
finden + besser

Antwort

Ich trinke/esse/spiele lieber ... als ...
... ist/schmeckt / finde ich besser als ...

Was magst du lieber:
Cola oder Wasser?

Ich trinke lieber Cola als Wasser.

Was findest du besser:
Ferrari oder Mercedes?

Ferrari ist besser als ...



Kakao ↔ Tee
Physik ↔ Geschichte
Morgen ↔ Abend
...

Steak ↔ Pizza
Samstag ↔ Montag
Katzen ↔ Hunde
...

Tennis ↔ Handball
Ferrari ↔ Mercedes
Mathe ↔ Sport

**17 Was findet ihr am besten, was habt ihr am liebsten:
Welchen Film, welches Auto, welche Musik?
Schreibt sechs Fragen. Fragt in der Klasse.**

100 kg geteilt durch drei!!
Teamwork ist am besten!

der Film
der Comic
das Fach
das Auto
die Sportart
die Musik
...

Was isst du am liebsten?
Welchen Film siehst du am liebsten?
Welchen Comic findest du am liebsten?
Welches Fach hast du am liebsten?
Welches Auto findest du am liebsten?
Welche Sportart machst du am liebsten?
Welche Musik findest du am liebsten?



dreiundfünfzig 53

16. მოსწავლეები თვითონ ადგენენ შედარებებს და სცდებიან ჰობის თემას. შეამონმეთ, გაცნობიერებული აქვთ თუ არა მათ, რომ შედარების დროს შეკითხვის დასმისა და პასუხის გაცემისას ზმნას უკავშირდება ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხი („finden“+“besser“ etc.) და „als“ როგორც შედარების აუცილებელი ელემენტი. სანამ მოსწავლეები ნყვილებში დაინწყებდნენ მუშაობას, ჯერ ფორუმში გაითამაშეთ მათთან ერთად ორი მაგალითი. თუ საჭიროა, მოსწავლეებს შეუძლიათ კითხვა-პასუხი ბარათებზე ჩაინიშნონ. ამ სავარჯიშოს შესრულება ზეპირადაც შეიძლება.

17. ბოლოს გთავაზობთ დავალებას ზედსართავი სახელის აღმატებით ხარისხზე. აზრობრივად სწორი შეკითხვების დასასმელად მოსწავლეებს დამატებით ვაძლევთ კითხვით ნაცვალსახელს „welche/r“ Nominativ-სა და Akkusativ-ში. მოკლედ მიუთითეთ ზმნის და ბრუნვის ურთიერთკავშირზე და შედეგები ჩამოწერეთ დაფაზე.

ბოლოს მოსწავლეები წერენ ექვს შეკითხვას და სვამენ მათ ფორუმში.

Tafelbild zu Aufgabe 17

Nominativ:		Akkusativ:	
der Film	welcher Film?	den Film	welch-en Film?
der Hund
das Auto	welches Auto?	das Auto	welch-es Auto?
das Radio
die Musik	welche Musik	die Musik	welch-e Musik?
die Tasche

ზოგადი მიმოხილვა

ამ თავში განვიხილავთ თემას „ოჯახი“. გაეცნობით ნათესაური კავშირების გამომხატველ სიტყვებს და ავარჯიშებთ მოსწავლეებს საკუთარი ოჯახის წევრების აღწერაზე. ფოტოებზე მუშაობისას, ცხადია, სურათის აღწერაც ხდება. აქამდე ნასწავლის საფუძველზე მოსწავლეები ცდილობენ, დეტალურად საუბარს საკუთარ თავზე და საკუთარ ოჯახურ გარემოცვაზე. გრამატიკაში კუთვნილებით ნაცვალსახელებს ვამატებთ მრავლობითის ფორმებს **Nominativ**-სა და **Akkusativ**-ში. ოჯახის თემის კონტექსტში შემოგვაქვს ბრძანებითი კილო სხვადასხვა სასაუბროში გამოყენებით.

1. ოჯახის ფოტოსურათებითა და ტექსტიანი ბარათებით მოსწავლეები ცდილობენ გაარკვიონ ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა. ამ დროს შეიძლება დაიხმაროს ქართული ან რომელიმე სხვა ენა. მაგ.: ვინც ინგლისურად ლაპარაკობს, ბევრ მსგავსებას ამოიცნობს: „Vater“ („father“), „Mutter“ („mother“), „Cousin“ („cousin“) და ა.შ.

თუ მოსწავლეები ერთ-ერთ სიტყვას მაინც ამოიცნობენ, შემდეგ რთული არ იქნება ბარათებზე წარმოდგენილი თანმიმდევრობის საშუალებით ნათესაობის აღმნიშვნელი სხვა სიტყვების ამოცნობაც.

ამოცნობილ სიტყვები ჩამონერეთ დაფაზე, როგორც ეს ბარათებზეა ნაჩვენები.

2. ფოტოები A-C ჯერ დააჯგუფეთ ტექსტის a-g ნაწყვეტებთან და შემდეგ — კონკრეტულ პირებთან. მოსწავლეები ჯერ კითხულობენ პატარა ტექსტებს. გააცანით მათ 54-ე გვერდზე ბლოკში მოცემული ადგილის გარემოებები, რომლებიც სურათების აღწერისათვის არის საჭირო. ისინი მოსწავლეებს გამოადგებათ შემდგომი მუშაობისათვის. შემდეგ მოასმენინეთ ტექსტი და მოსწავლეებს ჩაანიშნინეთ რვეულებში, რა ან ვინ ამოიცნეს.

ნიგნის ბოლოში ნახავთ მე-3 ასლის ფურცელზე ამ ფოტოების დამატებით მასალას. თუ ამის საშუალება გაქვთ, შეგიძლიათ ეს ფურცელი გადაილოთ და პასუხები ფორუმში ერთად ჩაწეროთ.

ფორუმში შემოწმების დროს შეგიძლიათ ტექსტი კიდევ ერთხელ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოასმენინოთ.

პასუხი: Foto A: „Meine Familie“ (Texte a-e): 1. Tante Inge 2. Herr Dahlmann (Freund von Edelgard) 3. Edelgard (Schwester von Oma=Großtante) 4. Oma (Luise) 5. Opa (Richard) 6. Onkel Hans-Peter 7. Tante Andrea 8. Cousine Sybille 9. Onkel Toby 10. Brigitte (meine Mutter) 11. Oliver (mein Bruder) 12. ich 13. Cousin Felix 14. Harald (mein Vater, Papa)



Familien

1 Familienfotos – Welche Wörter kennst du?

Meine Familie, das sind ...



Großeltern
Großmutter/Oma,
Großvater/Opa

Eltern
Mutter, Vater
frau, Mann

Kinder
Tochter, Sohn
Enkel, Enkelin

Geschwister
Schwester, Bruder

Verwandte
Tante, Onkel
Cousine, Cousin

2 Wer ist wer? – Lies und höre die Texte. Ordne zu.



Nr. 1 ist Tante Inge.

Foto B (Text f): (v.r.n.l.) seine Schwester Seda, sein Vater, Caner, seine Mutter

Foto C: (Text g): meine Tante Anne, ihre Tochter Nadine

